


დიმიტრი უზნაძე

სულმა იბიფეოზა და
უტვლელეოზა არ იტის

სულმა იბივაოზა და უცვლელობა არ იცის



დიმიტრი შუნაქე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვნის თსუ-ის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელს, დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი უზნაძეს. „პუბლიცისტური ნარკვევები“, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული და რომელშიც დროისა და მოვლენების დიმიტრი უზნაძესთან ურთიერთმიმართებაა წარმოჩენილი, ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებს, რომელთაც უნდა იცოდნენ მეცნიერების კლასიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი ფაქტი თუ მოვლენა.

ჩვენი ამოცანა – მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს კრებულთა სერიულ გამოცემებს, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკველებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი:

ნინო კაკულია

კონსულტანტი:

ირაკლი იმედაძე

სარედაქციო ჯგუფი:

მაია ტორაძე

მანანა ჯურხაძე

კომპ. უზრუნველყოფა:

ზაზა გულაშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა	8
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგომიძის სიტყვა	11

* * *

1 პიროვნება უზნადის თეორიაში და თეორია უზნადის პიროვნებაზე	13
2 ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი	29
3 დიმიტრი უზნადის მოღვაწეობის თაობაზე	33
4 ფსიქოლოგები უზნადის ქოლგის ქვეშ	41
5 უზნადის პარადიგმა (სამეცნიერო ესკიზი)	53
6 დიმიტრი უზნადის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისში (1909-1907 წწ.)	64
7 ქართული პედაგოგიკის ერთ-ერთი შემოქმედი	81
8 რატომ „გადაირჩია“ დიმიტრი უზნადემ ფილოსოფია?	84
9 დიმიტრი უზნადე მე-20 საუკუნის ქართული პედაგოგიკის სათავეებთან	90
10 დიმიტრი უზნადე – მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი	99
11 უზნადე და საბჭოთა იდეოლოგია	104
12 უზნადის ფსიქოლოგიური სკოლა	113
13 დიმიტრი უზნადე და ხელოვნება	122

14	ლადო გუდიაშვილი დიმიტრი უზნაძეზე	126
15	დიმიტრი უზნაძის საფლავს გიორგი ოჩიაურის ხელით გაკეთებული ბიუსტი ამშვენებს	128
16	რეპორტაჟი დიმიტრი უზნაძის სახლიდან	131
17	ის, რაც დიდი ბაბუას შესახებ სმენია... ..	135
18	დიმიტრი უზნაძის „უკანასკნელი ასპირანტის“ მოგონებანი	138
19	დიმიტრი უზნაძის სახელობის პირველი სტიპენდიატი	150
20	უცნობია, სად გააგრძელებს საქმიანობას დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი	152

წინასიტყვაობა

„უზნაძის, როგორც ერთი მრთელი ადამიანის, დანიშნულების ეფექტიანობა“ „ღვთისგან დაწყებული საქმის გაგრძელება“, რაც დიმიტრი უზნაძემ თავისი ცხოვრების წესითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით დაამტკიცა. საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941 წ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ფსიქოლოგის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის სფეროებში; ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935 წ.) და პროფესორი (1918 წ.) დიმიტრი უზნაძე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერული კონცეფციის – განწყობის თეორიის შემქმნელია.

„დაბადების (ბიბლიის) წარმოდგენით, ღმერთმა იმით დაასრულა თავისი შემოქმედების პროცესი, რომ ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა – პასიურობას, სამაგიეროდ ნივთიერების მთელი დანარჩენი მსოფლიო განუსულიერებელი დატოვა და ამით თითქოს იმთავითვე განსაზღვრული დანიშნულება მისცა ადამიანის არსებობას. ჩვენი დანიშნულება ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების განგრძობაა, ღვთისგან დაწყებული საქმის დასრულება. და თუ ასეა, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ, დაუღალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონია, ჩვენს დროულ (დროში შეზღუდულ) ცხოვრებას – ღრმა აზრი“, – ამ ფილოსოფიით იცხოვრა დიმიტრი უზნაძემ და ააგო ის მრავლობითი „შენობები“, რომლებიც თაობათა ცვლას დღემდე უძლებს და ადამიანის დანიშნულების მისეული განმარტებით ცხოვრებისკენ მოუწოდებს შთამომავლობას – რათა მის მიერ ჩაყრილმა ფუნდამენტმა კვლავაც განაგრძოს განვითარება (დღეს ხომ უკვე ჩვენ ვართ ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების მთავარი აქტორები).

მაგრამ, ისტორია მუდამ მეორდება და ამის მიზეზი ისაა, რომ ქართული საზოგადოების წინსვლისთვის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს დღემდე ვერ ვაცნობიერებთ ან, უბრალოდ, იმ ხასიათის შეცვლა არ გვინდა, რაც ოდითგანვე მოგვდგამს. დიმიტრი უზნაძემ დიდი ხანია დიაგნოზი დაუსვა იმ ერს,

რომლის გამორჩეული წარმომადგენელიც თავად არის და რომელსაც დღემდე არ გამოუცხადებია ბრძოლა საკუთარ თავში გაბატონებული ნეგატიური თვისებებისთვის. უზნაძე წერდა: „ქართველს აკლია „დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს – მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა... პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა... ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება – ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმალვე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერჯის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობდეს. პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს, და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზღადა წყდება... ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით. საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა ეჭირვება და ჩვენს ხალხს ეს აკლია; უამისობაა, რომ ჩვენ სხვის სანველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადებინებს. აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ლატაკნი ვართ, არამედ ლატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო“ („ქართველები“, დ. უზნაძე). ასეთი შეფასებების ავტორის გულისტკივილი ქართული ხასიათია. „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ – ილია ჭავჭავაძისეული ეს თეზა დიმიტრი უზნაძისთვისაც ძალიან ახლობელია. „ერის გენიოსებმა“ თავიანთი დიაგნოზით ვერაფერი უშველეს ქართველობას, ზოგადად, და ამიტომაც ვართ დღემდე ლატაკნი. თუმცა არსებობს იმედი მომავლისა, რომელიც, იქნებ, აღარ გაიმეორებს წარსულ შეცდომებს და გაჰყვება იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რასაც, თუნდაც, დიმიტრი უზნაძის საქმე და საკეთებელი ერქვა. „მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა



იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“ („სკოლა – პატარა სახელმწიფო“, დ. უზნაძე) – წერდა დიმიტრი უზნაძე, რომელიც თანამედროვე სკოლას დღესაც უბიძგებს ინიციატივიანი, შემოქმედი ქართველის აღზრდისკენ.

დიმიტრი უზნაძის ნაშრომებიდან ამონარიდები წინასიტყვაობაში მხოლოდ იმ მიზნით გამოვიყენეთ, რომ დიდი მეცნიერის მოქალაქეობრივ ღვაწლზე გვქონოდა, პირველ რიგში, წარმოდგენა. რაც შეეხება მის მრავალმხრივ საქმიანობას „ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების“ კუთხით, კრებულში ასახული „პუბლიცისტური ნარკვევებით“, შევეცდებით, წარმოვაჩინოთ.

„სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის“ – ეს სიტყვები დიმიტრი უზნაძისეული კიდევ ერთი მიგნებაა, რომელიც ჩვენი კრებულის სახელწოდებად შევარჩიეთ, რადგან ცვლადობასა და მუდმივ მოძრაობასთანაა ასოცირებული სწორედ ჩვენი პუბლიცისტური ნარკვევების მთავარი გმირის – დიმიტრი უზნაძის – ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნინო კაკულია
*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
 უნივერსიტეტის“ რედაქტორი*

ჩვენ ვალდაულნი ვართ, გავყვით იმ გზას, რომელიც მათ ევროპულ ღირებულებაზე დააშენეს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ევროპულ ტრადიციებზე დაფუძნებული ქართული სასწავლებელი, რომელიც შექმნა იმ ხალხმა, ვინც სწორედ ევროპაში მიიღო განათლება და საქართველოში ცოდნის, განათლებისა და მეცნიერების ახლებური ხედა შემოიტანა. ამ თანავარსკვლავედში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიმიტრი უზნაძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და, ზოგადად, ქართული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სკოლის დაარსებაში. მან სხვა თანამოაზრეებთან ერთად აღადგინა და განაგრძო განათლების ის მძლავრი ისტორიული ტრადიციები, რომელსაც საქართველოში იყალთოს და გელათის აკადემიებით ჩაეყარა საფუძველი.

დიმიტრი უზნაძეს უნდა ვუმადლოდეთ ქართული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლის ევროპული ფესვებიდან ამოზრდას, რითაც იმ წლებში საქართველო მსოფლიოს სამეცნიერო რუკაზე დამკვიდრდა. ამ ადამიანის მოღვაწეობის შედეგია ყველაფერი, რითაც დღეს ვამაყობთ – დაწყებული სხვადასხვა სახელმწიფო და საგანმანათლებლო ინსტიტუციების შექმნიდან, დასრულებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებით. დიმიტრი უზნაძე იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე და ეროვნული საბჭოს წევრი, რომელმაც დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნა.

წელს ამ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 130 წლისთავს – აღვნიშნავთ. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში უკვე გაიმართა თსუ-სთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია და ეს იყო ლოგიკური, რადგან ამ უნივერსიტეტის დაარსებაში დიმიტრი უზნაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის. კონფერენციაზე საუბარი იყო დიმიტრი უზნაძეზე, როგორც ფსიქოლოგსა და პედაგოგზე. შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ იაკობ გოგებაშვილის შემდეგ ვინმემ საგანმანათლებლო სკოლის დაარსებასა და განვითარებაში რაიმე წვლილი შეიტანა, ეს არის დიმიტრი უზნაძე. აღარაფერს ვამბობთ მის “განწყობის



გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი

ფსიქოლოგიასა“ და, ზოგადად, ქართული ფსიქოლოგიის სკოლის დაფუძნებაზე.

დღეს ბევრს ვმსჯელობთ – საქართველო ევროპაა თუ არა. ის ადამიანები, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის და განათლების სათავეებთან იდგნენ, სწორედ ევროპული ღირებულებებით საზრდოობდნენ. მათ შორის ყველაზე კარგი მაგალითია დიმიტრი უზნაძე. დიმიტრი უზნაძემ ლაიფციგის უნივერსიტეტში სულ სხვანაირად ისწავლა ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება. მენტალობა და აზროვნების სტილი, რომელიც მას გერმანულ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით ჩამოუყალიბდა, ეფუძნებოდა კლასიკურ ტრადიციებს, რომელიც ევროპული საუნივერსიტეტო სივრცისთვის იყო დამახასიათებელი. დიმიტრი უზნაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებული სკოლებით დღემდე ვამაყობთ. მაშინ თითქმის ყველა სამეცნიერო მიმართულებით მოხდა გარღვევა და საქართველო გამოიჩინა მსოფლიო სამეცნიერო რუკაზე.

დიმიტრი უზნაძე მრავალმხრივი ადამიანი იყო როგორც სამეცნიერო ინტერესების, ისე პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით, რადგან მან ეს გამოცდილება სხვადასხვა წარ-

მატებულ უნივერსიტეტში მიიღო. შესაბამისად, მისი ცოდნა არ შემოიფარგლებოდა ერთი გარკვეული სეგმენტით, იგი უფრო ჰოლისტიკური იყო. დიმიტრი უზნაძემ ძალიან მაღლა ასწია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თამასა, რაც დღესაც განაპირობებს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის სამეცნიერო დონეს. მას ბევრი მიმდევარი და მოსწავლე ჰყავდა. სწორედ მათ დააარსეს უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ უახლოეს მომავალში ისევ აღდგება, ვინაიდან ამ ღირებულებისა და „ბრენდის“ – დაკარგვა არ შეიძლება.

დიმიტრი უზნაძე იყო იმ პლეადის წარმომადგენელი, რომელთაც ახალი საქართველო შექმნეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავყვეთ იმ გზას, რომელიც მათ ევროპულ ღირებულებებზე დააშენეს!

გიორგი შარვაშიძე,
თსუ-ის რექტორი


მინდა, რომ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ბანკითარდეს ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე

წელს, 20 დეკემბერს (ძველი სტილით 7 დეკემბერს), დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავი სრულდება. გვინდა, რომ ეს დღე განსაკუთრებულად აღინიშნოს.

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ დღის აღნიშვნა?

დიმიტრი უზნაძე ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიის ფუძემდებელია, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანის ქცევის და ფსიქიკის იმგვარი თეორიები, როგორიც დიმიტრი უზნაძემ შექმნა, ბევრი არ არის. უზნაძის თეორია ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიაა ადამიანის ქცევის მამოძრავებელი მიზეზების შესახებ. განწყობა, როგორც მთლიანპიროვნული მდგომარეობა, რომელიც ობიექტური და სუბიექტური სიტუაციის და მოთხოვნების შერწყმის საფუძველზე აღმოცენდება, ქცევის წარმმართველია. მიუხედავად ისეთი მოდური თეორიების არსებობისა, როგორიცაა, დავუშვათ, კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი მიმდინარეობაა, თანამედროვე ფსიქოლოგიაში მაინც კრიზისია ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის მექანიზმების ახსნის თვალსაზრისით. გარდა ამისა, დ. უზნაძე იყო უნივერსიტეტის პირველ დამფუძნებლებს შორის და მისი დამსახურებაა ფსიქოლოგიის პირველი კათედრის და შემდეგ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ჩამოყალიბება.

ამიტომაც გვინდა, რომ უნივერსიტეტში ხაზგასმით აღვნიშნოთ დიმიტრი უზნაძის დაბადების დღე, რადგან ეს უნდა იყოს



განწყობის ფსიქოლოგიაში თეორიული, ფუნდამენტური და პრაქტიკული კვლევების განვითარების დასაწყისი. ამის რესურსი ნამდვილად გვაქვს. მაგალითად, ჩვენი პროფესურა – ირაკლი იმედაძე და ვახტანგ ნადარეიშვილი აქტიურად მუშაობენ ამ სფეროში. როგორც ვიცი, განწყობის ფსიქოლოგიაში ჩვენს პროფესორს – ვახტანგ ნადარეიშვილს შეაქვს გარკვეული სიახლეები და ამან, ფაქტობრივად, შეიძლება ახალი ინტერპრეტაცია მისცეს განწყობის თეორიას ადამიანის ქცევის



თამარ გაგოშიძე

ახსნის თვალსაზრისით. პროფესორ ირაკლი იმედაძეს სერიოზული მეთოდოლოგიური მიგნებები აქვს, ხოლო პროფესორი ლალი სურმანიძე ინტერდისციპლინურ დარგში – ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ცდილობს განწყობის თეორიის ინტეგრირებას. მიხარია, რომ ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა და, როგორც დეკანს, მინდა, რომ განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია განვითარდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე. ასევე, სასურველია, რომ ახალგაზრდა მეცნიერები, დოქტორანტები და მაგისტრანტები ჩაერთონ განწყობის ფსიქოლოგიის სხვადასხვა საკითხების კვლევაში. მიმაჩნია, რომ ეს თეორია ღირს იმად, რომ ისტორიული სახით კი არ შენარჩუნდეს, არამედ, იყოს მოქმედი, განვითარებადი და განვითარებული. მას აქვს ის პოტენცია, რომ თანამედროვე პოზიტივისტური ფსიქოლოგიის კრიზისის პერიოდში ადამიანის ქცევა და ფსიქიკური ფუნქციონირება ახსნას.

თამარ გაგოშიძე,
*თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების
 მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
 თსუ-ის პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი*



პიროვნება უზნაძის თეორიაში და თეორია უზნაძის პიროვნებაზე

ერთნი წერენ – „ის იყო მეცნიერი, რომელიც სიბნელეს ებრძოდა“... სხვანი ამბობენ – „ის იყო მეცნიერი, რომელმაც ახალი მეცნიერება შექმნა“... თავად კი საკუთარი ქვეყნის მაშენებელთა შორის ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა მხოლოდ... ეს იყო მისი საქმიანობის დედააზრი.

დიმიტრი უზნაძე ქართველ მეცნიერთა იმ კოჰორტას მიეკუთვნება, რომლის მხრებზე დგომაც ერის მეცნიერულ სიმაღლეს განაპირობებს. იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებმაც საქართველოს დაუტოვეს უნივერსიტეტი, განათლება და მეცნიერება. ნაშრომები, რომელიც დიმიტრი უზნაძემ გასული საუკუნის დასაწყისში შექმნა, ერთნაირი სისრულით მოიცავს ისტორიის, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის სამეცნიერო სიღრმეებს და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

შრომა საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებისთვის – ეს იყო მისი ცხოვრების ლაიტმოტივი, რასაც „შენებას“ უწოდებდა და ასაბუთებდა, რომ ადამიანის ისტორიული წარსული ამგვარი მუშაობაა – აშენოს ის შენობა, რაც მისთვის წინაპრებს გადაუციათ. „დაბადებიდანვე დაყოლილი გვაქვს თან ის დანიშნულება, რომელსაც მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ. ჩვენი მოვალეობა ამ სახით იმთავითვე განსაზღვრულია. გასაკვირი არ არის, იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ინსტიქტურად მხოლოდ ისეთ პიროვნებებს თვლის ყურადღებისა და თაყვანისცემის ღირსად, რომელნიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ასეთი შენობის აგებას ახმარენ, ხოლო ისეთნი, რომელთაც ამგვარი შენება სისულელედ და სიგიჟედ მიუჩნევიან, რა გასაკვირია, რომ ჩვენი მეხსიერებიდან უკვალოდ ქრებიან“, – წერდა იგი და ამ მცირე ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს დიმიტრი უზნაძის აზროვნების ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები.

წელს დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წელი სრულდება.

მისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის წლებიდან, რომელთაგან მხოლოდ სამ წელს თუ გამოარჩევ, როცა საქვეყნო და ადამიანურ ღირებულებებზე არ უფიქრია, დარჩა უმდიდრესი საგანძური, რომელსაც მეცნიერები დღესაც აანალიზებენ. მისი „განწყობის ფსიქოლოგიის“ ფენომენის ახსნას მომავალი თაობაც ისეთივე ინტერესით შეეცდება, როგორცაც თავად უზნადის მონაფენი ცდილობდნენ.

დედაენა 3 წლის ასაკიდან

დიმიტრი უზნაძე დაიბადა 1886 წელს ზესტაფონში, სოფელ ზედა საქარაში. ოჯახი მრავალშვილიანი იყო. მის დედ-მამას – ნიკო უზნაძეს და ანა ჭუმბურიძეს 6 შვილი ჰყავდათ. დიმიტრის მამა გამრჯე და მშრომელი კაცი იყო – დღენიადაგ მუშაობდა და შვილებსაც შრომის სიყვარულს აჩვენებდა. თავად წიგნის მოყვარულს სწავლის მნიშვნელობა შეგნებულნი ჰქონდა და შვილების განათლებაც მისთვის უპირველესი საზრუნავი ყოფილა. როგორც ჩანს, ნიკოს დიდმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო – მისმა ოთხივე ვაჟმა უმაღლესი განათლება მიიღო, მათ შორის ორმა – საზღვარგარეთ.

ოჯახში განსაკუთრებულად აქცევდნენ ყურადღებას პატარა დიმიტრის განათლებას, რადგანაც მან ძალიან მცირე ასაკში გამოავლინა ნიჭიერება. იგი თავისი ქცევით, ხასიათით, ჭკუით, ინტერესთა სფეროებით განვითარების ჩვეულებრივ ნორმას აჭარბებდა. სამი წლის ასაკში ხელიდან არ იშორებდა დედაენას, ხოლო 4 წლის ასაკში უკვე თავისუფლად კითხულობდა.

დიმიტრი უზნაძის წიგნებისადმი დამოკიდებულების შესახებ ბიოგრაფები იხსენებენ: „ერთხელ ნიკოს ეწვია ნათესავი, რომელსაც დიტოს თანატოლი 4 წლის ბავშვი ახლდა. დიტომ ძალიან გაიხარა, მაშინვე დაამყარა ბავშვთან კონტაქტი, გამოუტანა სათამაშოები, წიგნები, რვეულები, უჩვენებდა სურათებს, უამბობდა... სტუმარმა ბიჭუნამ ერთხანს უსმინა, შემდეგ დაინყო სათამაშოების ფანჯრიდან გადაყრა. როცა ბავშვმა წიგნს დაავლო ხელი, დიტო გაუჯავრდა – წიგნების გადაყრა არ შეიძლებაო... დედის შენიშვნაზე – სტუმართან ჩხუბი ვის გაუგიაო, პატარა დიტომ უპასუხა: – მე ასეთი სულელი სტუმარი არ მინდაო... აკრიფა წიგნები, დაჯდა ხის ძირში და მთელი დღე თურმე იმ ბავშვს არ გაკარებია“...

1896 წელს დიმიტრი ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის უფროს მოსამზადებელ კლასში შეიყვანეს, სადაც ასევე ბეჯითი და შრომისმოყვარე მოსწავლის სახელი დაიმსახურა, რადგან სწავლითაც კარგად სწავლობდა და სხვა ტიპის ლიტერატურა-საც ინტერესით ეცნობოდა.

ძირითადი მიდრეკილება, რომელიც პატარა დიმიტრი უზნაძემ თავიდანვე გამოამჟღავნა, მასწავლებლობა იყო. თურმე პირველად სიტყვა „ირემი“ ამოიკითხა და მაშინვე გაიქცა თავის თანატოლთან, რომ რაც ისწავლა, მისთვისაც ეჩვენებინა. როგორც იხსენებენ, იქვე პირობა მიუცია მეზობლის ბიჭისთვის – რასაც მე ვისწავლი, შენც გასწავლიო... ასეც გაუგრძელებია და მთელი სოფლის ახალგაზრდებისთვის წერა-კითხვა მას უსწავლებია.

ნაადრევი ბავშვობის შემდეგ ყურადღებას იქცევს დიმიტრი უზნაძის ქცევის მეთოდური ხასიათი: იგი წერდა ან კითხულობდა არა შემთხვევით, არამედ მიზანდასახულად, სისტემატურად. 14 წლისა უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო – თავისუფლად მსჯელობდა ერის ბედ-იღბალზე, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლიდა სოფლელ თანატოლებს.

დიმიტრი უზნაძე გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდანვე ჩაება არაღვგალურ პოლიტიკურ მოძრაობაში, რამაც მამის შეშფოთება გამოიწვია და არც თუ უსაფუძვლოდ – 1905 წლის 1 მარტს მონაფეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის იგი მერვე კლასიდან გარიცხეს. იმავე წლის შემოდგომაზე, მამის მონდომებით, იგი სასწავლებლად ლაიფციგში გაემგზავრა.

ვუნდტის გეგმები

ლაიფციგის უნივერსიტეტში დიმიტრი უზნაძე შევიდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც მას ცნობილი მეცნიერი, ფსიქოლოგიის „მამამთავარი“ ვილჰელმ ვუნდტი ასწავლიდა.

ამ პერიოდისთვის ვუნდტის მიერ დაარსებული მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიის ლაბორატორია მესამე ათეულ წელს ითვლიდა, ანუ, იწყებოდა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ახალი გზა, რომლის სათავესთან დიმიტრი უზნაძეც დადგა.



ვ. ვუნდტი



დ. უზნაძე, ლაიფციგის პერიოდი.
1906 წ.

უნივერსიტეტში დაემონაფა იგი მეცნიერებას – ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას. გარდა ვუნდტისა, იგი უსმენდა მსოფლიოში ცნობილ ფსიქოლოგს ფოლკელტს და ფსიქოლოგსა და სოციოლოგს – ბარტს. უნივერსიტეტში ორი წლის სწავლის შემდეგ მან დაწერა ნაშრომი – „Das Notwendigkeits proplem beim Leibniz“, რომელიც სამეცნიერო საბჭომ, რომლის წევრი თავად ვუნდტი იყო, პრემიით დააჯილდოვა.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე გერონტი ქიქოძე, რომელიც მაშინ ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა, წერს: „დიტო ლაიფციგში თავისებურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი მთლიანად საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იყო ჩაფლული, ბოჰემურ ცხოვრებას არ მისდევდა. ის ყველას თავს არიდებდა და წიგნებისკენ მიეშურებოდა“.

1907 წელს დიმიტრი უზნაძე საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისის გიმნაზიაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ჩააბარა. 1909 წელს კი დაასრულა და დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ვლ. სოლოვიოვს და მისი ფილოსოფიის განხილვას მიეძღვნა. რადგანაც ლაიფციგში სოლოვიოვის ფილოსოფიას არ იცნობდნენ, ამიტომ დაცვა ჰალეს უნივერსიტეტში დაინიშნა და დიმიტრი უზნაძეს ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

სხვათა შორის, ამ ნაშრომის შესახებ ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა რეცენზია, რომელსაც ხელს აწერდა გერონტი ქიქოძე. იგი წერს: „ავტორისთვის დამახასიათებელია არა მარტო ფართო ფილოსოფიური ცოდნა, განსაკუთრებით გერმანელი კლასიკებისა (უნიწარეს ყოვლისა, კანტისა და შელინგის), არამედ ნათელი და სისტემატური აზროვნება, მოხდენილი და დალაგებული წერის ნიჭი და მშვენიერი გერმანული სტილი... ის მეცნიერული კეთილსინდისიერება კი (ამ მხრივ ბატონი უზნაძე ნამდვილი მონაფეა გერმანელი მეცნიერებისა), რომელიც ამ წიგნის ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვივის, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი და მცოდნე თანამემამულე შესძლებს სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოს“.

1909 წელს დიმიტრი უზნაძე სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლის 29 აგვისტოს ქუთაისის გაზეთმა „დროება“ დაბეჭდა ცნობა, რომ „ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ, ნაცვლად ისტორიის მასწავლებლის პ. იოსელიანისა (რომელიც ტფილისის ქართულ გიმნაზიაში გადავიდა), ისტორიის მასწავლებლად მოიწვია ფილოსოფიის დოქტორი დ. უზნაძე“.



დ. უზნაძე (დგას მარჯვნიდან მესამე) კურსელებთან ერთად

ამ დროიდან ჩაება დიმიტრი უზნაძე პედაგოგიურ საქმიანობაში, თუმცა, როგორც ჩანს, საზღვარგარეთ მიღებული დიპლომი და სამეცნიერო წოდება იმ დროს არ აძლევდა მას ამის საშუალებას, ამიტომაც დიმიტრი უზნაძემ 1910 წელს ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე, რომელიც 1913 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. არსებობს ცნობა, რომ დიპლომის წარდგენის შემდეგ დიმიტრი უზნაძე ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ლეიკფელდმა დაიბარა და უნივერსიტეტში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ უზნაძემ ამაზე უარი განაცხადა, რადგანაც მისი მიზანი საქართველოში სახალხო განათლებისა და სკოლის აღორძინება იყო.

სინათლე

დიმიტრი უზნაძის პირველი საზოგადოებრივი გამოხველა 1909 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი მიძღვნილ დისკუსიას დაუკავშირდა. ამ თემაზე მაშინ რამდენიმე საკითხი იდგა დღის წესრიგში: სად უნდა ვეძებოთ მარადისობისკენ ბარათაშვილის ლტოლვის სათავე? იმყოფებოდა თუ არა ლოგიკურ კავშირში ცხოვრების ამაოების განცდა კონკრეტულ სიტუაციასთან? რა ღირებულებების მქონეა ემპირიული საზომი მარადისობის ძიებაში? დასაშვებია თუ არა ცხოვრების საკითხების მეტაფიზიკური განხილვა და სხვ. ამ კონტექსტში მიმდინარეობდა დისკუსია, როცა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის წერილები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირის მოტივები“. მან საკუთარი კონცეფციის საფუძველზე გააანალიზა ბარათაშვილის პოეზია (აქტივობის თეორია და შემოქმედებითი სწრაფვის აბსოლუტური ხასიათი), შეინყნარა არჩილ ჯორჯაძის მიერ უარყოფილი ცხოვრების საკითხების განხილვის მეტაფიზიკური პრინციპი და უარყო ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განხილვის გრიგოლ რობაქიძისეული პოზიცია. ამით დიმიტრი უზნაძემ იმთავითვე გამოამჟღავნა აზროვნების ფილოსოფიური მიდრეკილება და ინტერესთა მაღალი სფერო.

1909 წელს საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით ქუთაისში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის გამგეობის წევრა-



დ. უზნაძე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში

დაც დიმიტრი უზნაძე აირჩიეს. მან არაერთი საინტერესო ლექცია წაიკითხა მსმენელებისთვის. მის შესახებ გაზეთები წერდნენ: „დ. უზნაძემ, რომელშიც ახალგაზრდა სიცოცხლე დულს, წაიკითხა საცდელი ლექცია და რა აღმოჩნდა? უნივერსიტეტმა დიდი ძალა შეიძინა. დ. უზნაძეს აქვს მდიდარი ერუდიცია, მშვენიერი დიქცია, შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, აზრს გასაგები ფორმით ალაგებს, არ მისდევს იაფფასიან ეფექტს, ის ჩინებულად აყალიბებს თავის შინაარსიან სიტყვას. უზნაძიდან გამოჩენილი ლექტორი დადგება“. ამ პერიოდში უზნაძემ წაიკითხა რამდენიმე ლექცია, რომელთა თემა იყო: „აღმოსავლეთის კულტურის ისტორია“, „ასურეთი და ბაბილონი“, „ბატონყმობის აღორძინება და გაუქმება რუსეთსა და საქართველოში“, „სოკრატე და მისი დრო“.

დიმიტრი უზნაძის ლექციის კითხვის მანერას კარგად აღწერს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსების ერთ-ერთი მსმენელი ილია გეგეჭკორი. იგი მოგონებებში წერს: „ოთახი განათებულია გაზის სანათურით. ცნობილია, იგი ცისფერ სხივებს მიმოფანტავს გარშემო. ამ მეტად ლამაზ გარემოცვაში დგას მოხდენილი შესახედაობის, მეტად კულტურულად ჩაცმული დიმიტრი უზნაძე. მას ცალი ხელი წელზე შემოუდვია (მაშინ ეს ჩვევა ჰქონდა მას საჯარო საუბრის დროს, რაც თავისებურ სილამაზეს აძლევდა), მეტყველებს დინჯად, აუღელვებლად, არავითარი ხელოვნური პათოსი... თითქოს ერთი შეხედვით მონოტონურიც კი არის ეს მეტყველება, მაგრამ და-

კვირვებულნი თვალისთვის რამდენი შინაგანი კულტურა იყო ამ თავისებურ, დინჯ მეტყველებაში: ყოველი ბგერის გარკვეული წარმოთქმა-ჩამოქანდაკება, ჩვენთვის გასაგები პოპულარული მეტყველება სრულიად არ იყო მოკლებული მეცნიერულ სიღრმეს“. ამგვარი საჯარო ლექციები მრავლად წაიკითხა დიმიტრი უზნაძემ 1910-1913 წლებში.

მისი პედაგოგიური ალლო იმ დროსაც კი არ დარჩენილა შეუმჩნეველი. მას პატივს სცემდნენ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ამიტომაც 1913 წელს იგი პეტერბურგში სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრების დელეგატად მიაგვლინეს. ამ ყრილობაზე საქართველოს სკოლების შესახებ ცალკე რეზოლუცია მიიღეს. რეზოლუციის მოთხოვნები იყო: ქართულ სკოლაში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება, სკოლის მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზე აგება და თბილისში უნივერსიტეტის გახსნა. ამდენად, დიმიტრი უზნაძე იმთავითვე შეიძლება ვიგულოთ, როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მომხრე და მოთავე.

დიმიტრი უზნაძე დიდი ინტერესით ეკიდებოდა ქართულ საგანმანათლებლო საკითხებს. სადაც კი განიხილებოდა საკითხი მონაფეთა წერიტი მუშაობისა და ქართული მართლწერის შესახებ, უზნაძე ყველგან აქტიური მონაწილე იყო. მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვიძება, მეცნიერების გავრცელება ხალხში და სამეცნიერო ტერმინების შემუშავება ქართულ ენაზე – ეს იყო დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის გზა.

მის სახელს არაერთი სახალხო და ეროვნული საქმე უკავშირდება, ის ხელმძღვანელობდა საზოგადოება „სინათლის“ მიერ გახსნილ სათავადაზნაურო ქალთა გიმნაზიას, მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთვის გაშლილ მოძრაობაში, გამოსცემდა სახელმძღვანელოებს. დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით დაარსდა თბილისში პირველი პედაგოგიური ინსტიტუტი და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ფსიქოლოგიის ლაბორატორია (1918 წელს), რომელმაც არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი აღუზარდა საქართველოს.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძე აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, 1917-1919 წლებში კი – საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე, მან ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“.

1941 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის პირველი სამეცნიერო დაწესებულება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს ინსტიტუტად გადაკეთდა.

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები მრავალფეროვანი იყო. იგი იკვლევდა ზოგადი ფსიქოლოგიის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა აღქმის, წარმოდგენის, ყურადღების, აზროვნების, ნებისყოფის, მეტყველების პრობლემები. ასევე მუშაობდა ბავშვისა და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებზე.

იგი იყო საქართველოში შრომის ფსიქოლოგიის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. მან შეისწავლა ფენომენი (ე.წ. „უზნაძის ეფექტი“), რომელიც საფუძვლად უდევს განწყობის ექსპერიმენტულ მეთოდს (განწყობის „მცირე თეორია“). უზნაძის მოსწავლეებისა და უშუალოდ მისი დაკვირვებებისა და კვლევების შედეგად, მცირე თეორია შემდგომში ჩამოყალიბდა განწყობის ფსიქოლოგიად, რომელიც ადამიანის აქტივობის ძირითად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს შეისწავლის. ამ თეორიის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოელი მეცნიერებიც. 1966 წელს ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე გამოჩენილმა ფსიქოლოგმა ჰ. ფრესმა განაცხადა, რომ განწყობის პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემად მიაჩნდა და აღნიშნა ის დიდი წვლილი, რაც ამ პრობლემის დამუშავებაში ქართველმა ფსიქოლოგებმა შეიტანეს.

დიმიტრი უზნაძის თეორიის მნიშვნელობაზე მეტყველებს 1979 წელს თბილისში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „არაცნობიერი“, რომელზეც მთავარი ადგილი დაეთმო განწყობის თეორიას. ეს სიმპოზიუმი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები. სიმპოზიუმს მისასალმებელი წერილი გამოუგზავნა ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილმა ანი ფროიდმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ დიდი მეცნიერები სწორედ უზნაძის თეორიის უდიდესი ავტორიტეტის გამო იღებდნენ სიმპოზიუმში მონაწილეობას.

დიმიტრი უზნაძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერის მოამაგე იყო. მან, სხვებთან ერთად, დიდი ენერგია ჩააქსოვა, რათა ქართულ საზოგადოებას დარჩენოდა ქართული უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, ფსიქოლოგიური მეცნიერება, საშუალო სკოლის თეორია, ექსპერიმენტული პედაგოგიკის საფუძვლები, ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია, სასკოლო სახელმძღვანელოები.

უზნაძის „პო“

დიმიტრი უზნაძეს არ დარჩენია არც დღიური, არც კერძო მიმოწერა, არც მოგონებები, არაფერი ისეთი, რაც მის სულში ჩაგვახედებდა და მისი შემოქმედების გაგების მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა, თუმცა სპეციალისტები, მის თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, მაინც ახერხებენ ამ დიდი ადამიანის შინაგანი ბუნების წარმოჩენას.

მას, ისე როგორც ბევრ სხვა ნათელ გონებას, დაუნდობლად ებრძოდნენ საბჭოთა იდეოლოგები, რაც მწერალმა ოთარ ჩხეი-



დ. უზნაძე

დემ აღწერა კიდევ თავის რომანში „ბურუსი“, თუმცა თავად უზნაძისა და მისი გარემოცვის მასშტაბური და პრინციპული აზროვნების გამო ბევრი ვერაფერი დააკლეს ამ თეორიას.

დიმიტრი უზნაძის ხასიათის ძირითად მახასიათებლად მონოლითურობას მიიჩნევენ, თუმცა ამ მონოლითურობაში მაინც ინტელექტი სჭარბობდა. როგორც მისი თანამედროვენი წერენ, დიმიტრი უზნაძეს მახვილი და შორსმწვდომი გონება ჰქონდა, პიროვნულად უდრეკს და პრინციპულს, კაცთმოყვარეობის დიდი ნიშანი ედო თურმე. იხსენებენ: „ბევრის პატიება იცოდა. ცდი-

ლობდა ადამიანის ცუდი საქციელი კარგი მოპყრობით შეეხოჭა. იტყოდა: გაკიცხვაზე უფრო სიკეთე მოქმედებს, სიკეთე უფრო სწვდება ადამიანურ არსს, აამოძრავებს, აამოქმედებს ადამიანურ სანყისს და ეგებ კაცი შემდეგ კარგ გზას დაადგესო“.

ზოგადად მშვიდი იყო თურმე, მაგრამ ერთხელ განრისხებულიც უნახავთ. აი, როგორ აღწერს ერთ ამბავს უზნაძის ერთ-ერთი საუკეთესო მონაფე, პროფესორი იოსებ ბჟალავა: „მეორე სამამულო ომის პერიოდი იყო. ცივი, სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შენობაში ციოდა. შენობის შესასვლელთან სასკოლო მერხი იდგა. ერთ დღეს სიცივით შენუხებულმა ბუხჰალტერმა გასცა განკარგულება მერხი დაემტვრიათ და მით ლუმელი დაენტოთ. ასეც მოიქცნენ. მერხი დაიწვა. გავიდა ხანი. ერთ დღეს დიმიტრიმ მერხი მოიკითხა: – რომ არ ვხედავ, სად არისო? როცა გაიგო, რაც მერხს გადახდა, სამინლად განრისხდა, იხმო ბუხჰალტერი და ჰკითხა მას. ბუხჰალტერმა დაადასტურა, რომ მან გასცა განკარგულება მერხის დამტვრევისა. დიმიტრიმ იქვე დანერა ბრძანება ბუხჰალტერის სამსახურიდან განთავისუფლებისა“. მისთვის მერხი იყო სასწავლო საგანი, პედაგოგიკასთან დაკავშირებული ელემენტი, სწავლების ნიშანი და ამიტომ მისი განადგურება, უზნაძისნაირი კაცის გაგებით, არ შეიძლებოდა.

დიმიტრი უზნაძე მაღალი ეთიკის მქონე პიროვნება იყო. ის ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ამას მისი მოქალაქეობრივი და ადამიანური ნორმები უკარნახებდა. აქტივობა, საქმიანობა – ეს იყო მისი სიცოცხლის დევიზი, თუმცა პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და ღრმა მეცნიერული ერუდიცია არ უშლიდა ხელს – მოკრძალებული და თავმდაბალი ყოფილიყო. მისი მოსწავლეები მის პედაგოგიურ მეთოდებს მთელი ცხოვრება იხსენებდნენ და ემადლიერებოდნენ.

დიმიტრი უზნაძეს ხშირად ხედავდნენ ტრიბუნაზე ქუთაისსა და თბილისში, სადაც მისი გამოსვლები ყოველთვის აკადემიური იყო. დემაგოგიას არასოდეს მიმართავდა, მონინააღმდეგეს თანმიმდევრულად, ლოგიკური არგუმენტებით ეპაექრებოდა და ამ პაექრობაში ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა.

თანამედროვენი დიმიტრი უზნაძეს პირად ურთიერთობებსაც აღწერენ და ამბობენ, რომ იგი ძალიან უბრალო, მხიარული და სტუმართმოყვარე იყო. უყვარდა საზოგადოებაში დროის გატარება და არც წვეულებებს გაურბოდა.

დიმიტრი უზნაძის ყურადღება ასკეცდებოდა, როცა ვინმეს უჭირდა. მაგალითად, როცა მისი მონაფე ავად გამხდარა, დღეში ორჯერ მოინახულებდა თურმე მას და ექიმთა თათბირებსაც ესწრებოდა, რათა ყველაფრის საქმის კურსში ყოფილიყო. მეცნიერებასა და საზოგადოებრივ მუშაობასთან ერთად მას პიროვნებებზე ზრუნვაც საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა.

არ უყვარდა თავისი გრძნობების დემონსტრირება, მაგრამ ერთ განცდას მაინც ვერ ფარავდა – თავისი ორი შვილის – მედეასა და ეთერისადმი უსაზღვრო სიყვარულს. მოგვიანებით კი შვილშვილი დუდა აღამაზებდა მის სიცოცხლეს.

მოხსენების კითხვისას დასრულებული სიტყვებია

1950 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტრადიციული „ოთხშაბათობის“ სხდომა იყო დანიშნული. დიმიტრი უზნაძე ინსტიტუტში მისვლისთანავე საქმეს შეუდგა – თავისი უკანასკნელი შრომა მემანქანეს გადააბარა დასაბეჭდად და სხდომას მიაშურა. საბედისწერო არავის არაფერი შეუმჩნევია. განწყობის თეორიის შესახებ დიმიტრი უზნაძემ პირველმა ილაპარაკა. შემდეგ კამათში სხვებიც ჩაერთნენ. ის გულდასმით უსმენდა მოპაექრებს. ბოლოს სიტყვა ისევ მან ითხოვა. ტრიბუნასთან დადგა და პირველი სიტყვა, რაც წარმოთქვა, იყო „ფსიქიკა“... ამის შემდეგ ის შეტორტიმანდა, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიღო, ხელი აუკანკალდა, სახეზე სიფითრემ გადაჰკრა და ჩაიკეცა... საბედისწერო მომენტიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ თავის მეუღლეს, რო-



მელიც ის-ის იყო მივიდა, დაბალი ხმით შეეკითხა – „სისხლის ორმხრივი ჩაქცევაა?“ უარყოფითი პასუხის შემდეგ ხელი ოდნავ ჩაიქნია... ნახევარ საათში მდგომარეობა გაუარესდა, ცნობიერება დაკარგა.

მომხდარ უბედურებაზე ქალაქში ხმა მალე დაირხა. დაინყო შეუწყვეტელი დენა ხალხისა: მოდიოდნენ პატივისმცემლები, მეგობრები, მეცნიერები, სტუდენტები... მთელი ღამე ფეხზე დგომით გაათენეს მომაკვდავ ადამიანთან...

12 ოქტომბერს დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა ისე, როგორც გარდაიცვალა მისი უფროსი თანამედროვე და თანამოაზრე, დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ორივეს სიცოცხლე ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში გაიღია და სიკვდილიც ორივეს თავისი ხალხის თვალწინ ერგოთ, ერთს ლექციის კითხვისას აღმოხდა სული, მეორეს კი ინსტიტუტში მოხსენების კითხვისას.

ერთი მათგანის უკანასკნელი სიტყვა საქართველოს ისტორია იყო, მეორისა კი – ქართული ფსიქოლოგია...

დიმიტრი უზნაძე ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. 1988 წლის 21 მაისს კი მისი ნეშტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონს მიაბარეს.

მანია ტორაძე

**თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ ყურნალისტი**

*მონაცემები ეყრდნობა ნ. ბერულავას წიგნს
„დიმიტრი უზნაძე“ და ბლოგზე „ბურუსი“
(<http://burusi.wordpress.com>) გამოქვეყნებულ მასალებს*



ქრონოლოგია

- 20.12.1886 წელს** სოფელ საქარაში დაიბადა დიმიტრი უზნაძე.
- 1896 წელს** შეიყვანეს ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში.
- 1905 წელს** ჩაირიცხა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.
- 1907 წელს** დ. უზნაძე წერს თავის პირველ სამეცნიერო შრომას. იგი ლაიბნიცს მიეძღვნა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ პრემიით დაჯილდოვდა.
- 1909 წელს** უზნაძე ქმნის სერიოზულ ნაშრომს ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე, რომელშიც დოქტორის ხარისხს ანიჭებენ.
- 1909 წელს** ბრუნდება საქართველოში.
- 1910 წელს** შედის ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე.
- 1913 წელს** ხარკოვის უნივერსიტეტი დ. უზნაძეს პირველი ხარისხის დიპლომს ანიჭებს.
- 1910-1916 წწ.** დ. უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში.
- 1912 წელს** გამოსცა ნიგნი „შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში“, რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას – ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას.
- 1909 წელს** დ. უზნაძე ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად აირჩიეს.
- 1913 წელს** დ. უზნაძე სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრების დელეგატია პეტერბურგში.

- 1910-1915 წწ.** დ. უზნაძემ საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ექსპერიმენტულ პედაგოგიკას, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს.
- 1910 წელს** გამოქვეყნდა დ. უზნაძის პირველი ნაშრომი პედაგოგიკაში: „აღზრდის მიზნები“.
- 1909-1917 წწ.** დ. უზნაძე ისტორიისა და ფილოსოფიური პროპედევტიკის მასწავლებლად მუშაობს ქუთაისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში.
- 1914-1916 წწ.** დ. უზნაძე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ისტორიის მასწავლებელია ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიაში.
- 1914-1917 წწ.** დ. უზნაძე ასწავლის ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში.
- 1917 წელს** დ. უზნაძე სამუშაოდ თბილისში გადადის.
- 12.05.1917 წელს** დ. უზნაძე ივანე ჯავახიშვილის მოწვევით შეკრებილ უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი დამფუძნებელი კრების წევრია.
- 1918 წელს** დ. უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიის ლაბორატორიას.
- 1918 წელს** დ. უზნაძემ თბილისის უნივერსიტეტში გახსნა ფსიქოლოგიის კათედრა.
- 1915-1918 წწ.** დ. უზნაძე „სინათლის“ სკოლის დირექტორია.
- 1918-1950 წწ.** ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობს თბილისის უნივერსიტეტში.
- 1921-1923 წწ.** დ. უზნაძე დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მდივნად.
- 1923-1925 წწ.** დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანად.
- 1927 წელს** დააარსა და ბოლომდე ხელმძღვანელობდა საფსიქოლოგიო საზოგადოებას საქართველოში.

- 1927-1929 წწ.** თბილისის საქალაქო საბჭოს ფსიქოტექნიკური ლაბორატორიის გამგედ მუშაობს.
- 1931 წელს** საქართველოს განათლების კომისარიატთან არსებულმა საკვალიფიკაციო კომისიამ დ. უზნაძეს პროფესორის წოდება დაუმტკიცა.
- 1935 წელს** საქართველოს განათლების კომისარიატთან არსებულმა საკავშირო კომისიამ დ. უზნაძეს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა.
- 1941 წელს** შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი დ. უზნაძეც იყო.
- 1941-1941 წწ.** დ. უზნაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აარსებს და ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიის სექტორს.
- 1941-1942 წწ.** დ. უზნაძე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ.
- 1943-1950 წწ.** ასრულებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას.
- 1941-1950 წწ.** დ. უზნაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრეზიდიუმის წევრია.
- 1941 წელს** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დ. უზნაძე დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- 1944 წელს** დაინიშნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ფსიქოლოგიური განყოფილების გამგედ.
- 12.10.1950 წელს** დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა.

2

ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი



1917 წლის 12 მაისს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით შეკრებილი უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი დამფუძნებელი კრების 28 წევრიდან ერთ-ერთი დიმიტრი უზნაძე იყო. ამ კრებაზე გადაწყდა – დაარსებულიყო “ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველი სათანადო ფაკულტეტებით”. უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით სამზადისი შეუწელებლად წარმოებდა: არკვევდნენ უნივერსიტეტის პროფილს, ძალებს, წესებს... დიმიტრი უზნაძე პროცესებში აქტიურად იყო ჩართული

და მას ყველა საქმეში “წილი ედო”. უნივერსიტეტი ჯერაც არ იყო გახსნილი, მაგრამ პროფესორთა საბჭო უკვე მუშაობდა. პირველი სხდომის ოქმში განხილულია: „რა ტიპის უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტი? როგორც რუსეთშია თუ სხვაგვარი?“ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კი გადაწყდა, რომ უცხოეთის ბევრი უნივერსიტეტის მსგავსად, პირველ ქართულ უნივერსიტეტში დაარსებულიყო ერთი სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. მხოლოდ იმთავითვე უნდა გახსნილიყო ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება. ამ დარგზე საგნების ნასაკითხად დასახელებული იყვნენ პროფესორები, მეცნიერ-ხელმძღვანელები, ლექტორები, მათ შორის, პროფესორი დიმიტრი უზნაძე.



დიმიტრი უზნაძე (მარჯვნიდან პირველი) ივანე ჯავახიშვილთან და ივანე ბერიტაშვილთან ერთად

„ქართული უნივერსიტეტის სხდომის დღიურში“ საუბარია, ასევე, მომავალი სასწავლო გეგმის შედგენაზე, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული დიმიტრი უზნაძე.

უნივერსიტეტის გახსნის მეორე დღეს ფაკულტეტის სხდომაზე განიხილეს ლექციების განაწილების საკითხი და გამოიტანეს ასეთი დადგენილება: „საკითხი საბოლოოდ მიენდო დ. უზნაძეს და ი. ყიფშიძეს“ – ასეთია ქართული უნივერსიტეტის „ამოძრავებისთვის“ გადადგმული პირველი ნაბიჯები.

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან დიმიტრი უზნაძე მხარში ამოუდგა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1917-1918 წლებში იგი იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი.

უნივერსიტეტის სტრუქტურაში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარება იმთავითვე პრიორიტეტულ საქმედ იქნა მიჩნეული – ეს იყო ურთულესი მისია, რადგან მაშინდელ საქართველოში მეცნიერული ფსიქოლოგიური აზროვნება ერთადერთი მეცნიერის – დიმიტრი უზნაძის სახით იყო წარმოდგენილი. უზნაძემ წარმატებით გაართვა თავი ამ მისიას: დააარსა ფსიქოლოგიის კათედრა, ცოტა მოგვიანებით კი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც, წლების შემდეგ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა; შექმნა პირველი ფსიქოლოგიური სახელმძღვანელოები და ქართული ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია; მოამზადა კვალიფიციურ ფსიქოლოგთა ახალგაზრდა თაობა, ვისთან ერთადაც საკუთა-



დიმიტრი უზნაძე (ცენტრში) ფსიქოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლებთან. 1930 წ. 26 ივლისი
 ფოტოს ახლავს წარწერა „ძვირფას აღმზრდელს დ. უზნაძეს“ –
 ფსიქოლოგიური ლაბორატორია



დიმიტრი უზნაძე ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში სტუდენტებთან ერთად

რი მეცნიერული სკოლა დააფუძნა და მუშაობა დაიწყო ორიგინალურ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო განწყობის ფსიქოლოგიის სახელით იცნობს.

1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამრიგად, დ. უზნაძე სრული მზაობით შეხვდა იმ მოთხოვნებს, რასაც მას უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მისი ფუნქციონირების გარკვეული მიმართულების ხელმძღვანელის როლი აკისრებდა. ეს მზაობა იმ აქტიური და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგი იყო, რასაც ახალგაზრდა მეცნიერი და პედაგოგი ქუთაისში ეწეოდა 1909-1917 წლებში.

აღსანიშნავია, რომ 1938 წელს უნივერსიტეტის 20 წლის-თავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, დიმიტრი უზნაძე, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, მეცნიერული დამსახურებისათვის “საპატიო სიგელით“ დააჯილდოვეს.



დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის თაობაზე

როგორც ქართული ფსიქოლოგიის ისტორიის მკვლევრები ამბობენ, ქართული ფსიქოლოგიის ისტორია, არსებითად, ორ პერიოდს მოიცავს: უზნაძემდე და უზნაძის შემდეგ. დიმიტრი უზნაძე სწორედ ის ცენტრალური ფიგურაა, რომელიც სათავეს უდებს ახალ თეორიულ თუ პრაქტიკულ ფსიქოლოგიურ აზროვნებას საქართველოში. უზნაძის და მისი სკოლის ისტორიის შემსწავლელ მრავალ ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა შორისა ან გაუქმებული დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი იმედაძეც, რომელმაც 2008 წელს გამოცემულ წიგნში „ფსიქოლოგიის ისტორია“ განიხილა საკუთრივ უზნაძის სკოლის მონაპოვარიც. ირაკლი იმედაძე, რომელმაც უზნაძის ფართო სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა ასპექტი წარმოგვიდგინა და სიღრმისეულად გაშალა უზნაძის თეორიის არსი, დაინტერესებულთა ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის პოპულარიზაციით არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ საზღვარგარეთაც. ამ მიზნის მსახურებისას მან უზნაძის შთამომავალთა, მისი სკოლის მიმდევართა თუ მოსწავლეთა ჩანაწერებში, შრომებში, სხვადასხვა საკონფერენციო მასალებსა თუ არქივებში არაერთი ინფორმაცია მოიძია და შეაგროვა. უცხოელ თუ ქართველ ფსიქოლოგთა საზოგადოებასთან,



ირაკლი იმედაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფსიქოლოგი

უზნაძის შთამომავლებთან პირადი ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საფუძველზეც ირაკლი იმედაძემ საკმაო ცოდნა დააგროვა დიმიტრი უზნაძის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის თაობაზე, რაც მომავალი თაობისთვის საინტერესოდ მოსასმენია. სწორედ მის მიერ წარმოდგენილი ფრაგმენტებით შევეცდებით დიდი მეცნიერის მიერ შექმნილის თეორიისა და ცხოვრების „გაშიფვრას“.

უზნაძის ეფექტები

დიმიტრი უზნაძემ კვლევითი მუშაობა ფსიქოლოგიაში გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფსიქოლოგია ე.წ. „ღია კრიზისის ხანაში“ შევიდა და ტრადიციული ფსიქოლოგიის უნაყოფობა საყოველთაოდ ნათელი გახდა. ევროპასა და ამერიკაში თავი იჩინა ფსიქოლოგიის რეფორმირების ძლიერმა ტენდენციამ. გაჩნდა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური სისტემები (ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა ასპექტში დაუპირისპირდნენ კლასიკურ ფსიქოლოგიას. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური კონცეფციები ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ და მრავალი კუთხით ურთიერთგამომრიცხავნიც იყვნენ. ფსიქოლოგიური კვლევა განსხვავებული და შეუთავსებელი პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობდა. არ არსებობდა ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერება, არსებობდა მრავალი ფსიქოლოგია. საჭირო იყო მოცემული ფსიქოლოგიური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეების გარკვევა და მათი პრინციპული ხარვეზების დაძლევის გზის პოვნა.

თავდაპირველად უზნაძემ სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. სათანადო ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქამდე არსებულ ყველა ფსიქოლოგიურ შეხედულებას ერთი საერთო შეცდომა ახასიათებდა. ისინი დაფუძნებულნი იყვნენ შეუმომნებელ და უკრიტიკოდ მიღებულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე, რომელსაც უზნაძემ უშუალოდ პოსტულატი უწოდა. თავის ორიგინალურ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მან ამოცანად აღნიშნული პოსტულატის დაძლევა დაისახა. ამ მეთოდოლოგიურ ამოცანას შემდგომში „უზნაძის ამოცანა“ უწოდეს.

დაისახა რა აღნიშნული მეთოდოლოგიური ამოცანა, უზნაძე ახალი ფსიქოლოგიური სისტემის შექმნას შეუდგა. კვლევა-ძიება თავიდანვე ერთდროულად თეორიულ და ემპირიულ პლანში მიმდინარეობდა. დამუშავდა სისტემის ცენტრალური ცნება – განწყობა; გამოიკვეთა მისი არსებითი ნიშნები. პარალელურად დაიწყო განწყობის სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და კანონზომიერებების ექსპერიმენტული შესწავლა.




განწყობა პირველადი მდგომარეობაა, რომელთან მიმართებაში სუბიექტში მიმდინარე ყველა ფსიქოფიზიკური პროცესი მეორადი ხასიათისაა. ეს პროცესები, ჩვეულებრივ, ქცევას ემსახურება და ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის ფორმაშია მოქცეული; ქცევა კი, საზოგადოდ, „გარე სინამდვილის ზემოქმედებით განისაზღვრება არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულად, სახელდობრ, სუბიექტის ქცევაში მისი მთლიანობითი ასახვის, სუბიექტის ქცევის განწყობის საშუალებით. ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ამისდა მიხედვით, მეორად წარმოშობის მოვლენას წარმოადგენს“. უზნაძის თეორიის ძირითადი სქემა ასეთია: გარემო – სუბიექტი (განწყობა) – ქცევა. განწყობა გააზრებულია როგორც შუალედური ცვლადი გარემოსა და ქცევას შორის. იგი ქცევის უშუალო მიზეზია, ქცევის რეალური ფსიქოლოგიური მექანიზმია. განწყობა წინ უსწრებს ქცევას და განსაზღვრავს მის მიზანშეწონილ ხასიათს. იგი ქცევის მიზანშეწონილების საფუძველია. განწყობა მთლიანი სუბიექტის ქცევისათვის მზაობაა. მასში თავმოყრილია ყველა ის მომენტი, რომელიც აქტივობის მიზანშეწონილი განვითარებისათვისაა აუცილებელი.

როგორც ვხედავთ, განწყობის ფსიქოლოგიაში პიროვნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ შეიძლება რამდენიმე ასპექტი გამოიყოს: ზო-

გადფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოცემულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ქცევის მთლიანი სუბიექტის (მათ შორის პიროვნების) ფსიქოლოგიური არსებობის ფორმა – მოდუსი – არის განწყობა. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ქცევის ყოველი სუბიექტი მთლიანია, მაგრამ ყოველი სუბიექტი არ არის პიროვნება (მაგალითად, ცხოველი). აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისმის საკითხი პიროვნების, როგორც სპეციფიკური ადამიანური ქცევის სუბიექტის, თავისებურების შესახებ. ქცევისა და ფსიქიკის ადამიანური დონის სპეციფიკის ცხადყოფა უზნაძისთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა.

უზნაძე ცდილობდა ემპირიული დასაბუთება მოენახა თავისი თეორიული შეხედულებებისთვის. ამისთვის მან თავის მონაწიეებთან ერთად აღქმის ილუზიების შესწავლას მიმართა. ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ილუზიის რა სახესთანაც არ უნდა გვექონდეს საქმე, ის გამონეულია ცდის პირველ ნაწილში დაფიქსირებული განწყობის მოქმედებით. განწყობა, რომელიც იქმნება და მტკიცდება საფიქსაციო ცდაში, განსაზღვრავს და წარმართავს პერცეპტულ პროცესს – აღქმის ილუზიას. ეს მეთოდი ფიქსირებული განწყობის მეთოდის სახელითაა ცნობილი, ხოლო მისი გამოყენებით მიღებულ განწყობის ეფექტს პიაჟემ „უზნაძის ეფექტები“ უწოდა. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამდაგვარი განწყობის ეფექტების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ აღქმის, არამედ



ზ. ფროიდი



ლ. უზნაძე

აზროვნების, წარმოსახვის, ფსიქო-მოტორული აქტივობის თუ სხვა სფეროში. ეს სავსებით ადასტურებს იმას, რომ განწყობა ყოველგვარი ფსიქოფიზიკური აქტივობის საფუძველსა და გამსაზღვრელ მექანიზმია. უზნაძის მეთოდი, უბრალოდ, საშუალებას იძლევა – განწყობა ხელოვნურად შეექმნათ, გავაძლიეროთ და შემოვიწიოთ, დავადგინოთ მისი აქტივობაში გამოვლენის კანონზომიერებანი.

პირველ რიგში, დამტკიცდა თეორიის ძირითადი დებულებები განწყობის ბუნების შესახებ, სახელდობრ, განწყობის მთლიანობა და არაცნობიერება.

პიროვნების (სუბიექტის) კატეგორიასთან ერთად განწყობის თეორიაში დამუშავებულია ფსიქოლოგიის ისეთი ძირეული კატეგორიებიც, როგორებიცაა ქცევა, ცნობიერება და არაცნობიერი. სრულყოფილი, უნივერსალური ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია ამ კატეგორიებს ერთიანი პრინციპიდან გამომდინარე უნდა განიხილავდეს. ასეა განწყობის თეორიაში.

მოგვიანებით უზნაძემ განწყობა ერთმნიშვნელოვნად ფსიქიკის სფეროს მიაკუთვნა.

ფსიქოლოგიაში არაცნობიერის შესწავლა ტრადიციულად ფსიქოანალიზის დომინირების ნიშნით მიმდინარეობდა. უზნაძე თავიდანვე დაუპირისპირდა არაცნობიერის ფროიდისტულ გაგებას. მას მიაჩნდა, რომ ფროიდის თვალსაზრისი არაცნობიერის ბუნებისა და წარმოშობის თაობაზე არ გვაძლევს რაიმე ახალ ცოდნას ფსიქიკის რაობისა და მისი განვითარების შესახებ. უზნაძე აკრიტიკებდა ფროიდის არაცნობიერის კონცეფციას, მაგრამ აღიარებდა ფსიქოანალიზის წარმატებებს მკურნალობის პროცესში. მისი აზრით, ფროიდი, მართლაც, ხშირად ახერხებდა იმის დადგენას, რაც რეალურად აპირობებდა დაავადების პროცესს. უზნაძე თვლიდა, რომ ეს იყო ე.წ. არარეალიზებული განწყობები. ნევროტული მოვლენების გარდა, ამ განწყობათა გამოვლინებაა ფსიქოანალიზის სხვა ფაქტოლოგიაც: ნამოცდენები, სიზმრები, ასოციაციები და სხვა. არარეალიზებულ განწყობებად ის შემთხვევებია მიჩნეული, როცა განწყობა, რალაც ვითარების გამო, ვერ ახერხებს მოქმედებაში გადასვლას და განუხორციელებელი რჩება. სუბიექტს მრავალი ასეთი განწყობა აქვს. ისინი მუდამ ესწრაფვიან რეალიზაციისკენ, რაც ვლინდება ან აქტიურ ფანტაზიაში ან ე.წ. ცნობიერის შეცვლილ მდგომარეობებში (მაგალითად, სიზმარი, ოცნება).

მაგრამ განწყობა, პირველყოვლისა, ჩვეულებრივი ან სიფიზიზის ცნობიერების განმაპირობებელი მექანიზმია. უზნადისთვის ცნობიერების კატეგორია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და იგი მრავალი ასპექტით აანალიზებს მას, კერძოდ ყურადღების, აზროვნების, წარმოსახვის, ნებისყოფის პროცესებთან მიმართებაში. ქცევაში ცნობიერების მონაწილეობის დახასიათება მოცემული ე.წ. ობიექტივაციის კონცეფციაში, რომლის შექმნას უზნადე შემოქმედების ბოლო პერიოდში შეუდგა.

სხვადასხვა სახის შეფასება განწყობის ფსიქოლოგიას არ დაჰკლებია. დასავლეთში იგი არსებითად განიხილებოდა ე.წ. „საბჭოთა ფსიქოლოგიის“ ნაწილად. ეს, შესაძლოა, ფორმალურად მართებულიც იყო, მაგრამ განწყობის თეორია მანაც ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვა კონცეფციებისაგან მთელი რიგი ნიშნებით, პირველ ყოვლისა იმით, რომ ის პრაქტიკულად არ იყო იდეოლოგიზირებული. ეს გარემოება, სხვათაშორის, შედარებით ობიექტურ დასავლელ ექსპერტებსაც არ გამოჰპარვიათ. ყველა წამყვანი საბჭოთა თეორეტიკოსი თავისი შეხედულებათა სისტემის აგების საჭიროებას მარქსისტული ფსიქოლოგიის შექმნის აუცილებლობით ასაბუთებდა. უზნადეს არასოდეს დაუსვამს ასეთი ამოცანა და არც ოფიციალის საამებლად მოუხდენია ამგვარი განზრახვის დეკლარაცია. განწყობის თეორიის შექმნის მოტივაცია დაკავშირებულია მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემებთან, ისეთებთან, როგორიცაა ფსიქოფიზიკური პრობლემა, სუბიექტის პრობლემა, ქცევის მიზანშეწონილების პრობლემა და ფსიქიკის განვითარების პრობლემა. ბუნებრივია, რომ იმ სახელმწიფოში, რომელშიც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, მისი იდეოლოგიური კორექტულობის საკითხი თითქმის მუდმივად იდგა დღის წესრიგში. იგი მრავალჯერ გამხდარა განხილვის, შეფასებისა და უაღრესად მწვავე დისკუსიების საგანი.

კამათში ხშირად გამარჯვებული

საქართველოში უზნადის აქტიური მოღვაწეობის პერიოდში ინტელექტუალური ცხოვრება ჩქეფდა, იმართებოდა დისკუსიები და პაექრობები. რაიმე კონკრეტულ თემაზე, მაგალითად, პოლიტიკურ-სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ საკითხებზე ორ მო-



გრ. რობაქიძე

კამათეს დაუპირისპირებდნენ ხოლმე ერთმანეთს და მიდიოდა კამათი, შემდეგ კი ჟიური გამარჯვებულს გამოავლენდა. დისკუსია იბეჭდებოდა გაზეთებში. დიმიტრი უზნაძე სწორედ ასეთ პოლემიკებში იღებდა ხშირად მონაწილეობას. იგი აქტიური კაცი იყო და პოლიტიკურადაც მომზადებული გახლდათ. ძალიან ძნელი იყო მასთან კამათი, რადგან ფაქტებით საუბრობდა. არავის პატიობდა არასერიოზულ დამოკიდებულებას მეცნიერების

მიმართ ან გახუმრებას მეცნიერებასთან. ერთხელ დისკუსია ჰქონდა მწერალ გრიგოლ რობაქიძესთანაც, რომლის ჩანაწერიც არსებობს. ისინი ძალიან საინტერესოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით, თუ რაშია შემოქმედების არსი? რას ემსახურება სამწერლო და პოეტური შემოქმედება? რით იკვებება იგი? და ა.შ. წერილობითი სახითაც ჰქონდათ გარკვეული პოლემიკა, მაგრამ დისკუსია საჯაროდ შემდგარა.

როგორ გადაურჩა რეპრესიებს

დიმიტრი უზნაძეს, როგორც გერმანული ფსიქოლოგიის სკოლაგამოვლილს, პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ისეთ მოღვაწეებთან, რომელთაგან მრავალი კლასიკოსად ითვლება ფსიქოლოგიის სფეროში და რომლებიც არაერთ სახელმძღვანელოშია შესული, მაგრამ ძალიან ბევრთან შეგნებულად გაუწყვეტია ურთიერთობა: საქართველოში გამეფებული რეპრესიების დროს სთხოვდა მათ, არ მიეწერათ მისთვის წერილები, რადგან მიმონერის შემთხვევაში შეიძლება დაეჭირათ კიდეც. დიმიტრი უზნაძე სასწაულად გადარჩა. მას გაუმართლა, თუ შეიძლება ითქვას. შინსახკომში ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე იყო და, ერთხელ, 1936 წელს, ერთ-ერთმა მისმა ნამონაფარმა წინასწარ

გააფრთხილა თურმე, რომ მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული და დღე-დღეზე მიაკითხავდნენ დასაჭერად. როცა მიადგნენ სახლში, უზნაძე იქ აღარ დახვდათ, რადგან კახეთში იმალებოდა. რამდენიმე თვე თბილისში არ გამოჩენილა და შემდეგ ამ ტალღამ გადაიარა... ასე გადარჩა დიდი ფსიქოლოგი.

სტალინთან აუღიანციის მოლოდინში

ცნობილია ის ფაქტი, რომ ბერიას უნდოდა (ეს არის 50-იანი წლების მიჯნაზე), რომ დ. უზნაძე შეეხვედრებინა სტალინისთვის. ამბობენ, რომ სტალინს სამუშაო მაგიდაზე უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“ ედოო და, როგორც ჩანს, სურდა ის გაეხადა საყოველთაო „საბჭოთა“ ფსიქოლოგიად. ეს რომ ასე მომხდარიყო, ახლა პირველი ხალხი ვიქნებოდით მსოფლიოში ცნობადობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ეს რუსებს ძალიან არ მოეწონებოდათ. სტალინთან შეხვედრის მოლოდინში თურმე ერთი-ორი თვე მჯდარა მოსკოვის ერთერთ სასტუმროში ბატონი დიმიტრი, თანაც არ იცოდა, რისთვის იყო გამოძახებული კრემლში. ეს მხოლოდ შემდეგ გაიშიფრა... მოუცლელობის თუ სტალინის გადაუწყვეტლობის გამო ეს შეხვედრა ვერ შედგა. უზნაძე ცოცხალ-მკვდარი დაბრუნებულა საქართველოში, რადგან ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის იყო სტალინთან დაბარებული. დიმიტრი უზნაძის უხედავობა ის იყო, რომ იმ პერიოდის დროინდელ საქართველოში დაიბადა, თორემ ნორმალურ ქვეყანაში რომ ყოფილიყო, შევიდოდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ფსიქოლოგთა ჩამონათვალში. იგი თავისი მომზადებისა თუ ინტელექტის, თავისი თეორიის ხარისხითაც არავის ჩამოუვარდებოდა.

ნინო კაკულია

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ რედაქტორი*

4

ფსიქოლოგები უზნაძის ქოლგის ქვეშ

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა იმდენად მდიდარია, რომ მას მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების ფუძემდებლად მოიხსენიებენ. მისი განწყობის ფსიქოლოგია – ცოცხალი, განვითარებადი და მუდმივად ინტერესის გამომწვევი სამეცნიერო მიმართულებაა, რომელმაც დროს გაუძლო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებიც ამას მიუთითებენ – დიმიტრი უზნაძე და მისი მემკვიდრეობა უმდიდრესი საგანძურია მეცნიერებისთვის.

დიმიტრი უზნაძე – მეცნიერების კლასიკოსი

დიმიტრი უზნაძე სიცოცხლეშივე იქცა მეცნიერების კლასიკოსად. მან შექმნა ფსიქოლოგიური კვლევის ახალი, ორიგინალური მიმართულება – განწყობის თეორია – მსოფლიო მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარი. დიმიტრი უზნაძემ შეძლო ის, რასაც ვერ ახერხებდნენ ბევრი დიდი მეცნიერი – შექმნა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, რითაც საფუძველი ჩაუყარა მის მიერ შექმნილი თეორიის ბაზაზე ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებულია დიმიტრი უზნაძის ღვაწლი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა.

უნივერსიტეტის დაარსების დროისთვის დიმიტრი უზნაძე 31 წლის იყო, თუმცა ამ დროისთვის მას უკვე ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი.

როგორც მეცნიერმა, დიმიტრი უზნაძემ მოღვაწეობა ფილოსოფიაში დაიწყო. დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში ვლადიმერ სოლოვიოვის შემეცნების თეორიისა და მეტაფიზიკის საკითხებზე.

ფილოსოფიის თემებზე მუშაობას დიმიტრი უზნაძე შემდგომაც აგრძელებდა. უზნაძის ფილოსოფიური შრომების აღიარებაა დიმიტრი უზნაძის XX საუკუნის დასაწყისის ქართული

ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლად დასახელება ძმები გრანატების ენციკლოპედიურ ლექსიკონში 1913 წელს.

ლაიფციგის უნივერსიტეტში დიმიტრი უზნაძე ფსიქოლოგიას მეცნიერული ფსიქოლოგიის მამამთავართან ვილჰელმ ვუნდტან ეუფლებოდა – უსმენდა მის ლექციებს ფსიქოლოგიაში და მუშაობდა მის მიერ დაარსებულ მსოფლიოში პირველ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში.

გერმანიიდან დიმიტრი უზნაძე საქართველოში დაბრუნდა და ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობა ქუთაისში უაღრესად ნაყოფიერი პერიოდია მის შემოქმედებაში. აქ დიმიტრი უზნაძე აგრძელებს მუშაობას უკვე პედაგოგიკის მიმართულებით. რამდენადაც იგი სკოლაში ისტორიას ასწავლიდა, ხოლო სასწავლებელი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდიდა, უზნაძემ დაამუშავა და გამოაქვეყნა ისტორიის სახელმძღვანელოები: „პირველყოფილი კულტურა“, „ძველი აღმოსავლეთი“, „ძველი და ახალი ისტორია“ თავისივე ხელით შესრულებული ილუსტრაციებით.

1912 წელს იგი აქვეყნებს ნაშრომს „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, რომელიც, იმდროინდელი პედაგოგიური მეცნიერების უახლეს მიღწევათა გადმოცემასთან ერთად, ორიგინალურ შეხედულებებს და მითითებებსაც შეიცავდა. ეს იყო პედაგოგიური ხასიათის პირველი ნაშრომი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები და რომლითაც იწყება საქართველოში ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და ბავშვის ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, განვითარება.

1915 წელს საზოგადოება „სინათლის“ ბაზაზე უზნაძემ დააარსა ქალთა ქართული სკოლა, სადაც სწავლა-აღზრდის პროცესი მოწინავე პედაგოგიურ პრინციპებს ემყარებოდა. ეს პრინციპები უზნაძეს დასაბუთებული ჰქონდა წერილში „ქალთა საშუალო განათლების პრინციპები“.

ქუთაისში ჩამოსვლისთანავე ის აქტიურად მონაწილეობს ახლად დაარსებულ სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობაში, რომლის მიზანიც იყო ხალხის ფართო მასების გათვითცნობიერება და განათლება. დიმიტრი უზნაძემ მრავალი ლექცია წაიკითხა ისტორიის, ლიტერატურის საკითხებზე. ამავე პერიოდს

ეკუთვნის დიმიტრი უზნაძის შესანიშნავი წერილები ლიტერატურის და ესთეტიკის საკითხებზე. იგი ავტორია თვალსაჩინო გამოკვლევებისა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. უზნაძის სამეცნიერო კვლევის საგანი იყო ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აგრეთვე მისი თანამედროვე მწერლების შემოქმედება.

ქუთაისში გატარებულმა წლებმა დიდი გამოცდილება შესძინა მას, როგორც ორგანიზატორს, მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის დიმიტრი უზნაძე უფრო ცნობილი იყო, როგორც ფილოსოფოსი და პედაგოგი, იგი, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგი იყო, რაც გამოჩნდა მთელ მის შემდგომ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

1917 წლიდან დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობაში ახალი პერიოდი დაიწყო. იგი ივანე ჯავახიშვილის მონვევით საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ჩაება მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ დიდ მუშაობაში, რასაც თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება მოჰყვა.

პირველი ქართული უნივერსიტეტის ავტორიტეტი და პრესტიჟი ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებაზეც იყო დამოკიდებული, რომელიც უნივერსიტეტის გახსნისთანავე ცალკე დარგად გამოიყო და ერთადერთი ფსიქოლოგით, დიმიტრი უზნაძის სახით იყო წარმოდგენილი. პირველი საუნივერსიტეტო ლექცია დიმიტრი უზნაძემ 1918 წლის იანვარში წაიკითხა. ეს იყო რიგით მესამე ლექცია ივანე ჯავახიშვილის და კორნელი კეკელიძის ლექციების შემდეგ.

სანამ ფსიქოლოგთა კადრებს მოამზადებდა, ყველა სპეციალურ საგანს მხოლოდ დიმიტრი უზნაძე კითხულობდა. ფსიქოლოგია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო საგანი იყო, რაც კადრების მომზადებისა და სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობას აყენებდა. საქართველოში ფსიქოლოგიის სწავლებისა თუ კვლევის ყველა საკითხი – მეცნიერული, პედაგოგიური თუ ორგანიზაციული, დიმიტრი უზნაძეს უნდა გადაეწყვიტა.

უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში, სანამ ფსიქოლოგთა პირველ თაობას მოამზადებდა, ყველა სპეციალურ საგანს (ზოგადი ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია, დიფერენციალური ფსიქოლოგია და შრომის ფსიქოლოგია; აგრეთვე

პედაგოგია და პედაგოგიკის ისტორია) თვით დიმიტრი უზნაძე კითხულობდა. იგი ხელმძღვანელობდა სემინარებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქვეყანაში ეროვნული (საშუალო-საჯარო) სკოლები მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ და ითხოვდნენ მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადებას. ეს საკითხი უშუალოდ უნივერსიტეტს ეხებოდა. პროფესორთა საბჭოზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნა. 1919 წელს ინსტიტუტის დირექტორად ერთხმად აირჩიეს პროფესორი დიმიტრი უზნაძე. „ამრიგად, ფსიქოლოგიის კათედრას ცარიელ ადგილზე მოუხდა მუშაობის დაწყება“ – წერს უზნაძე – „არც ფსიქოლოგიური კადრები, არც ფსიქოლოგიური ლიტერატურა, არც ფსიქოლოგიური მეცნიერული ენა, არაფერი ეს მაშინ მზად არ ყოფილა და ყველაფერი ეს გასაკეთებელი იყო“.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, გასაგები გახდება ის ზეაღმნიანი ნიჭი და შემართება, რამაც ახალგაზრდა მეცნიერს შეაძლებინა, გაეკეთებინა რამდენიმე თაობის გასაკეთებელი საქმე. მან თავიდანვე შემოიკრიბა ნიჭიერი სტუდენტები და უკვე 1923 წელს დააარსა განწყობის ფსიქოლოგიის კვლევითი ლაბორატორია, სადაც დაიწყო მუშაობა ფსიქოლოგიის პირველმა კურსდამთავრებულებმა.

1923-1924 წლებში გამოქვეყნდა ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების შედეგები. 1927 წელს კი შესაძლებელი გახდა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების დაარსება, რომელიც პირველი იყო მთელს საბჭოთა კავშირში. საზოგადოების წევრებიც, ძირითადად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. ამრიგად, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრა და ფსიქოლოგიური ლაბორატორია მეცნიერული კვლევის ცენტრად ჩამოყალიბდა. უზნაძემ არა მხოლოდ იმდროინდელი ევროპული ფსიქოლოგიური კულტურა შემოიტანა საქართველოში, არამედ თვით საქართველო აქცია ორიგინალური ზოგად-ფსიქოლოგიური თეორიის სამშობლოდ.

დიმიტრი უზნაძეს უზარმაზარი როლი მიუძღვის უნივერსიტეტში სასწავლო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საქმეში, რომლის გარეშეც საუნივერსიტეტო განათლება სრულყოფილი ვერ იქნებოდა. 1925 წელს, უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების გაცნობის მიზნით, დიმიტრი უზნაძე უნივერსიტეტის სხვა პრო-

ფესორებთან ერთად, გაემგზავრა გერმანიაში, სადაც სამეცნიერო კონტაქტების დამყარების გარდა, შეიძინა ფსიქოლოგიური ლიტერატურა და ფსიქოლოგიური აპარატურა ფსიქოლოგიის კათედრასთან ფსიქოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის მოსაწყობად. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ეს იყო ერთადერთი ევროპულ დონეზე აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია საქართველოში. აქ გაიარა პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტთა მრავალმა თაობამ. დღეს ეს აპარატურა მუზეუმის საკუთრებაა.

* * *

ალბათ, ძალიან ძნელია ფსიქოლოგიის ისტორიაში იმ გამოჩენილ მეცნიერთა დასახელება, რომლებსაც ფსიქოლოგიის იმდენ განსხვავებულ დარგში დაეტოვებინოს წარუშლელი კვალი, რაც შეძლო ერთმა პიროვნებამ – დიმიტრი უზნაძემ: ზოგადი ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის ისტორია, ბავშვის ფსიქოლოგია და პათოფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, სოციალური ფსიქოლოგია, ხელოვნების ფსიქოლოგია. ეს არის არასრული სია იმ დარგებისა, რომელშიც თავისი ახალი სიტყვა აქვს ნათქვამი დიმიტრი უზნაძეს. მაგრამ მისი მთავარი საქმე განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია იყო.

ფსიქოლოგიური თეორიები ორ, დიდ და მცირე თეორიებად შეიძლება დაიყოს. მცირე თეორიებს მიეკუთვნება ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა მიმდინარეობის კანონზომიერებათა ამხსნელი კერძო თეორიები, ხოლო დიდი თეორიების რიცხვი კი შედარებით მცირეა, რადგან მათი ამოცანა ადამიანის მთლიანი ბუნების, მისი განცდების, ცნობიერებისა და ქცევის ზოგადი კანონზომიერებების აღწერა და ახსნაა. დიმიტრი უზნაძემ შექმნა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია უკვე არსებული დიდი, მაგრამ, რიგ საკითხებში, ურთიერთდაპირისპირებული თეორიების – ტრადიციული ფსიქოლოგიის, ფროიდის ფსიქოლოგიის, გეშტალტფსიქოლოგიისა და ამერიკული ბიჰევიორიზმის არსებობის პირობებში, მათ პარალელურად და მათ დასაძლევად. მან დაამტკიცა, რომ ადამიანის ცნობიერებისა და მოქმედების მიმდინარეობის თავისებურებები მთლიანი სუბიექტის არაცნობიერი მდგომარეობის, განწყობის მოქმედების შედეგია. განწყობის ცნების, როგორც თეორიის ძირითადი სტრუქტურის შემოტანით, მისი ფუნქციის განსაზღვრითა და ექსპერიმენტუ-

ლი დასაბუთებით, შესაძლებელი გახდა ადამიანისა და, საზოგადოდ, ფსიქიკის მატარებელი ყველა ცოცხალი არსების ქცევის ახსნა და წინასწარმეტყველება. განწყობა არის მიზანშეწონილი ქცევის მიმართ წინასწარი მზაობა, რომელშიც ასახული და ინტეგრირებულია როგორც სუბიექტის მოთხოვნილება, ისე მისი დამაკმაყოფილებელი საგანი-სიტუაცია. მოთხოვნილება, ჩვეულებრივ, ჩნდება რალაციის დანაკლისის პირობებში. მაგალითად, სწყურია ადამიანს. ამ მოთხოვნილებას გააჩნია თავისი დამაკმაყოფილებელი საგანი, ანუ წყალი. მაგრამ იმისთვის რომ ეს ორი რამ – მოთხოვნილება და მისი დამაკმაყოფილებელი საგანი ერთმანეთს დაუკავშირდეს და ინდივიდმა შესაბამისი ქცევა განახორციელოს, საჭიროა რალაც მექანიზმი, რომელიც მას ამას გააკეთებინებს. ეს მექანიზმი არის განწყობა, რომელშიც ინტეგრირებულია როგორც მოთხოვნილება, ისე მისი დამაკმაყოფილებელი საგანი და, მაშასადამე, ქცევის განხორციელებამდე, არაცნობიერი სახით, განწყობაში მომავალი ქცევის ესკიზი უკვე არსებობს.

აღნიშნული მიმართულებით კვლევის წარმატების საფუძვლად იქცა დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი. შესაძლებელი გახდა განწყობის არაცნობიერი მდგომარეობის ხელოვნურად, ექსპერიმენტის გზით შემუშავება და მისი კანონზომიერებების კვლევა. გამოვლინდა



დ. უზნაძე ლაბორატორიაში

განწყობის შემუშავების და მიმდინარეობის ინდივიდუალური განსხვავებები, რომელთაც დიაგნოსტიკური ღირებულება აღმოაჩნდათ, რაც განწყობის დიფერენციალურ ფსიქოლოგიას დაედო საფუძვლად.

დიმიტრი უზნაძის მიერ განწყობის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდით მოპოვებულ შედეგს თანამედროვე ფსიქოლოგიის უდიდესმა წარმომადგენელმა ჟან პიაჟემ „უზნაძის ეფექტი“ უწოდა.

სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დიმიტრი უზნაძე წარმატებულ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში გამოყენებითი დარგების განვითარებას. მისი თაოსნობით 20-იანი წლებიდან გაიხსნა და ფუნქციონირებდა ფსიქოტექნიკური (შრომის და ორგანიზაციის) ლაბორატორიები, განათლების განყოფილებასთან არსებული ფსიქოლოგიური კაბინეტები, სადაც გაიშალა მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხების შესასწავლად და საკონსულტაციოდ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაიხსნა პათოფსიქოლოგიის განყოფილება, რომელიც იკვლევდა სხვადასხვა ფსიქიკური დაავადების მქონე პაციენტების განწყობისა და ფსიქიკური პროცესების თავისებურებებს. გამოყენებითი ფსიქოლოგიისადმი ასეთი ინტერესი და ხელშეწყობა იმ დროს, მართლაც, იშვიათი იყო და მხოლოდ ისეთ პროგრესულ ადამიანს ხელენიფებოდა, როგორიც უზნაძე იყო, რომელიც მსოფლიო მეცნიერების ახალ ტენდენციებს იზიარებდა და ახორციელებდა კიდევ. სამწუხაროდ, მისი ეს შესანიშნავად დაწყებული საქმე მის სიცოცხლეში ბოლომდე ვერ განხორციელდა, რადგან 1930-იანი წლების ბოლოს, მთავრობის დადგენილებით, გამოყენებითი დარგების ეს ლაბორატორიები დაიხურა (პათოფსიქოლოგიის განყოფილების გარდა), როგორც მარქსისტული იდეოლოგიისთვის შეუსაბამო და ფსიქოლოგიას მხოლოდ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების პერსპექტივა დარჩა. ხოლო თვითონ დიმიტრი უზნაძე, როგორც იდეალისტური თეორიის ავტორი, სასწაულებრივად გადაურჩა რეპრესიებს. მართალია, შემდგომ ფუნდამენტურ მეცნიერებაზე ორიენტაციამ არაერთ გამოკვლევას მოუტანა საერთაშორისო აღიარება, მაგრამ პრაქტიკული და გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგები მსოფლიო დონეს საგრძნობლად ჩამორჩა. 70-იანი წლებისთვის კი, როდეს-

საც საზოგადოებაში მომწიფდა აზრი წარმოების ეფექტიანობის ზრდისთვის ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვართა მნიშვნელობის შესახებ და მისი დანერგვის შესაძლებლობაც შეიქმნა, საჭირო გახდა შესაბამისი დარგების შესაბამისი დარგების ხელახალი აღორძინება და სათანადო კადრების მომზადება.


1931 წლამდე დიმიტრი უზნაძის კვლევები იბეჭდებოდა საზღვარგარეთის პრესტიჟულ გამოცემებში (Acta Psychologica, Psychologische Forshung და სხვ), მაგრამ 30-იანი წლების შემდეგ ამის შესაძლებლობა „რკინის ფარდამ“ დაასრულა, რამაც, თავის მხრივ, უზნაძის და, საზოგადოდ, ქართველ ფსიქოლოგთა კვლევების გაცნობა მსოფლიოს ფსიქოლოგებისათვის ძალიან შეაფერხა.

1940 წელს განწყობის თეორიის პირველი ეტაპი სრულდება. ამ წელს გამოვიდა დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელო „ზოგადი ფსიქოლოგია“. ეს სახელმძღვანელო თავისი ორიგინალური სტრუქტურითა და შინაარსით არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიის ყველა სხვა ცნობილი სახელმძღვანელოსგან. მასში გადმოცემულია განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. თითოეული ფსიქიკური პროცესი თუ ფენომენი განხილულია, როგორც სინამდვილის განწყობისეული ასახვის ფორმები და სახელმძღვანელოც მათი განვითარების პრინციპზეა აწყობილი და დალაგებული, აღწერილი და ახსნილი. მისი სტრუქტურაც, შინაარსიც აბსოლუტურად განსხვავდება ყველა მანამდე და დღესაც არსებული ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებისგან.

ქართული მეცნიერული ფსიქოლოგიის მაღალმა დონემ 1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე, განაპირობა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შექმნა მის სისტემაში. საბჭოთა კავშირის ფსიქოლოგთა შორის იგი გახდა პირველი ფსიქოლოგი-აკადემიკოსი. ფსიქოლოგიის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრას დიმიტრი უზნაძე სიცოცხლის ბოლომდე, 1950 წლამდე, ხელმძღვანელობდა.

დიდია მეცნიერის დამსახურება, რომელიც უცნობი მოვლენის ან კანონზომიერების აღმომჩენია და ძნელია გადააფასო ახალი მეცნიერული თეორიის ავტორის როლი მეცნიერების განვითარების საქმეში. მაგრამ ნოვატორული თეორიის საფუძველზე წარმატებული მეცნიერული სკოლის შექმნა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. დიმიტრი უზნაძე მხოლოდ ამ ერთეულთა წარმომადგენელია.

როგორც ქეშმარიტად კლასიკური შემოქმედება – უზნაძის მეცნიერული მემკვიდრეობა – ბოლომდე არ არის შეცნობილი, ამას თაობები სჭირდება. სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგია, რომ 1973 წელს უზნაძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში მთელი მსოფლიოს წამყვანი ფსიქოლოგების – ველეკის, ლაჩინსის, ბრუნერის, ო'კონორის, პიაჟეს, ფრესისა და სხვა ფსიქოლოგების სტატიებია განთავსებული. 1979 წელს სწორედ თბილისში ჩატარდა ფსიქოლოგიის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც არაცნობიერის პრობლემას მიეძღვნა. ერთი ნომერი ამერიკული პერიოდული გამოცემისა „საბჭოთა ფსიქოლოგია“ მთლიანად ეთმობა ქართველ ფსიქოლოგთა შრომებს. განწყობის თეორიით დაინტერესება დიდია ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში. 1986 წელს, იაპონელი ფსიქოლოგის კავაგუჩის რედაქტორობით გამოვიდა კრებული, რომელშიც დაბეჭდილია იაპონელი ფსიქოლოგების მიერ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მასალები. საინტერესოა, რომ კავაგუჩი განწყობის თეორიას 1928 წელს გერმანულ ჟურნალში „Psychologische Forschungen“ გაეცნო, დაინტერესდა და ჩამოაყალიბა ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომლებიც ექსპერიმენტულ კვლევებს აწარმოებდნენ ამ მიმართულებით. 2015 წელს Springer-ის გამომცემლობის ეგიდით გამოვიდა კრებული „ანტიციპაციის პრობლემა საბჭოთა ფსიქოლოგიაში“, სადაც განთავსებულია ქართველი ფსიქოლოგების სტატიები – მიძღვნილი განწყობის ფსიქოლოგიისადმი.



დალი ფარჯანაძე,
*ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და
 განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი*

დიმიტრი უზნაძე და სოციალური ფსიქოლოგია

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მთავარი პოსტულატებით ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულება იკვებება. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში მსოფლმხედველობის ასპექტში შეიმუშავა განწყობის ფილოსოფიური საფუძვლები. სისრულეს და მეცნიერულ დაზუსტებას კი მან ექსპერიმენტების ნიადაგზე მიაღწია.

ნადეჟდა ბერულავა წიგნში „დიმიტრი უზნაძე“ წერს, რომ მან „ფსიქოლოგიის საგანი – ფსიქიკური მოვლენები – პიროვნულ ასპექტში განიხილა. თავისი ფსიქოლოგიური კონცეფციის ძირითადი იდეა – მთლიანპიროვნული მდგომარეობის მაორგანიზებელი მნიშვნელობა – მან ექსპერიმენტულად დაასაბუთა, რითაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ახალი გაგება და ახალი პოზიცია შეუქმნა, ფსიქოლოგიური კვლევა კი ახალი მიმართულებით წაიყვანა“.

დიმიტრი უზნაძის ნაშრომები კვლევის მასშტაბით იმდენად უსწრებს მეცნიერულ დროს, რომ გაცილებით გვიან ჩამოყალიბებულ მიმართულებაში – სოციალურ ფსიქოლოგიაში მოღვაწე მეცნიერები დღესაც ბევრ თეზისს იყენებენ და აცხადებენ, რომ უზნაძის თეორია საფუძვლად უდევს მათ მიერ ჩამოყალიბებულ მეცნიერულ დასკვნებს.

გუგული მაღრაძე,

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი:

— დიმიტრი უზნაძემ დროს გაუსწრო და გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა სოციალური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იყო, თავის ნაშრომში გამოთქვა მოსაზრებები, რომლებიც შემდგომ საქართველოში ბევრ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევას დაედო საფუძვლად. რაც შეეხება დასავლეთს, თუ გავეცნობით იქ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, ვნახავთ, რომ ბევრი რამ სინქრონშია იმ მოსაზრებებთან, რომელიც თავის დროზე დიმიტრი უზნაძემ გამოთქვა.

მაგალითად, როცა იგი თავის ნაშრომში ლაპარაკობს მეორე დონის განწყობაზე, ანუ განწყობაზე, რომელიც უკვე ცნო-

ბიერებასთან და ობიექტივაციასთან არის დაკავშირებული, იქმნება შესაძლებლობა, რომ დღევანდელი სოციალური განწყობა სრულად მოერგოს იმ კონცეპტუალურ სქემას, რაც დიმიტრი უზნაძეს თავის „განწყობის ფსიქოლოგიაში“ აქვს მოცემული.

უზნაძეს კონკრეტულად სოციალურ ფსიქოლოგიაში ცალკე ნაშრომი არ შეუქმნია, რისი მიზეზიც, ჩემი აზრით, მხოლოდ დროის ფაქტორია – განწყობის ფსიქოლოგიის კვლევამ ფსიქოფიზიკური და ფიზიოლოგიური აქტივობის დონეზე იმდენი დრო წაიღო, რომ მან შემდგომ კვლევაზე გადასვლა ვერ მოასწრო. დარწმუნებული ვარ, რომ დასცლოდა, მისი შემდგომი კვლევა იქნებოდა განწყობა სოციალურ დონეზე. თუმცა მის მიერ თეორიულად დასაბუთებული მოსაზრებები, რომ განწყობა არის პიროვნებისეული მოდიფიკაცია მოსალოდნელი ქცევისათვის და პიროვნების მზაობა ქცევის განხორციელებამდე, პირდაპირ აკავშირებს უზნაძის განწყობის ცნებას თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ ცენტრალურ ცნებასთან, როგორცაა ატიტუდის ცნება.

მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან საჭირო და საინტერესო გამოდგა ფსიქოლოგიაში მომუშავე ქართველ მეცნიერთა კვლევებში განწყობის ცნების გამოყენება სოციალური ქცევის რეგულაციის შესწავლისას.

რამდენიმე წელია, ჩემი კვლევის ობიექტია სოციალური ჯგუფის გავლენა ინდივიდის ქცევაზე. როცა დავინყე ამ ასპექტში კონფორმულობის ფენომენის კვლევა და გავეცანი იმ თეორიებს, რომელიც დასავლეთში ასეთი ტიპის ქცევის ასახსნელად არსებობს, აღმოჩნდა, რომ განწყობის თეორია ყველაზე კარგად ხსნის ამ ტიპის ქცევის კანონზომიერებას. კერძოდ, ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, კონფორმულობა, ანუ ჯგუფის გავლენა მარტო ჯგუფის თავისებურება კი არ არის, მას განაპირობებს ინდივიდის განწყობა, ანუ დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ. მახსოვს, თავის დროზე დისერტაციაში გამოვიყენე რუსთაველის ფრაზა: „იგი თვის ების ვინ ების“... ანუ თავად შენ უნდა იყო ღია გავლენის მისაღებად, რათა ჯგუფმა გავლენა მოახდინოს, თორემ ჩვენ ვხედავთ, რომ არიან ისეთი პიროვნებები, რომლებზეც რაღაც ჯგუფი ახდენს გავლენას და არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ჯგუფის გავლენის ქვეშ არ ექცევიან. ანუ ძნელია გამოვაცხადოთ, რომ კონფორმულობა არის მხოლოდ ჯგუფის ან მხოლოდ პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ერთი და იგივე ადამიანს შეუძლია ერთ ჯგუფში იყოს ძალიან კონფორმული და მეორე ჯგუფში – არა. რაზეა ეს დამოკიდებული? ახსნის მექანიზმი დევს იმაში, რომ, პიროვნების განწყობის თეორიის მიხედვით, ჯგუფისადმი დამოკიდებულება განაპირობებს იმას, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ჯგუფიდან წამოსული გავლენა.

დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიიდან ბევრი რამ გამოვიყენე, ასევე, უმრავლესობა-უმცირესობის გავლენის კვლევის დროსაც. ამდენად, მიმაჩნია, რომ „განწყობის ფსიქოლოგიას“ შეუძლია სოციალური ქცევის ახსნაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სათანადოდ ვერ ვიყენებთ მას. დღეს ქართველ ფსიქოლოგთა ნაშრომებში სათანადოდ არ ხდება იმ თეზისების გაფართოება და განვითარება, რაც უზნაძის თეორიაში დევს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, შეიქმნას მკვლევარების ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს. მით უმეტეს, ან განსვენებულ აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის კვლევებში ბევრი საინტერესო წინაპირობაა დასახული განწყობის ფსიქოლოგიის გამოყენებისათვის სოციალური ფსიქოლოგიის დონეზე.

ასევე, საჭიროდ ვთვლი განწყობის ფსიქოლოგიის პოპულარიზაციას დასავლეთში, რაც ქართველმა მეცნიერებმა თავის საქმედ უნდა აქციონ. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოახერხებს და შეიქმნება ფსიქოლოგების ჯგუფი, რომელიც უცხოელებისთვის მისაწვდომს და გასაგებს გახდის ამ დიდი მეცნიერის ნააზრევს. ეს, თავის მხრივ, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის და, შესაბამისად, ქართული მეცნიერების მიმართ ინტერესსაც გაზრდის.

მანია ტორაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი*

❧ 5 ❧

უზნაძის პარადიგმა

(სამეცნიერო ესკიზი)

დიმიტრი უზნაძის თეორიას ჩვენი საზოგადოება აღიქვამს, როგორც ქართული არამატერიალური სამეცნიერო კულტურის საგანძურს. თუ განძი გვაქვს, მისი ფასიც გვსურს, რომ ვიცოდეთ. ბუნებრივია, ამ საქმეში მთავარი სიტყვა ფსიქოლოგებს გვეთქმის. ფსიქოლოგები უზნაძის თეორიის შეფასებისას მის ღირსებას იმაში ხედავენ, რომ იგი ფსიქიკის ზოგადი კონცეფციაა, ისეთივე, როგორც „დიდი თეორიები“: გემტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი თუ ფსიქონალიზი. რა თქმა უნდა, დარგის ზოგადი თეორია მნიშვნელოვანი მონაპოვარია (ქართული მეცნიერებიდან სხვა ზოგადი დარგობრივი თეორია არც მახსენდება). ოღონდ, თუ შემოხსენებულ თეორიებთან შედარებას დავინწყებთ, მხოლოდ ზოგადობაში არ უნდა იყო საქმე. ფსიქონალიზი მხოლოდ ადამიანს ეხება, მაგრამ მისი სიდიდე ეჭვს არ იწვევს. სავარაუდოა, რომ ამ თეორიების სიდიდის განცდა, უმთავრესად, მათი პარადიგმულობით არის გამოწვეული.

ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე ფილოსოფოსები „პარადიგმას“ (ბერძნულად – მაგალითი, მოდელი) არქმევდნენ იმ სამაგალითო ეტალონს, რომლის საფუძველზეც შექმნილია „სახე ყოვლისა ტანისა“. ლინგვისტიკაში ახლაც „პარადიგმა“ ჰქვია ენობრივი ფორმის (ბრუნვის, უღლების და ა.შ.) ეტალონურ მაგალითს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ტერმინი „პარადიგმა“ მეცნიერების ფილოსოფიაში თომას კუნმა შემოიტანა. მან შეამჩნია, რომ პტოლომეის ასტრონომია, ნიუტონის მექანიკა, მაქსველის ელექტროდინამიკა თუ სხვა საკვანძო მნიშვნელობის კონცეფცია იძლეოდა არა მარტო რეალობის ახალ მოდელს, არამედ შემეცნების ახალ ეტალონსაც – ახალ საგანს, მეთოდს; რეალობის გაგების, აღწერის თუ ახსნის პრინციპებს. კონკრეტულ გამოკვლევაში მოცემული მეთოდოლოგიური ეტალონების სისტემას კუნმა „სამეცნიერო პარადიგმა“ უწოდა. პარადიგმა შეიძლება თეორიამ წარმოშვას, მაგრამ იგი შემდეგ უკვე მრავალი სხვა თეორიის საფუძველი ხდება. „პარადიგმა“, როგორც მეთოდოლოგიური ეტალონის აღმნიშვნელი ცნება, ფართოდ გავ-



რცელდა მეცნიერებაშიც, პრაქტიკაშიც, კულტუროლოგიაშიც და ა.შ.

ფსიქოლოგიასაც გააჩნია პარადიგმები. მეცნიერულ ფსიქოლოგიას ერთიანი პარადიგმა არასოდეს ჰქონია, სამაგიეროდ, ჰქონდა მეცნიერებამდელს. მეცნიერებამდე ყველა საზოგადოებაში გამეფებული იყო სულის (ფსიქიკის) რელიგიური პარადიგმა, რასაც, სულ მცირე, 130 ათასი წლის ისტორია აქვს. ამ პარადიგმისთვის სული არის სიცოცხლის, განცდების, ქცევის და პიროვნული მთლიანობის არამატერიალური საფუძველი. სულიერი პროცესის მიზეზი ხშირად ვერ ცნობიერდებოდა და ამიტომ სული შეუცნობელი ზებუნებრივი ძალის ნაწილად იყო მიჩნეული.

ევროპული აღორძინების და განმანათლებლობის ფილოსოფიამ დააკანონა, რომ შემეცნების საგანი უნდა იყოს მხოლოდ ის, რისი ემპირიული დაკვირვებაა შესაძლებელი. სულს, რომელსაც გოკლენიუსმა „ფსიქიკა“ უწოდა, ჩამოამორეს ყველაფერი, რაც არ იყო დაკვირვებადი და ფსიქიკად დარჩა მხოლოდ ადამიანის გაცნობიერებული განცდები. ფილოსოფიის წიაღში ჩამოყალიბდა ფსიქიკის შესწავლის ახალი პარადიგმა – ცნობი-

ერების პარადიგმა. 1879 წელს ფილოსოფოსმა და ფიზიოლოგმა ვილჰელმ ვუნდტმა, ცნობიერების პარადიგმის საფუძველზე, ფსიქიკის ელემენტების შესწავლის ამოცანა წამოაყენა იმ იმედით, რომ „ატომების“ ცოდნით მთელს (ცნობიერების შინაარსებს) გაიგებდა. მან ამისთვის გამოიყენა გალილეის მეთოდი – ექსპერიმენტი და ლაიფციგის უნივერსიტეტში გახსნა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია. ლაბორატორიის გახსნის ფაქტი მეცნიერული ფსიქოლოგიის დასაწყისად ითვლება, რადგან საფუძველი ჩაეყარა ექსპერიმენტულ პარადიგმას. ვ. ვუნდტის 180 მონაფიდან ერთ-ერთი იყო დიმიტრი უზნაძე.

1912 წელს მაქს ვართჰაიმერმა უარყო ელემენტების ძიების ვუნდტისეული ამოცანა, რადგან დაასაბუთა, რომ ფსიქიკურ ელემენტებს განაპირობებს ფსიქიკური მთელი, გემტალტი. გემტალტის პარადიგმამ გააჩინა თეორიები ალქმის, აზროვნების, მოტივაციის, ქცევის თუ ჯგუფის დინამიკის ფსიქოლოგიაში, მან გარკვეული წვლილი შეიტანა ინტერდისციპლინარული სისტემური მიდგომის ფორმირებაშიც.

1913 წელს ცნობიერების პარადიგმა სუბიექტურობისთვის გააკრიტიკა ჯონ უოტსონმა. მან განაცხადა, რომ მეცნიერებამ მხოლოდ ობიექტურად დაკვირვებადი ქცევა უნდა შეისწავლოს და საფუძველი ჩაუყარა ბიჰევიორისტულ (ქცევათმეცნიერულ) პარადიგმას. მას შემდეგ დასავლეთის აკადემიურმა ფსიქოლოგიამ ამ პარადიგმის ფარგლებში მრავალი თეორია შექმნა. 30-იანი წლებისთვის, როცა უზნაძე თავის თეორიას აყალიბებდა, ამერიკაში გაჩნდა ქცევის არადაკვირვებადი შუალედური ცვლადების შესწავლის ნეობიჰევიორისტული პარადიგმა. საუკუნის მეორე ნახევარში მისგან ამოიზარდა კოგნიტური ფსიქოლოგიის პარადიგმა, რომელიც ფსიქიკური პროცესების საფუძველად შემეცნებას მიიჩნევს. მას დღემდე წამყვანი მდგომარეობა უკავია აკადემიურ ფსიქოლოგიაში.

ამ პროცესების პარალელურად და მათგან დამოუკიდებლად საუკუნეთა მიჯნაზე ექიმმა ზიგმუნდ ფროიდმა ნევროზის მკურნალობის მიზნით წამოაყენა პარადიგმა, რომელიც ამოცანად სახავდა პიროვნების და მის არაცნობიერში განდევნილი იმ სურვილების გამოვლენას, რომლებიც კონფლიქტშია მორალთან. ამ პარადიგმამ რამოდენიმე ახალი მიმდინარეობა გააჩინა. მათ შორის, ფროიდის მონაფემ ვილჰელმ რაიხმა სხეულზე ორიენტირებული თერაპია შექმნა, ფრანც ალექსანდერმა – ფსიქო-

სომატური მედიცინა. XX საუკუნის შუა წლებიდან ფროიდიზმსა და ბიჰევიორიზმთან დაპირისპირებაში მომწიფდა ჰუმანისტური ფსიქოლოგია, რომელმაც ადამიანში ზნეობის პრიმატის პარადიგმა წამოაყენა. დღეს ჰუმანისტურ პარადიგმას წამყვანი მდგომარეობა უკავია პიროვნების ფსიქოლოგიასა და ფსიქოთერაპიაში.

მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩამოთვლილი პარადიგმების ერთი თავისებურებაა საყურადღებო. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ხსენებულ პარადიგმებში გადანაწილებულია ის, რაც ერთად იყო თავმოყრილი სულის კატეგორიაში: ცნობიერების პარადიგმამ ხელი მოჰკიდა განცდას; ფროიდის პარადიგმამ – არაცნობიერს, პიროვნებას და მასში არსებულ დემონებს, სულის გავლენას სხეულის სასიცოცხლო პროცესებზე; ჰუმანისტურმა პარადიგმამ – ზნეობრივს და შემოქმედებითს პიროვნებაში. მეცნიერებამ უარყო მხოლოდ ის, რომ სულის კონცეფცია ყოველივე ამას ზებუნებრივობით ხსნიდა (თუმცა, დღეს პარაფსიქოლოგია ცდილობს ეს თვისებაც დაამატოს ფსიქიკას). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არსებობს კულტურათმორისი სულის არქეტიპი (უფრო ზოგადი, ვიდრე მაგალითად კარლ იუნგის ანიმა და ანიმუსია), სულის გეშტალტი, რომლის პრეგნანტული შევსებისკენ გაუცნობიერებლად მიისწრაფვიან მეცნიერული პარადიგმები.

განხილული პარადიგმების კიდევ ერთი თვისებაა აღნიშვნის ღირსი. შემეცნების ფილოსოფიაში საკმაოდ გვიან გაცნობიერდა, რომ შემეცნების საგანი განსხვავდება შემეცნების ობიექტისგან. ეს განსხვავება შემოიტანა ავსტრიელმა ფილოსოფოსმა რ. ამეზადერმა 1904 წელს. მაგალითად, რომელიმე მინერალს შეისწავლის გეოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მაგრამ ყოველ მათგანს შესწავლის საკუთარი საგანი აქვს ამ ობიექტში. ერთმა დისციპლინამ შეიძლება ბევრი ობიექტი შეისწავლოს, მაგრამ შესწავლის საგანი მას ყოველთვის ერთი ექნება.

ამ თვალთ შუა შემეცნებად, შევამჩნევთ, რომ ფსიქოლოგიის თითქმის ყველა პარადიგმა აქცენტს აკეთებს ფსიქოლოგიის ახალ ობიექტზე და არა – საგანზე. განცდას ფსიქოლოგიასთან ერთად ფიზიოლოგიაც სწავლობს; ქცევას – ბიოლოგია, სოციოლოგია, იურისპრუდენცია; პიროვნებასაც – იგივე დისციპლინები. მკაფიოდ არაა დეკლარირებული – თუ რა არის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი ცნობიერ განცდაში, ქცევასა და პიროვნებაში. ეს მდგომარეობა არ წარმოადგენს იშვიათობას, თითქმის

ყველა დისციპლინას უჭირს შემეცნების საგნის გამოყოფა ობიექტისგან, იგი უმეტესად ინტუიტიურად არის ხოლმე მოცემული და ტავტოლოგიურად განმარტებული (მაგალითად, ფიზიკა სწავლობს ფიზიკურ სინამდვილეს). ფსიქოლოგიაში ეს საკითხი ხშირად აჩენს პრობლემას. დისციპლინები (ბიოლოგია, სოციოლოგია), რომლებიც იგივე ობიექტებს შეისწავლიან, ხშირად ქმნიან თეორიას, რომელიც ფსიქოლოგიის კომპეტენციას განეკუთვნება, რასაც მოსდევს მრავალი გაუგებრობა. პრობლემები ჩნდება ფსიქოლოგიის შიგნითაც. ობიექტის და საგნის დამთხვევამ გააჩინა არაცნობიერი ფსიქიკურის ლოგიკური პრობლემა – თუ ფსიქიკა არის ცნობიერი განცდა, არაცნობიერი ფსიქიკური წინააღმდეგობრივი ცნება ხდება. ამდენად, ფსიქოლოგიის საგნის დიფერენცირება ფსიქოლოგიის ობიექტისგან ფსიქოლოგიისთვის საჭიროა და არსებულ პარადიგმებში ეს მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული.



შ. ნადირაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქოლოგი

პარადიგმების ანალიზის შემდეგ დავუბრუნდეთ უზნაძის თეორიას. ისიც პარადიგმული უნდა იყოს, თუ მას ვუტოლებთ ზემოხსენებულ კონცეფციებს. ამ მხრივ საყურადღებოა ბოლო მონოგრაფიაში დიმიტრი უზნაძის მიერ გაკეთებული განაცხადი, რომ „ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა“ არის განწყობის პრობლემა, მისი შესწავლა. ეს მოწოდება მისი თეორიის ზოგადობას არაფერს ჰმატებს, მაგრამ ავლენს პარადიგმულობის ამბიციას. ამგვარი განაცხადით უზნაძე ახალ ამოცანას და საგანს სთავაზობდა მთელ ფსიქოლოგიას. დგება კანონიერი საკითხი – რა არის განწყობა, კვლევის რა ახალ ობიექტსა თუ საგანს სთავაზობდა უზნაძე ფსიქოლოგიას?

უზნაძის მიხედვით, განწყობა არის ცოცხალი არსების, ანუ მოქმედების სუბიექტის არაცნობიერი, მთლიანი მდგომარეობა – წარმოშობილი მოთხოვნილების და სიტუაციის გავლენით, რომელიც ქცევასაც განსაზღვრავს და ცნობიერებასაც, რადგან ქცევისთვის მზაობაში აქვს მოყვანილი სუბიექტის (პიროვნების) მთლიანი ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობები, ანუ გან-

საზღვრავს სხეულებრივ პროცესებსაც. ადამიანის დონეზე განწყობებს აყალიბებს სოციალური გარემოცვა, რის შედეგადაც სოციალური განწყობების ნაწილი მაღალი მოთხოვნილებების და ზნეობრიობის საფუძველი ხდება, ნაწილი კი წარმართავს სოციალურ დამოკიდებულებებს, ატიტუტებს (შ. ნადირაშვილი).


თუ დავაკვირდებით, განწყობას ყველა ის თვისება გააჩნია, რასაც სულს მიაწერდნენ საუკუნეების განმავლობაში (ზებუნებრივთან კავშირის გარდა) და რაც შემდეგ გაიშალა სხვადასხვა პარადიგმაში. გამოდის, რომ განწყობის ცნება სულის კატეგორიის აღდგენის გარკვეულ მცდელობას წარმოადგენს, რაც თავის თავში ატარებს ფსიქოლოგიის ინტეგრაციის შესაძლებლობას, რომელსაც ფსიქოლოგია ეძებს მთელი ისტორიის მანძილზე. დარგის ინტეგრაციის პოტენციული უკვე პარადიგმული განაცხადია.

ეთვლი, რომ მოტანილი განმარტება დაზუსტებას მოითხოვს, რადგან ამ დეფინიციის მიხედვით განწყობა მხოლოდ ქცევის თანმხლები მოვლენაა. ეს ნიშნავს, რომ განწყობა ქცევის ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ისევე, როგორც სწავლობს ქცევის თანმხლებ მოტივაციას, სტიმულაციას ან ჩვევას. ამით განწყობის კონცეფცია ქცევის პარადიგმის მხოლოდ ერთ-ერთი თეორია აღმოჩნდება, რომელიც პრინციპულ სიახლეს არ სთავაზობს მკვლევრებს. მაშინ „ფსიქოლოგიის მთავარი პრობლემა“ ქცევა გამოდის და არა – განწყობა. ამასთანავე, თავად უზნაძეც არ აკავშირებდა განწყობას მხოლოდ ქცევასთან. მისთვის განწყობა ხან პირველადი ფსიქიკური რეაქციაა, სადაც ჯერ მოთხოვნილება არ არსებობს; ხან მიზეზია სიზმრისა, რომლის ქცევად მიჩნევა ძნელია; ხან პიროვნების კომპლექსია და ა.შ. ესეიგი უზნაძე არ იყო ქცევის პარადიგმის ტყვე. ამიტომ, საფიქრებელია, რომ განწყობის მისეულ დეფინიციას დამატებითი გაშიფვრა სჭირდება. ვვარაუდობ, გაშიფვრის საინტერესო ვერსიას გვთავაზობს უზნაძის ცნების ისტორია.

ტერმინი „განწყობა“ მეცნიერულ ფსიქოლოგიაზე მეტ წელს ითვლის. განსაკუთრებული ადგილი მან დაიკავა ვიურცბურგის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში, სადაც ვუნდტის მიმდევრებმა მე-19 საუკუნის ბოლოს გადაწყვიტეს აზროვნების თანმხლები განცდის ელემენტების შესწავლა. კიულპემ, მარბემ, ახმა, უატმა, ბიულერმა და სხვა ცნობილმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ თუ ადამიანისთვის ამოცანის ან

სიტყვის აზრი გასაგები არის (აზრი, მნიშვნელობა, სემანტიკა იმხანად სინონიმებად ითვლებოდა), მას უჩნდება ამ გაგების შემდგომი გაშლის მზაობის დიფუზური განცდა, რომლის ელემენტები ცნობიერებაში არც იყო მოცემული. ამ განცდას „ცნობიერების განწყობა“, ან მხოლოდ „განწყობა“ ეწოდა. ვიურცბურგის სკოლა აზრის განცდის ელემენტების ძიებას არ გასცდა, მალე ამონურა თავისი თავი და 1909 წელს დაიშალა.

1927 წელს დიმიტრი უზნაძემ, როგორც ჩანს, ვიურცბურგის სკოლაში დიდი პოტენციალი დაინახა და გადაწყვიტა მასთან დაბრუნება. ამ სკოლის წესებით მან ჩაატარა ექსპერიმენტი, ოღონდ არა სიტყვის, არამედ საგნის მნიშვნელობის წვდომაზე. საგნის მნიშვნელობის განცდაში ისევ დადასტურდა „ცნობიერების განწყობის“ არსებობა, რომელსაც უზნაძემ „მნიშვნელობის ფსიქიკური ექვივალენტი“ უწოდა. თუ განწყობა ენობრივის გარდა არის საგნობრივი მნიშვნელობის ფსიქიკური ექვივალენტიც, გამოდის, რომ განწყობა ახლავს ყველაფერს, რაშიც მნიშვნელობას დებს სუბიექტი: შეგრძნებებს, ცნობიერების ხატს, ქცევას, საკუთარ სხეულს და მის მდგომარეობას, პიროვნულ „მე“-ს და სამყაროს მსოფლხედვას. საგნობრივი მნიშვნელობით ყველა ცოცხალი არსება სარგებლობს, ამდენად განწყობა ახასიათებს ფსიქიკის ევოლუციის ყველა ეტაპს, როგორც მიმართე-



ბის წვდომის და გამოყენების ფსიქიკური მექანიზმი. მასში ერთ მთლიანობაშია მოცემული მომავალი ცვლილებების შესაძლო პროგრამები (განწყობა ალგორითმად, პროგრამად განიხილა იოსებ ბჟალავამ). თუ პროგრამა სუბიექტისთვის ჯერ არაა ზუსტად განსაზღვრული, უზნაძე ლაპარაკობს დიფუზურ განწყობაზე, როცა პროგრამა განსაზღვრულია – დიფერენცირებულზე.

თუ განწყობა სემანტიკის ფსიქიკური ექვივალენტია, რომელიც შესაძლო ცვლილებების ალგორითმს მოიცავს, ის ფსიქოლოგიის შესწავლის ყველა ობიექტს მიესადაგება და ქცევა მხოლოდ მისი ერთ-ერთი კონტექსტია. ამით განწყობის ფსიქოლოგია სცილდება ბიჰევიორისტული პარადიგმის ჩარჩოებს.

როგორც მნიშვნელობის ფსიქიკური ექვივალენტი – განწყობა – მართლაც არის პირველი ფსიქიკური რეაქცია – საგნით რეცეფტორების ფიზიოლოგიური გალიზიანების შემდეგ პირველი, რაც ჩნდება, არის ამ საგნის სემანტიკა, რომელიც ფსიქიკაში განწყობის სახითაა მოცემული. ფიზიოლოგიური გალიზიანების სემანტიზაციის შედეგად ყალიბდება მოთხოვნილება, ემოცია თუ გარემოს აღქმა. მათი ერთობლიობა ბიძგს აძლევს და განაპირობებს სხვა ფსიქიკურ პროცესებს და ქცევას. მოვლენათა ეს ჯაჭვი, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო, ემთხვევა ქცევის დეტერმინაციის უზნაძისეულ აღწერას.

განწყობის, როგორც სუბიექტური სემანტიკის გავლენა კარგად ჩანს ერთ მაგალითში, რომელზეც ბუდისტები მსჯელობდნენ და მერე ალბერტ ელისმა გამოიყენა ემოციურ-რაციონალურ თერაპიაში: როცა ადამიანი იატაკზე რაღაც დაკლაკნილს ხედავს, სავსებით განსხვავებული ემოცია ექნება იმისდა მიხედვით, დანახულს გველად აღიქვამს თუ თოკის ნაგლეჯად. ამ ტიპის განსხვავებაში არის ფსიქიკის სპეციფიკა, განსხვავება კი სწორედ სუბიექტურ სემანტიკაში, ანუ განწყობაშია. ჩვენ უკვე გადავავლეთ თვალი ფსიქოლოგიური პარადიგმების ისტორიას და გვახსოვს, რომ მთელი ფსიქოლოგიისთვის სუბიექტური სემანტიკის კვლევის პარადიგმა არავის შეუთავაზებია. ეს უზნაძის პარადიგმაა, რომელიც სხვა არცერთ პარადიგმას არ ემთხვევა.

უზნაძის პარადიგმის სპეციფიკა იმაშიც არის, რომ მან გაჰყო ფსიქოლოგიის ობიექტი ფსიქოლოგიის საგნისგან. ამის მკაფიო მაგალითია მის მიერ ქცევის პრობლემის დაყენება და გადაჭრა. უზნაძემ განასხვავა ფიზიკური ქცევა ფსიქოლოგიურისგან

და ამ უკანასკნელის თავისებურებად სწორედ სემანტიკა, მნიშვნელობა მიიჩნია. ამდენად, უზნაძის მიხედვით, ფსიქოლოგიის საგანი სწორედ სემანტიკაა, ანუ მისი ფსიქიკური ექვივალენტი (განწყობა), ხოლო ცნობიერება და ქცევა შესწავლის ობიექტებია, რომლებშიც ფსიქოლოგიამ სუბიექტის მიერ მათში ჩადებული სემანტიკა უნდა გამოავლინოს. ფსიქოლოგიის საგნის ამგვარი გაგებაც უზნაძის პარადიგმის პრინციპული სიახლეა.

ამ პარადიგმიდან გამომდინარე, გასაგები ხდება უზნაძის მიერ ემპირიულობის პოსტულატის კრიტიკა და მიმართებათა ნვდომის (ინსაიტის) პირველადობის აღიარება; დაბეჯითებით მტკიცება, რომ ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებში განწყობა მიმართებაზე იქმნება; ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის დაყენება და განწყობის საფუძველზე გადაჭრა; ენის შინაფორმაში თუ პოსტჰიპნოტურ შთაგონებაში განწყობის განჭვრეტა და ა.შ.

სუბიექტური სემანტიკის თემა გაფანტულია მთელ ფსიქოლოგიაში. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პიროვნების ფსიქოდიანოსტიკასა და ფსიქოთერაპიაში, მოტივაციის, ემოციის და ქცევის ფსიქოლოგიაში, ბავშვის და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, ფსიქოლინგვისტიკასა და ხელოვნების ფსიქოლოგიაში, სოციალურ და პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში, დიზაინის და რეკლამის ფსიქოლოგიაში, ერგონომიკასა და საინჟინრო ფსიქოლოგიაში და ა.შ. განწყობის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნქცია არის ამ დარგებში დაფანტული მეთოდების და კანონზომიერებების ერთ სისტემად წარმოდგენა, რაც თანდათან ხორციელდება განწყობის სკოლაში.

განწყობის პარადიგმა ბევრ თანამედროვე პრობლემას ეხმიანება, მაგრამ უფრო მეტი საერთო აქვს მას მომავლის ფსიქოლოგიასთან. როგორც უკვე ითქვა, 60-იან წლებში ტოლმენის ნეობიჰევიორიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა კოგნიტური მიმართულება. მან კომპიუტერული მეტაფორაც შემოგვთავაზა – ცოცხალი არსებისთვის ფსიქიკა იგივე არის, რაც პროგრამა კომპიუტერისთვის (ფსიქოლოგიის საგნის უზნაძისეულ გაგებას წააგავს), მაგრამ ამ პოზიციას შემდგომი ჩაღრმავება არ მოჰყვა, იგი მეტაფორად დარჩა. ხსენებული მიმდინარეობისთვის ყველა ფსიქიკური პროცესის საფუძველს შემეცნება, კოგნიცია წარმოადგენს. კოგნიტურმა მიდგომამ ახალი თეორიები გააჩინა მეხსიერების, მოთხოვნილების, ემოციების თუ სოცია-

ლურ ფსიქოლოგიაში, შრომის, ორგანიზაციულ თუ ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში. კოგნიტური მიდგომა ბოლო პარადიგმაა და საბოლოო სახე ჯერაც არ მიუღია. მასში დაუმუშავებელი რჩება ბევრი ის საკითხი, რომელიც დამუშავებულია უზნაძესთან. არის იმის მოლოდინიც, რომ კოგნიტური ფსიქოლოგია მოძებნის საერთოს ჰუმანისტურთან.

უზნაძემ ვიურცბურგელების არაცნობიერი აზრი დააკავშირა ფროიდის გაუცნობიერებელ აზრებთან, ოღონდ უზნაძის ვერსია ფროიდისაზე უფრო ზოგადი იყო. ამავე დროს, უზნაძემ განწყობაში დაინახა თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა, რაც მის პოზიციას აახლოებს მოგვიანებით გაჩენილ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან, რომლისთვისაც თვითრეალიზაცია არის პიროვნების („მე“-ს სემანტიკის) იმანენტური ტენდენცია. შესაბამისად, ეს პერსპექტივაც არაა უცხო უზნაძის პარადიგმისთვის.

ამდენად, უზნაძის პარადიგმა უაღრესად თანამედროვეა. იგი ათეული წლებით წინ უსწრებდა კოგნიტურ მიდგომას და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას, სავსებით განსხვავებულ საფუძველზე აგებდა თავის სისტემას, მაგრამ, ის პოზიცია ეკავა, რისკენაც დღეს მიდის თითოეული მათგანი. უზნაძის პარადიგმაში იმდენ თანამედროვე პრობლემაზე იძებნება პასუხი, რომ იგი ძლიერ გავლენას მოახდენდა მსოფლიო ფსიქოლოგიაზე, დიმიტრი უზნაძეს სხვა დროში და ქვეყანაში რომ ეცხოვრა...

საბჭოთა მატერიალიზმის პირობებში უზნაძე პირდაპირ ვერ იტყოდა – აზრი და იდეა მოქმედების დეტერმინანტიაო. ეს იდეალისტობად ჩაითვლებოდა, რაც სასიკვდილო განაჩენი იყო (მისი გარდაცვალების შემდეგ სკოლა მაინც ვერ გადაურჩა ამ ბრალდებას). სავარაუდოა, რომ განწყობის ქარაგმული დეფინიცია და მისი ქცევაზე მიმავლება, ნაწილობრივ, თავისი პოზიციის იდეალისტურობის დასაფარად გამოიყენა უზნაძემ. ამავე დროს, უცხოეთისკენ გზა რუსეთზე გადიოდა. ხოლო რუსი ფსიქოლოგები არ უშვებდნენ, რომ პარადიგმული კონცეფცია დაბადებულიყო სადმე, მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა (ქართულ ფსიქოლოგიას ისინი დღემდე იხსენიებენ მხოლოდ განწყობის ფენომენის შემსწავლელ სკოლად). თავის მხრივ, ვესტერნოცენტრიზმს აყოლილ მსოფლიო ფსიქოლოგიასაც არ აინტერესებდა – რა ხდებოდა აქ. თანაც ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ყოველთვის ერთი საშუალო ლაბორატორიის ზომისა იყო და ვერ ახერხებდა ყველა საჭირო საკითხის დამუშავებას და გახმაურებას (ახლა ის

ლაბორატორიის ზომაც სანატრელი გახდა). ყოველივე ამ ფონზე იკვეთება, რომ უზნაძის პარადიგმამ გაუსწრო დროსა და საკუთარ სკოლას, რის გამოც დღემდე არაა ბოლომდე გაშიფრული მისი პარადიგმული პოტენციალი. იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე მოხერხდება ამ პოტენციალის სრულად წარმოჩინება.

რამაზ საყვარელიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პროფესორი

❧ 6 ❧

დიმიტრი უზნაძის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისში (1909-1917 წწ.)

23 წლის ასაკში უზნაძემ გერმანიაში ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და 1909 წელს სამოღვაწეოდ ქუთაისს დაუბრუნდა. რაკი რუსეთის იმპერიაში საზღვარგარეთ მიღებული დიპლომი ოფიციალურ დოკუმენტად არ ითვლებოდა, უზნაძემ ისტორიკოსის დიპლომიც აიღო ხარკოვის უნივერსიტეტში ექსტერნის წესით ჩაბარებული გამოცდების შედეგად. ქუთაისში მოღვაწეობის წლებში იგი იყო ისტორიისა და ფილოსოფიის პროპედევტიკული კურსის მასწავლებელი ქუთაისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში. ამ ძირითადი სამსახურის გარდა, უზნაძე ქუთაისში არსებულ სხვა სასწავლო დაწესებულებებშიც მოღვაწეობდა: იყო ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მასწავლებელი ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში (1914-1917 წ. წ.), ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ისტორიის მასწავლებელი ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიაში (1914-1916 წ. წ.) და ქუთაისის „სინათლის“ სკოლის დირექტორი და მასწავლებელი (1915-1918 წ.წ.).



ქველი ქუთაისი

პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის გვერდით, უზნაძე ამ წლებში ნაყოფიერ თეორიულ მუშაობას ეწევა: ქმნის სასწავლო სახელმძღვანელოებს ისტორიაში და პედაგოგიკაში, გამოდის საჯარო ლექციებით ფილოსოფიის საკითხებზე, პერიოდულ პრესაში აქვეყნებს მეცნიერულ სტატიებს ფილოსოფიურ და პედაგოგიურ თემებზე და ა.შ. უზნაძის ამ მოღვაწეობას ყურადღებით ადევნებს თვალს განათლებული ქართული საზოგადოება და მასზე დიდ იმედებს ამყარებს. პრესაში ქვეყნდება გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა წერილები, სადაც უზნაძის ლექციებს, საჯარო გამოსვლებს და მეცნიერულ შემოქმედებას მაღალი შეფასება ეძლევა. იმის მიუხედავად, რომ ამ პერიოდში უზნაძეს საკუთრივ ფსიქოლოგიური დასახელების ნაშრომები არ გამოუქვეყნებია, მისი თითქმის ყველა პუბლიკაცია, ისევე როგორც მისი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა, ფსიქოლოგიას ემყარება და ფსიქოლოგიური აზრებითაა გაჟღენთილი.

ფილოსოფიური ხასიათის წერილებსა და ესეებში უზნაძე განიხილავს რა ნაირფეროვან ფილოსოფიურ პრობლემათიკას, თითქმის ყველა საკითხს ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან, მისი ცნობიერების ფუნქციონირებასთან აკავშირებს. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია მას აინტერესებს როგორც ადამიანის სულის, მისი ფსიქიკის წვდომის საშუალება. ამ ნაშრომებში უზნაძე არსებითად ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ პრობლემებს განიხილავს. თავისი თეორიული მოღვაწეობის ამ ეტაპზე უზნაძე იცავს და ავითარებს ფსიქიკის აქტივობის თეორიას, რომლითაც, ერთი მხრივ, აგრძელებს თავისი მასწავლებლის ვილჰელმ ვუნდტის მეთოდოლოგიურ ხაზს ფსიქიკის გაგების საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, იგრძნობა, რომ ამზადებს ნიადაგს ფსიქიკურის ბუნების სრულიად ახლებური და ორიგინალური გააზრებისათვის, რაც წლების შემდეგ განწყობის თეორიაში განხორციელდა.

აქტივობის თეორიის ზოგად მონახაზს უზნაძე საქართველოში დაბრუნების პირველივე თვეებში გამოქვეყნებულ წერილში („ბარათაშვილის ლირის მოტივები“, 1909 წ.) იძლევა, ხოლო მომდევნო პუბლიკაციებში („ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, 1910 წ.; „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის განდევნილობი“, 1911 წ.; „აბამელის პოეზია“, 1913 წ. და სხვ.) მას უკვე დასრულებული სახით აყალიბებს. თავისი თეორიით უზნაძე პასუხობს კითხვას, თუ რა აღძრავს სულიერ აქტივობას,

რაც ადამიანური საქმიანობის ყველა სახეობაში, განსაკუთრებით მკაფიოდ კი ხელოვნურ შემოქმედებაში (მაგალითად, პოეზიაში) იჩენს თავს? ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივების შესახებ იმ ხანს (1908-1909 წლებში) მიმდინარე დისკუსიაში გამოიკვეთა, რომ ასეთი ბიძგის მიმცემ და მამოძრავებელ ძალად ყველას გარემო მიაჩნდა. ამას ამტკიცებდა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე და იმავეს ამტკიცებდა მისი კრიტიკოსი, ცნობილი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე.

კამათი ეხებოდა, ზოგადად, შემოქმედებაში და, კერძოდ, ბარათაშვილის ლირიკაში გარემო-პირობების მიერ სრულიად გარკვეული სახის განცდების და მისწრაფებების გამონწვევის საკითხს. მაგალითად, იმას, თუ რატომ მოხდა, რომ ცხოვრებისეულმა სირთულეებმა და სამშობლოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ ბარათაშვილთან სწორედ ცხოვრების ამაოების განცდაში და მარადისობისაკენ სწრაფვაში იჩინა თავი. რობაქიძე ამას გენიალური ადამიანის აბსოლუტური სულის ინდივიდუალობით (განუმეორებლობით, ერთხელ და სამუდამოდ მოვლენილობით) ხსნის, ჯორჯაძე კი ასეთ მსჯელობას მეტაფიზიკად მიიჩნევს, რაც მას აზროვნების უძღურების ნიშნად მიაჩნია. ინდივიდუალობა ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელიაო, ამბობს იგი.

დ. უზნაძეს შეცდომად მიაჩნია სულიერი აქტივობის აღმძვრელ ძალად გარემოს გამოცხადება, რითაც დისკუსიის ორივე ავტორიტეტულ მონაწილეს უპირისპირდება და ანვითარებს საკუთარ კონცეფციას ფსიქიკის აქტიური ბუნების შესახებ. ამ კონცეფციის მიხედვით, აქტიურობა თვითონ ფსიქიკის არსებობის ფორმაა. ფსიქიკა არაა სუბსტანციონალური მოცემულობა და მას ასამოქმედებლად გარეგანი მიზეზი არ ესაჭიროება. სულიერი პროცესი, როგორც ასეთი, აქტივობას იმთავითვე გულისხმობს. იგი ყოველგვარ გარემოში იმ სახითა და ფორმით გამოავლენს თავს, როგორც მისი მოცემულობის არსს, ე.ი. მის აქტიურ ბუნებას შეესაბამება. გარემო უმნიშვნელოა მისი აქტივობის გაღვიძებისათვის.

ამასთანავე, ფსიქიკა აქტიურთან ერთად პასიურიცაა, რადგან მიმღებია, რეცეპტიულია. გარემო განუწყვეტლად მოქმედებს მასზე გრძნობის ორგანოთა საშუალებით და ზღვარს უდებს მის თავისუფალ ლტოლვას. ამრიგად, ადამიანის ფსიქიკა

ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობის წარმომადგენელია, აქტიური შემოქმედი გონებისა და პასიური გრძნებისა, რომელთანაც სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობებია დაკავშირებული. ყოველი ადამიანი აქტიურ შემოქმედ გონებასთან ერთად, გრძნეულ-გრძნობათა მატარებელია. გრძნებაში შეგრძნება (ზოგადად სენსორული, ან პერცეპტული პროცესი) იგულისხმება, გრძნობაში კი შეგრძნებულის ემოციური განცდა (გავიხსენოთ, რომ ქართული ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია ჯერ დამუშავებული არაა). ადამიანი, როგორც შემოქმედი, აბსოლუტურია, მაგრამ როგორც გრძნეული (შემგრძნობი, გარემოს მიმღები) დროისა და სივრცის საზღვრებითაა შეზღუდული.

ადამიანში გამუდმებული ბრძოლაა ამ ორ მიმდინარეობას (შემოქმედ გონებასა და შეგრძნებულ განცდათა) შორის და ეს ყოველი ადამიანის დრამაა, რაც მსოფლიო ისტორიული განვითარების შინაარსია. ეს დრამა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მათ შორის დაპირისპირება. ამ დაპირისპირებას კი აძლიერებს, ერთის მხრივ, შემოქმედი გონების სიძლიერე, მეორე მხრივ კი, გრძნეულ გრძნობათა (დღეს ვიტყვით, სინამდვილის მძაფრი ემოციური აღქმა) სიძლიერე. განსაკუთრებით მძაფრია ეს დაპირისპირება გენიოსთან, „ვინაიდან გენიალობა ძლიერი შემოქმედებაა და უღრმესი გრძნება“. გენიოსს სხვებზე მეტად ბოჭავს წუთისოფელი, ვინაიდან იგი სხვებზე ღრმად იგრძნებს (აღიქვამს). ამ გრძნებით იბოჭება მისი სულის შემოქმედებითი ელემენტი. ხოლო რაკი ადამიანი არა უმთავრესად გრძნეული (მიმღები, რეცეპტიული), არამედ, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედი და მოაზროვნე არის, მასში იბადება ამ შებოჭილობის დაძლევისაკენ, ანუ მარადისობისაკენ ლტოლვა. გენიოსთან ეს მისწრაფება უმწვავესი ფორმით მჟღავნდება.

წერილში, „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“ უზნაძე აგრძელებს ადამიანის ფსიქიკის აქტივობის, მისი შემოქმედებითობის თეორიის სრულყოფას და მას ცნობიერების შემეცნებით მუშაობასთან დაკავშირებით განიხილავს. მისი აზრით, ფსიქიკის მარადიული აქტიურობა ორ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებას მოიცავს: ერთის მხრივ, იგი აბსოლუტურისაკენ, უნივერსალობისაკენ, სამყაროსთან განუყოფელი ერთიანობისაკენ არის მიმართული, მეორეს მხრივ კი, ინდივიდუალობისაკენ. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი, როგორც ცნობიერი არსება, სამყაროს ორად – „მე“-დ და დანარჩენ არსებუ-

ლად ჰყოფს. ეს გაყოფა და ამრიგად ინდივიდუალობის დამკვიდრება ცნობიერების შეცდომაა. სამყარო ობიექტურად ერთიანია, ინდივიდუალობა კი მასში ცნობიერებას შეაქვს.

ამიტომ, მეცნიერება, რომელიც სამყაროს ცნობიერი შემეცნების უმძლავრესი იარაღია, უძლურია შეიცნოს უნივერსალობა. სამყაროს მთლიანობის წვდომა არა მეცნიერების, არამედ მხოლოდ მეტაფიზიკის გზითაა შესაძლებელი. მეტაფიზიკურ საკითხს მეცნიერება ან გვერდს უვლის, ან თავისთვის მოსახერხებელ გადაწყვეტას უძებნის, იმის მიუხედავად, თუ რამდენად სწორია ეს გადაწყვეტა, ე.ი. შეესაბამება თუ არა იმ მეტაფიზიკური (ემპირიული დაკვირვებისათვის მიუწვდომელი) მოვლენის ჭეშმარიტ მოცემულობას, რომელზეც მსჯელობს. ასეთ მეტაფიზიკურ საკითხად მიაჩნია უზნაძეს არაცნობიერის (მისი მაშინდელი ტერმინოლოგიით, „შეუგნებლის“) საკითხი. ეს იმას ნიშნავს, რომ უზნაძეს არაცნობიერი სულიერი პროცესის მეცნიერული კვლევა, მისი არსებობა-არარსებობის საკითხის მეცნიერული გადაჭრა შეუძლებლად მიაჩნია. მეცნიერებას ერთნაირი წარმატებით შეუძლია არაცნობიერის ჰიპოთეზის მიღებაც და მისი უარყოფაც და ისიც ისე იქცევა, როგორც მისი პროგრესული განვითარებისთვის იქნება ხელსაყრელი. კერძოდ, პრაგ-



დ. უზნაძე

მატიზმის წარმომადგენლები, ასევე ფილოსოფოსი ვ. იერუზალემი, თვლიან, რომ არაცნობიერი ფსიქიკურის („შეუგნებელ სულიერ მოვლენათა“) ცნება სასარგებლოა, როგორც სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის შემეცნების საშუალება, ამიტომ იგი შეიძლება მივიღოთ, თუმცა მისი რეალური არსებობა ჩვენთვის მუდამ საიდუმლოებად დარჩება.

იმის მიუხედავად, რომ არაცნობიერის საკითხის გარშემო არსებულ შეხედულებათა მიმოხილვისას უზნაძე სხვებზე მეტი სიმპათიით ეპყრობა ვუნდტის პოზიციას

არაცნობიერი სულიერი პროცესის შეუძლებლობის შესახებ, იგი უარს არ ამბობს სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის შემეცნებისთვის არაცნობიერის ჰიპოთეზის გამოყენებაზე. მას მიაჩნია, რომ, თუ ცნობიერი შემეცნება, რომლის მწვერვალაც პოზიტიური მეცნიერებაა, სამყაროში მრავალფეროვნებას ქვრეტს და ინდივიდუალობას ამკვიდრებს, სამყარო მთლიანობაში (რომელთანაც ჩვენი მეც შერწყმულია და ინდივიდუალობა გამქრალია) მხოლოდ მაშინ გვეძლევა, როცა ცნობიერება შესუსტებულია, ან სრულიად გამქრალია. ცხოველს არ აქვს ცნობიერება და არც ინდივიდუალობა გააჩნია. არაცნობიერი გასაგებს ხდის ჩვენს ნათესაობას ცხოველებთანაც და ერთმანეთთანაც, რადგან, ინდივიდუალობის მიუხედავად, ადამიანი ზოგადად მაინც მხოლოდ ადამიანია, სხვების თავისებური განმეორებაა.

ამ თეორიული დასკვნის ფსიქოლოგიურ არგუმენტად უზნაძეს მოჰყავს ადამიანის ფსიქიკის ნეიტრალური მდგომარეობა, როდესაც ინდივიდუალობის კვალიც არსად ჩანს. მაგალითად, ჩაძინების ან გაღვიძების მომენტში, როდესაც ადამიანს არც სძინავს და არც ღვიძავს, ნივთები და მოვლენები თითქოს თავიანთ სახეს კარგავენ, ერთმანეთში ირევიან და მათი ინდივიდუალური თვისებები თითქოს ქრება. მაგრამ ეს ამ მოვლენის მხოლოდ მატერიალური მხარეა, რომელსაც ნივთები და მოვლენები შეადგენენ. მისი ფსიქიკური მხარე კი ისაა, რომ აქ ფსიქიკა სრულიად მოდუნებულია, მისი აქტიური მხარე – აპერცეფცია – დროებით შეჩერებულია. ხოლო რაკი ამ მდგომარეობაში ცნობიერება (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) არ არსებობს, აღარსადაა ინდივიდუალობაც. ეს უკანასკნელი რომ ცნობიერებადმდე არსებობდეს და ცნობიერება მას მხოლოდ როგორც უკვე არსებულს ანათებდეს, ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან „ის, რაც ნამდვილი რეალობის მატარებელია, არსებობს მუდამ – განვითარებული იქნება თუ არა ცნობიერება – ეგ მისთვის სულერთია“.

უზნაძის მიერ მისი მეცნიერული მოღვაწეობის საწყის ეტაპზე განვითარებული აქტივობის თეორიის გენეტიკური კავშირი თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ წამოყენებულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასთან საგანგებო კვლევას მოითხოვს, აქ კი მხოლოდ ერთ მომენტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. როგორც ცნობილია, თავის ბოლო, შემაჯამებელ ნაშრომში უზნაძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ განწყობაა ის ფსიქიკური რე-

ალობა, რაც არაცნობიერად განსაზღვრავს სუბიექტის ქცევას და ცნობიერებას. განწყობა, როგორც პირველადი მთლიანობა, რომელშიც სუბიექტური და ობიექტური, როგორც ერთიმეორის ანტიპოდები, ჯერ დიფერენცირებული არაა, გასაგებს ხდის სუბიექტის ფსიქოფიზიკური მთლიანობის ფაქტს. ამის გამო, მისი აზრით, არაცნობიერი ზედმეტი ცნებაა და იგი განწყობის ცნებით უნდა იქნას ჩანაცვლებული. საქმე ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით რა არის არაცნობიერი და მისი მხოლოდ ნეგატიური დახასიათება გვაქვს, სამაგიეროდ კარგად ვიცით რაცაა განწყობა, რომელსაც სრულიად პოზიტიური მეცნიერული გზით შევისწავლით.

მაშასადამე, უზნაძემ, მიუხედავად იმისა, რომ განწყობის ფსიქიკურობის აღიარებით ინდივიდის არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობის არსებობა დაუშვა, არაცნობიერი, როგორც ემპირიული დაკვირვებისთვის მიუწვდომელი მოვლენა, მაინც მეტაფიზიკის სფეროში დატოვა, ხოლო ცნობიერების და ქცევის ამხსნელი ცვლადის ფუნქცია დააკისრა ექსპერიმენტულად შესწავლილ მოვლენას, განწყობას, რომელსაც მანამდე ქვეფსიქიკურ სფეროში მდებარედ მოიაზრებდა. ვფიქრობთ, აზრი იმის შესახებ, რომ არაცნობიერი ზედმეტი ცნებაა და პოზიტიურ მეცნიერებაში მისი ადგილი არაა, იმ თვალსაზრისის თავისებური გამოძახილია, რომელიც მან თავიდანვე დააფიქსირა „შეუგნებლის“ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით. ე.ი. განწყობის ცნებით ხდება არაცნობიერის იმ ცნების ჩანაცვლება, რომელიც ამ მიმართულების ფსიქოლოგიურ თეორიებში ემპირიული ფაქტების ახსნისთვის გამოიყენება (უზნაძეს, პირველ რიგში, მხედველობაში აქვს ფროიდიზმი). უცნობი იცვლება ნაცნობით, ხოლო საკუთრივ არაცნობიერი, როგორც მეტაფიზიკური მოვლენა, ყოველთვის მიუწვდომელი დარჩება მეცნიერული შემეცნებისათვის. ძნელად ამოსაცნობია, რა სახეს მიიღებდა განწყობის თეორია საბოლოოდ, უზნაძეს რომ მისი სრულყოფა დასცლოდა და, ამასთანავე, იდეოლოგიური ჩარჩოებით არ ყოფილიყო შეზღუდული.

რაც შეეხება თეზისს ფსიქიკის აქტიური ბუნების შესახებ, რომლის თანახმადაც ფსიქიკა თავისთავად აქტიურია (თვითაქტიურია) და ასამოქმედებლად გარეგან ბიძგს, ე.ი. სუბსტანციონალურ მიზეზს არ საჭიროებს, მან შემდგომი განვითარება ჰპოვა ადამიანის ინტროგენური აქტივობის (თამაში, შემოქმედება და სხვ.) ასახსნელად წამოყენებულ ფუნქციონალური ტენდენ-

ციის თეორიაში. საგულისხმოა ისიც, რომ ზუსტად იმ ხანაში, როდესაც უზნაძე ფსიქიკის თვითაქტივობის თეორიას ავითარებდა, ამერიკაში ისახებოდა და ძალას იკრებდა საპირისპირო მიმართულება, ბიჰევიორიზმი, რომელსაც სულიერი არსების (მ. შ. ადამიანის) ყოველგვარი აქტივობა გარეგანი სტიმულაციით გამოწვეულ რეაქციად მიაჩნია. ბიჰევიორიზმმა ქარიშხალივით გადაუარა მთელ მსოფლიოს, მაგრამ მისი დაცხრომის შემდეგ ფსიქოლოგიური აზრი ფსიქიკის აქტიური ბუნების აღიარებამდე მივიდა. დღეს წამყვან ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებში სხვადასხვა კუთხით განიხილება ფსიქიკის თვითაქტიური ბუნება, ადამიანის სულიერი სამყაროს ის თავისებურება, რომ იგი არაა მხოლოდ გარემოს გამოწვევებზე მოპასუხე რეაქტიული მექანიზმი. ადამიანი თვითონ მიისწრაფვის საკუთარი სულიერი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისკენ, თვითონ იწვევს საკუთარ თავს დიდი თუ მცირე საქმეების საკეთებლად.

როგორც ვხედავთ, უზნაძის მოღვაწეობის ამ პერიოდის ფილოსოფიური ნაშრომები, ძირითადად, ფსიქოლოგიური მეცნიერების ფილოსოფიურ დაფუძნებას, მისი საგნის ბუნების გარკვევას ემსახურება. რამდენადმე სხვაგვარ მიზნებს ისახავს უზნაძე თავის პედაგოგიურ ნაშრომებში. აქ იგი უკვე ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული პედაგოგიური სისტემის აგებას ცდილობს. მის ყოველ საჯარო გამოსვლას პედაგოგიურ ყრილობებზე და კონფერენციებზე, ისევე როგორც პედაგოგიური ხასიათის ნაშრომებს, წითელ ზოლად გასდევს აზრი პედაგოგიურ საქმიანობაში ფსიქოლოგიური ცოდნის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ. ეს აუცილებლობა ერთნაირად ეხება როგორც პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას, ისე პედაგოგიკის თეორიას.

„ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“

1912 წელს ქუთაისში გამოდის დ. უზნაძის სახელმძღვანელო „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“, სადაც პედაგოგიკის პრაქტიკული და თეორიული ამოცანების გადაჭრისათვის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდის სარგებლობა და აუცილებლობა დასაბუთებული. ეს იყო გაბედული ინოვაცია, რადგან პედაგოგიკაში ექსპერიმენტირების შესაძლებლობებს იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში ფრიად სკეპტიკურად უყურებდნენ.

ეს იმ დროს, როდესაც დასავლეთში პედაგოგიურ საკითხებს, ძირითადად, სწორედ ექსპერიმენტული გზით იკვლევდნენ. დასახელებული წიგნით და თავისი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობით უზნაძე აქტიურად ეხმარება ამ პროგრესულ ტენდენციას.

პედაგოგიური კვლევის სფეროში ექსპერიმენტის შემოტანა უზრუნველყოფს პედაგოგიური პროცესის ისეთი მხარეების გამოვლენას, რომლებიც მისი ბუნებრივი მიმდინარეობის დროს ძნელად შესამჩნევია. პედაგოგიურ საქროებებზე გათვლილი ექსპერიმენტის თავისებურებათა უზნაძისეულ დახასიათებაში თავს იჩენს საკითხისადმი ავტორის სისტემური მიდგომა. უზნაძე ჯერ ამ მიმართულების ექსპერიმენტის ნაირსახეობათა კლასიფიკაციას ახდენს, ადგენს იმ არსებითს, რითაც ისინი ერთიმეორისგან განსხვავდებიან და შემდეგ დაწვრილებით განიხილავს თითოეულ მათგანს.



დ. უზნაძე პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად. 1934 წ. ქუთაისი.
 წარწერა ფოტოზე: „ნიშნად ღრმა პატივისცემისა სტუდენტების
 სიამაყეს და იმედს პ-ლ პროფესორ დ. უზნაძეს“

პედაგოგიური ექსპერიმენტი წმინდად პედაგოგიური საკითხის შესწავლას ისახავს მიზნად. მაგალითად, როდესაც რომელიმე პედაგოგიური ამოცანის გადაჭრისათვის საჭირო მეთოდის ნაყოფიერების შემოწმება გვინდა, მისი გამოყენებით მიღებულ შედეგებს ვადარებთ სხვა მეთოდებით მიღებულ შედეგებს და ასე ვადგენთ მოცემული მეთოდის ღირსება-ნაკლოვანებებს. ექსპერიმენტს, რომელიც ასეთი, მხოლოდ პედაგოგიური საკითხის გადასაჭრელად გამოიყენება, უზნაძის თანახმად, შეგვიძლია პირდაპირ პედაგოგიური ექსპერიმენტი ვუწოდოთ. მისგან არსებითად განსხვავდება ბავშვის შესწავლაზე მიმართული ექსპერიმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს – ბავშვის ფსიქიკის განვითარების კანონზომიერებები, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები გამოვავლინოთ და აღზრდის პროცესი ამ ცოდნის გათვალისწინებით წარვმართოთ.

პედაგოგიკაში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ცალკე წარსახეობაა საკუთრივ პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლაზე მიმართული ექსპერიმენტი, რასაც დღეს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ეწოდება. უზნაძე არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ სწავლების ნაყოფიერი მეთოდების მიგნება მარტო პედაგოგიურ ცდაზე (რომელ მეთოდს რა შედეგები მოაქვს) ვერ იქნება დამყარებული და თავად მეთოდის შემუშავებისათვის ფსიქოლოგიური ხასიათის ექსპერიმენტის გამოყენებაა მიზანშეწონილი. ასეთი ექსპერიმენტი საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ მოსწავლის რა განსაკუთრებული თვისებები უწყობს ხელს ამა თუ იმ საგნის, ან ამა თუ იმ საკითხის ნაყოფიერად შესწავლას და ამის საფუძველზე მოცემული საგნის, ან კონკრეტული საკითხის სწავლების ისეთი მეთოდი შევიმუშაოთ, რომელიც ამ თვისებათა ამოძრავებლად და განვითარებას უზრუნველყოფს.

ისევე, როგორც დასახელებულ წიგნში, უზნაძის ყველა იმდროინდელ, პედაგოგიური თემატიკისადმი მიძღვნილ, პუბლიკაციაში („აღზრდის მიზნები“, 1910 წ.; „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“, 1912 წ.; „პედაგოგიური წერილები“, 1915-1916 წწ. და სხვ.), ნათლად იკვეთება ერთიანი გენერალური ხაზი, რომ არაა საკმარისი სწავლა-აღზრდის საქმეში მხოლოდ პედაგოგიური მიზნების გათვალისწინება და აუცილებელია, ეს პროცესი ბავშვის განვითარების თავისებურებებს, მის ბუნებას და ბავ-

შვის ინდივიდუალურ მონაცემებს შეესაბამებოდა. მისი აზრით, წარმატებული მასწავლებლები სწორედ იმის წყალობით აღწევენ კარგ შედეგებს, რომ შეუძლიათ „შთაგრძნობა“, ანუ ბავშვის განცდების წვდომა და თავისი საქმიანობის ისე წარმართვა, როგორც ამას ბავშვის ბუნება მოითხოვს. ავტორი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბავშვის შემსწავლელ მეცნიერებათა, განსაკუთრებით კი, ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარების იმდროინდელი დონე მასწავლებელს საშუალებას არ აძლევდა – თავისი შრომა მეცნიერულ ცოდნაზე დაემყარებინა და იძულებული იყო მხოლოდ საკუთარ პედაგოგიურ ალღოს დაყრდნობოდა.

უზნაძის თანახმად, იმდროინდელი პედაგოგიკის ძირითადი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორიენტირებული იყო მხოლოდ ბავშვის აღზრდის და განვითარების მიზნებზე, ხოლო იმ მასალას, კერძოდ ბავშვის ფსიქიკას, რისთვისაც მიზანში გათვალისწინებული სახე უნდა მიეცა, არც იცნობდა და არც ითვალისწინებდა. მაგრამ ბავშვის ფსიქიკა არაა ჩვეულებრივი ნივთიერი საგანი, რომელსაც ჩვენი მიზნის შესატყვისად ისეთ სახესა და ფორმას მივცემთ, როგორიც გვინდა. ფსიქიკას თავისი განვითარების გზა, თავისი ბუნებრივი კანონზომიერება აქვს და მისი მართვაც მხოლოდ ამის შესაბამისად უნდა ხდებოდეს.



პირველ რიგში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყოველი ბავშვი ინდივიდუალობაა და თითოეული მათგანის აღზრდა და სწავლება სწორედ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მის ნიჭსა და მიდრეკილებებს უნდა ითვალისწინებდეს. უზნაძე ეთანხმება იმ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგ-თეორეტიკოსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება ბავშვი ძალით მივაქციოთ იქითკენ, საითაც მისი ბუნება არ მისწრაფვის. თუ ბავშვს ისე ვასწავლით, რომ მის ინტერესებს

და სპეციალურ ნიჭიერებას ანგარიშს არ გავუწევთ, ეს ბუნებასთან ბრძოლა იქნება, რაშიც გამარჯვება ისევ და ისევ ბუნებას დარჩება. ეს გარემოება პრაქტიკოსმა მასწავლებელმაც უნდა მიიღოს მხედველობაში და პედაგოგიკის თეორეტიკოსმაც.

**ისათივე სკოლა, რომლის აშენებასაც დღეს
დასავლეთის რეკომენდაციებით ვცდილობთ,
უკვე საუკუნის წინათ გვქონდა და აღარ გვახსოვს!**

პედაგოგიკის წიგნის ავტორი ბავშვის ბუნების შესაბამისად ორგანიზებული სწავლების სისტემის შემუშავებას სამომავლო საქმედ მიიჩნევდა და პირველ რიგში ფსიქოლოგიისგან მოითხოვდა ბავშვის ინდივიდუალური მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის საჭირო მეთოდების სისტემის შექმნას. ამის მიუხედავად, მან მაინც შეძლო, როგორც ინდივიდუალური მიდგომის, ასევე თავისი სხვა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური იდეების პრაქტიკული რეალიზება საზოგადოება „სინათლის“ ქალთა სკოლაში, რომელსაც 1915-1918 წლებში ხელმძღვანელობდა. ქუთაისში მცხოვრებმა საზოგადო მოღვაწეებმა და პედაგოგებმა საზოგადოება „სინათლე“ დააარსეს იმასთან დაკავშირებით, რომ 1914 წელს მიღებული იქნა კანონი მცირე ეროვნებათათვის კერძო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლის ნებართვის შესახებ. ქართველებს, რომლებიც მტკივნეულად განიცდიდნენ განათლების სისტემის მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტას, ეს კანონი ამ ფესვებთან დაბრუნებისა და ქართველი ახალგაზრდობის ცნობიერებაში ყოველივე ქართულის თანმიმდევრული ჩანერგვის საშუალებას აძლევდა. სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1915 წლის 14 სექტემბერს. სიტყვა წარმოთქვეს კიტა აბაშიძემ („სინათლის“ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე) და დ. უზნაძემ, რომელიც, დამფუძნებელი საზოგადოების მიერ, უკვე დანიშნული იყო სკოლის გამგეობის სპექტორად.

მანამდე ცოტა ხნით ადრე, გაზეთ „სახალხო ფურცელში“ „იმ-ამ“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში კ. აბაშიძე წერდა: „ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება ქალთა სკოლა 1914 წლის 1 ივლისის კანონის მიხედვით. სკოლას გახსნის საზოგადოება, რომელსაც სათავეში უდგანან ქუთათური საზოგადო მოღ-

ვანენი. სკოლის გამგედ უკვე მონვეულია ქართული გიმნაზიის მასწავლებელი დ. უზნაძე, ფრიად ნიჭიერი და დიდი ცოდნით აღჭურვილი ყმანვილი კაცი, რომლის სახელი უკვე თავისთავად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სკოლის დამაარსებელთ საქმე მეტად სერიოზულ ნიადაგზე დაუყენებიათ“. 1917 წელს დადგა მთლიანად საქართველოს სკოლების გაეროვნების საკითხი და უზნაძეც, რომელიც საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, ამ საქმეს ჩაუდგა სათავეში. საქართველოში მოქმედი სკოლების საყოველთაო გაეროვნების პროგრამის შედეგად, „სინათლის“ სკოლამ, რომელიც ფართო საზოგადოების მატერიალური დახმარებითა და პედაგოგთა ენთუზიაზმის (რომელთა ნაწილიც სკოლაში უსასყიდლოდ მუშაობდა) წყალობით ფუნქციონირებდა, განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობა დაკარგა და 1919 წელს იგი დაიხურა.

„სინათლის“ სკოლა დ. უზნაძემ საკუთარი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით ააგო. როგორც ჩანს, გამგეობამ მას სრული „კარტ-ბლანში“ მისცა, როგორც სასწავლო საგნების და პედაგოგების შერჩევის, ისე სწავლების შინაარსისა და მეთოდების შემუშავების მიმართულებით. ამის დასტურია 1915-1916 წლების ანგარიში სასწავლებლის მუშაობის შესახებ, სადაც უზნაძე პირველად აცნობს გამგეობას არა მხოლოდ იმას, თუ რას მიაღწია სკოლამ და რამდენად შეასრულა დასახული მიზნები, არამედ იმ პედაგოგიურ სისტემასაც, რომელზეც სკოლის მუშაობა იყო დამყარებული. ეს ანგარიში პრესაშიც გამოქვეყნდა და მაშინვე შეფასებული იქნა, როგორც არა უბრალოდ ანგარიში, არამედ როგორც ნამდვილი „პედაგოგიური ტრაქტატი“. წლების შემდეგ, უზნაძის მოღვაწეობის შესახებ არსებული ყველაზე სრული მონოგრაფიის ავტორი ნადეჟდა ბერულავა დანერს, რომ ეს ანგარიში „წარმოადგენს ზოგად ფილოსოფიურ მსოფლმხედველობით შეკრულს, დასრულებულს და მეცნიერული ფსიქოლოგიით დასაბუთებულ პედაგოგიურ „ტრაქტატს“, რომელშიც გამოყენებულია აღზრდისა და სკოლის მთელი გამოცდილება და ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები, ხოლო ყველაფერი ეს სოციალურ ასპექტშია განხილული“.

სკოლის მუშაობა გამსჭვალული იყო ეროვნული სულისკვეთებით და ქართველი ქალისთვის ისეთი განათლების მიცემას ითვალისწინებდა, რომელიც მისგან, მომავალში, ქართველ



დ. უზნაძე მეორე რიგში მარჯვნიდან მესამე
(გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად)


მამულიშვილთა აღზრდას უზრუნველყოფდა. „სინათლის“ სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის ქალიშვილი კერძო საუბარში იხსენებდა, რომ დედის გადმოცემით, დ. უზნაძე თითქმის ყველა გაკვეთილს იწყებდა სიტყვებით: „მომავალ ქართველო დედებო“. სასწავლო საგნები და პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ კომპლექსურად პასუხობდნენ ძირითად მოთხოვნას, რომელიც დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარემ კ. აბაშიძემ ასე ჩამოაყალიბა: „ვიდრე ქართველი ქალი არ იქნება ქართულის ენით აღზრდილი და განათლებული, მანამდის ჩვენი ოჯახები გადაგვარების გზას დაადგებიან“.

აქ არ შევუდგებით სკოლის მუშაობის ყველა მხარის დეტალურ აღწერას და ზოგადად მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე, რომლებიც დღეისთვისაც აქტუალურია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში განათლების სფერო იმ მიმართულებით ვითარდება და დღესაც იმ პრობლემათა გადაჭრის მცდელობაშია, რაც უზნაძემ 100 წლის წინათ დასახა და რის პრაქტიკულ რეალიზაციასაც „სინათლის“

სკოლაში შეეცადა. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიური ჩართულობის პრობლემა. უზნაძეს მიაჩნია, რომ ბავშვის სუსტ ნებისყოფას მხოლოდ მაშინ შეუძლია სწავლის ტვირთის ზიდვა, თუ მას სწავლების პროცესი და სასწავლო მასალაც დაეხმარება. ხშირად სკოლა მოსწავლეს „ისეთ რამეს აწვდის, რაც ბავშვის ძალასაც აღემატება და არც მის სურვილს შეეფერება. ბავშვი ზიზღით აკეთებს მისთვის არასაინტერესოსა და გაუგებარ საქმეს და, თუ მოახერხა, მას შუა გზაზე სწყვეტს“. ამიტომ თვითონ საქმე უნდა იყოს ისეთი, რომ მოსწავლეს მასში მონაწილეობის ხალისი არ ამოეწუროს.

ვფიქრობთ, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ როგორ ზუსტად ეხმიანება უზნაძის ეს საუკუნის წინანდელი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური რეკომენდაცია თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიაში ფართოდ რეკლამირებულ ინტერაქტიურ სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომელთა ძირითად ღირსებადაც სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიური და უწყვეტი ჩართულობა ითვლება. ამ თვალსაზრისით ისიც ნიშანდობლივია, რომ მეთოდი, რომელსაც დღეს „სიუჟეტურ-როლებიანი თამაში“ ეწოდება, როგორც ანგარიშიდან ჩანს, აქტიურად იყო დანერგილი „სინათლის“ სკოლაში. მართალია ამისათვის, უფრო მეტად, გაკვეთილებს შორის პაუზები გამოიყენებოდა, მაგრამ ყველაფერი პედაგოგიური ხელმძღვანელობით ხდებოდა და პედაგოგიურ მიზნებს ემსახურებოდა.

უზნაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლეთა ერთობლივ დამოუკიდებელ მუშაობას. ანგარიშში ვკითხულობთ:



„საინტერესო სანახავია, როდესაც პატარა ბავშვები ერთმანეთს კითხვებს უსვამენ და თითოეულ პასუხს კრიტიკული თვალთა აფასებენ, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც იგინი ახალ მასალას დამოუკიდებლად ამუშავებენ“. ჩვენს დღევანდელ განათლების სისტემაში მოსწავლეთა დამოუკიდებელი ჯგუფური მუშაობა განვითარ-

რებულ ქვეყნებში აღმოჩენილ და იქიდან შემოტანილ ინოვაციად ითვლება. შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ცნობილი გამოთქმა, რომ „ყოველივე ახალი მხოლოდ დავიწყებული ძველია“.



ასეთივე შეფასებას იმსახურებს ინტენსიური თვალსაჩინოების პრინციპი, რაც თვალსაჩინოების ვიზუალურ შთაბეჭდილებებზე დაყვანის წინააღმდეგაა მიმართული.

უზნაძეს მიაჩნია, რომ თეორიული მასალის კარგ ილუსტრაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მასალის გაცნობაში, მხედველობასთან ერთად, მთელი სენსორული აპარატი (სმენა, შეხება, კინესთეტიკა და ა.შ.) კომპლექსურადაა ჩართული. ამის ყველაზე უკეთეს პირობებს ქმნის სწავლება კეთების (ხელოსნობის, ჭრაკერვის, აპლიკაციის და ა.შ.) გზით. ეს პრინციპი, ისევე როგორც სკოლის ცხოვრებასთან დაახლოების პრინციპი, აქტიურად ინერგებოდა მაშინდელ პედაგოგიკაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ უზნაძე ყოველ მოწინავე ტენდენციას თავისებურად იაზრებს და ორიგინალური სახით ნერგავს. მაგალითად, იმის მტკიცება, რომ სკოლამ მოსწავლე ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს, მხოლოდ ბრტყელი ტავტოლოგიაა და მეტი არაფერი. უზნაძის თანახმად, ცხოვრება თავადაა აღმზრდელი. ადამიანს ცხოვრება ზრდის და რაკი სასკოლო ცხოვრებაც ცხოვრებაა, იგი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ადამიანთა ცხოვრების ლოგიკას პასუხობდეს. სკოლამ ცხოვრებას უნდა მისდოს და ის ეტყვის მას, თუ როგორ და რისთვის უნდა გაზარდოს მოსწავლის ესა თუ ის ძალები და უნარები.

„სინათლის“ სკოლის მუშაობა კიდევ ბევრი ასპექტითაა საინტერესო. კერძოდ საგანგებო განხილვას იმსახურებს უნიშნო სწავლების ექსპერიმენტი, რომელიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიოს მასშტაბით, პირველად აქ განხორციელდა; ასევე მოსწავლეთა ემოციური სფეროს, მათი ესთეტიკური, გონებრივი და სხვა უნარების აღზრდის სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანი ცალკე გამოკვლევის საგანია, აქ კი

მხოლოდ იმაზე გავამახვილეთ ყურადღება, რომ თითქმის ისეთივე სკოლა, როგორც აშენებასაც დღეს დასავლეთის დახმარებით და რეკომენდაციებით ვცდილობთ, უკვე საუკუნის წინათ გვექონდა და აღარ გვახსოვს.

ბუნებრივია, რომ ასეთი მრავალმხრივი მოაზროვნე, რომელსაც უკვე ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, საჭირო დროს სწორედ იქ დადგა, სადაც სამშობლოს მისი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა და, სხვებთან ერთად, მხარში ამოუდგა ივანე ჯავახიშვილს დიადი ეროვნული ოცნების ასრულებაში. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, დიდი როლი ითამაშა მის შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ აქამდე, ეროვნული მასშტაბის მოღვაწე, მალე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერული თეორიის ავტორი და სკოლის დამფუძნებელი გახდა.

მერაბ მაღრაქი,
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი*



7

ქართული პედაგოგიკის ერთ-ერთი შემოქმედი

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკის საკითხებზე 1909-1916 წლებში მუშაობდა და ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა. მან პედაგოგიკის არსის გაგება უშუალოდ თავისი ძირითადი მსოფლმხედველობის ასპექტში მოაქცია. მისი შრომები არათუ გადმოგვცემენ მეცნიერებში მოპოვებულ მიღწევებს, არამედ საკუთარ პედაგოგიურ კონცეფციასაც ავლენენ.

უზნაძემ წარმოადგინა შეხედულებათა მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიკის, ისე ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. 1910-1916 წლებში უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია წიგნი „შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში“, რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას – ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას.

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკას ორად ჰყოფს: თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიკად. ისინი, მისი აზრით, ერთი მთლიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვია და ისეა მოწყობილი, რომ თეორიულად მოპოვებული ყოველი დებულება აღზრდის პრაქტიკაში გადაიტანოს. უზნაძის კვლევის საგანი იყო აღზრდის საგანი – ბავშვი და მისი ფსიქოლოგია, აღზრდის მიზანი, გარემო და აღზრდა, აღზრდის ძირითადი პრინციპები, ნებისყოფის ადგილი და მნიშვნელობა პედაგოგიკაში, პედაგოგიური პროცესის ბუნება და მასწავლებლის პიროვნება. მისი აზრით, ბავშვი ინდივიდია და მისადმი ასევე ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.

ნათელა იმაღაძე,

პროფესორ-ემერიტუსი, ფსიქოლოგი:

– დიმიტრი უზნაძე, როგორც პედაგოგი, ორ ასპექტს მოიცავს – უზნაძე, როგორც თეორეტიკოსი და უზნაძე, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგი. მან გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ პედაგოგად იმუშავა და ამ პერიოდში აქვეყნებდა წერილების სე-



ნ. იმედაძე, ემერიტუს-პროფესორი, ფსიქოლოგი

სრულყოფისაკენ. იგი თავიდან აღნიშნავს, რომ მასწავლებელი და აღმზრდელი სოციალური მიზნებით არის მოტივირებული და განწყობილი, ბავშვის განვითარებას კი აქვს თავისი განსხვავებული კანონზომიერება: ეს არის ფუნქციების მოთხოვნილება, რაც განვითარების პროცესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ხშირად ის მიზნები, რაც მასწავლებელს აქვს და ის მიზნები, რაც ბავშვს აქვს, ანუ დაიკმაყოფილოს თავისი ფუნქციების

რიას აღზრდის შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი აზრი აქვს გამოთქმული ექსპერიმენტული პედაგოგიკის თაობაზე.

თავისი მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში უზნაძემ დაწერა ორი მეტად მნიშვნელოვანი სტატია. ერთი იყო „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ და მეორე არაჩვეულებრივად საინტერესო სტატია – „აღზრდის ტრაგედია“. მასში უზნაძე იხილავს აღზრდას, როგორც პროცესს, სწრაფვას

მოთხოვნილება, ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. აქედან იწყება აღზრდის ტრაგიკული მომენტი. უზნაძის აზრით, ერთადერთი გამოსავალი აქედან არის ის, რომ მასწავლებელმა სრულყოფილად იცოდეს ბავშვის განვითარების ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურება, უნდა სწვდებოდეს ბავშვის შინაგან სამყაროს, მის მისწრაფებებს, უნდა ჰქონდეს ემპათიური თანაგანცდის გრძნობა და ამის გათვალისწინებით შეიძლება ამ ტრაგიკული ვითარების გაბათილება.

**ფსიქოლოგია
და
პედაგოგიკა**

ლიმიტრი უზნაძე

უზნაძის იდეებში პედაგოგიკის შესახებ ყველგან არის ხაზგასმული მოსწავლის აქტივობის მომენტი, ის, რასაც თანამედროვე პედაგოგიკა მიიჩნევს ალზრდის აუცილებელ ატრიბუტად. მისი აზრით, მარტო მასწავლებელი კი არ უნდა იყოს აქტიური, არამედ მოსწავლეც.

დიმიტრი უზნაძის კიდევ ერთი იდეა ასეთი გახლავთ – ალზრდის პროცესში ცალ-ცალკე არ უნდა არსებობდეს მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური ალზრდა. ალზრდა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად მთლიანი პიროვნებისა.

უზნაძის იდეები დღესაც არაჩვეულებრივად აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე პროგრესულ თეორიულ მიდგომებს პედაგოგიკაში.

მანია ტორაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი*

8

რატომ „გადაირჩია“ დიმიტრი უზნაძემ ფილოსოფია?

დიმიტრი უზნაძე ცნობილია როგორც უდიდესი ფსიქოლოგი და „განწყობის თეორიის“ შემქმნელი, როგორც ფილოსოფოსს კი ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მის ფილოსოფიურ ესეებში და ნაშრომებში იმთავითვე ჩანდა მისი დაინტერესება ფსიქოლოგიით, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კიდევ მისი მომავალი საქმიანობა. ასე რომ, იგი სამართლიანად ითვლება არა მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, არამედ ფილოსოფიური სკოლის ერთერთ ფუძემდებლადაც.

დიმიტრი უზნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური აზრის გაღრმავება-განვითარებაში. იგი სერიოზული ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება ამ სფეროში მოიცავს როგორც ფილოსოფიის ისტორიას (მონოგრაფიები სოლოვიოვისა და ბერგსონის ფილოსოფიური სისტემების შესახებ), ისე აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემატიკას: სიკვდილი და უკვდავება; ომი და ცხოვრების რაობა; პირადი ბედნიერება და ერისა



სა თუ კულტურის სამსახური; ადამიანის ინდივიდუალობა და შემეცნების თავისებურება – აი, იმ თემების არასრული ჩამონათვალი, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა. უზნაძის ფილოსოფიურ თხზულებებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა.

როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიით დაინტერესება, გარკვეულწილად, განსაზღვრა მისმა შინაგანმა ხასიათმა და

მოვლენების ღრმად შემეცნების სურვილმა. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის გიმნაზიის მერვე კლასიდან გარიცხული დიმიტრი უზნაძე იმავე წელს ლაიფციგის უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. უნივერსიტეტში გატარებული წლები მისი, როგორც ფილოსოფოსად მოაზროვნე პიროვნების, მომწიფების ხანაა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა: „ცხოვრება, როგორც მარადიული სისრულისკენ სწრაფვა“, „შემოქმედება, როგორც სოციალური ღირებულების რეალიზაცია“ – ეს იყო მისი ფილოსოფიური ძიების ძირითადი საგანი. აღსანიშნავია, რომ მან, როგორც ფილოსოფოსმა, პირველ წარმატებას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიაღწია. 1907 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ლეიბნიცის ფილოსოფიისადმი მიძღვნილ ნაშრომში მას პრემია მიანიჭა. 1909 წელს ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში (გერმანია) დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ვლადიმერ სოლოვიოვი – მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“. ნაშრომი ეძღვნებოდა სოლოვიოვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და წარმოადგენდა ამ საკითხზე დაცულ პირველ სადისერტაციო ნაშრომს.

დიმიტრი უზნაძეს, როგორც ფილოსოფოსს, ყველაზე მეტად ადამიანის პიროვნება და სიცოცხლის პრობლემატიკა აინტერესებდა, რაც მის შრომებშიც აისახა. მისი მონოგრაფიები: „რა არის შემეცნების თეორია?“, „ომის ფილოსოფია“ და, განსაკუთრებით, მონოგრაფიული გამოკვლევა – „ანრი ბერგსონი“ უახლესი დროის ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი შენაძენია. დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის, აგრეთვე, გამოკვლევები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირის მოტივები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“ და სხვა. ეს ყოველივე, ფაქტობრივად, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიური პოზიციიდან განხილვის ერთერთ პირველ და წარმატებულ ცდას წარმოადგენდა.


ორი ფილოსოფოსის განსჯა

აკაკი ყულიჯანიშვილი,

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი:

— დიმიტრი უზნაძემ უმაღლესი განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტში მიიღო, მაგრამ დისერტაცია ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა, რადგან იმ პერიოდში ლაიფციგის უნივერსიტეტში რუსული ფილოსოფიის სპეციალისტები არ იყვნენ. მისი ინტერესების სფერო განუზომლად ფართო და მასშტაბური იყო. სადისერტაციო ნაშრომში – „ვლადიმერ სოლოვიოვის მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა“ – მას დაწვრილებით აქვს განხილული არა მარტო ვლადიმერ სოლოვიოვის, არამედ იმ დროის გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის მოძღვრება და იგი, ზოგადად, ეხება რუსულ ფილოსოფიურ ტენდენციებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამ ნაშრომისა, ფილოსოფიაში მას სხვა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომები აქვს შექმნილი, მათ შორის გამორჩეულია ფრანგი ფილოსოფოსის – ბერგსონისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, სადაც უკვე



დიმიტრი უზნაძე

ომის ფილოსოფია

იკვეთება მისი დაინტერესება ფსიქოლოგიით. ამ წიგნში საკმაოდ კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება განწყობის თეორიასთან მიმართებაში. დიმიტრი უზნაძე ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაზე თავის ფილოსოფიურ ნაშრომებშიც საუბრობს.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო შრომაა „ომის ფილოსოფია“, რომელიც მან 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს დაწერა. თუ ვინმეს უნდა ქართველი კაცის აზროვნების ორიგინალობა და მისი ომისადმი დამოკიდებულება დაინახოს, ეს ნაშრო-

მი უნდა წაიკითხოს. უზნაძე ომის ფენომენზე ფილოსოფიური ასპექტით საუბრობს და კონკრეტულად ომის პერიპეტიებს არ ეხება. მეცნიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ომი კაცობრიობის ისტორიაში, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ კულტურის მატარებელ ხალხს ომისადმი და ა.შ. იგი ომს განიხილავს, როგორც ფილოსოფიურ ფენომენს, თუმცა კარგად ჩანს ფსიქოლოგიური მომენტები.

— **მიუხედავად ფილოსოფიაში წარმატებული მოღვაწეობისა, მან საბოლოოდ ფსიქოლოგია აირჩია, რა იყო ამის მიზეზი?**

— მას შემდეგ, რაც საქართველოში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მარქსიზმმა, დიმიტრი უზნაძესთვის ცხადი გახდა, რომ ფილოსოფიურ კვლევებს თავისუფლად ვეღარ გააგრძელებდა. ამ დარგში დამოუკიდებელი მოღვაწეობა გარკვეულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, თუკი იგი მარქსისტულ პოზიციებზე არ გადავიდოდა. ამიტომ მან სასწრაფოდ დაანება თავი ფილოსოფიას და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ დიმიტრი უზნაძეს არც ერთი ფილოსოფიური შრომა არ დაუნერია. ამასთან დაკავშირებით ერთი ძველი ამბავი შემიძლია გავისხენო: როგორც ცნობილია, ბატონმა შალვა ნუცუბიძემ დაწერა ფილოსოფიური ნაშრომი – „ალეთოლოგიური რეალიზმი“, მაგრამ მასზე მუშაობას აღარ აგრძელებდა კომუნისტური რეჟიმის გამო. ერთხელ დიმიტრი უზნაძემ მას უთხრა: – შალვა, მენანება შენი თეორია და იქნებ როგორმე გააგრძელო მუშაობაო. შალვამ უპასუხა: – გავაგრძელებდი, მაგრამ მეშინია, ზემდგომმა „მეგობრებმა“ არ დამინუნონო. დიმიტრი უზნაძემ კი მიუგო: – შენ მაინც გააგრძელე და ქვევრში ჩადე, შემდეგში მომავალი თაობები ნახვენ და იამაყებენო. შალვა ნუცუბიძემ მაინც დაუბრუნა პასუხი: – მე კი ჩავდებ ქვევრში, მაგრამ „კაგებე“ იქაც იპოვის და მერე რა ვქნაო...

ეს ამბავი კარგად ასახავს იმდროინდელი რეჟიმის სისასტიკეს და გასაკვირი არ არის, რომ დიმიტრი უზნაძემ სხვა გზა აირჩია.

კომუნისტებისთვის მიუღებელი იყო განწყობაზე საუბარი

ირაკლი ბრაჭული,

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულეების პროფესორი:

— დიმიტრი უზნაძე მეცნიერებაში მოვიდა როგორც ფილოსოფოსი და აღსანიშნავია, რომ იგი, თავდაპირველად, რელიგიური ფილოსოფიით იყო დაინტერესებული. თუმცა, იმავე პერიოდში, დიმიტრი უზნაძე ასევე ეძებდა ადამიანური ყოფიერების სპეციფიკურ საწყისს. იმდროინდელი ეპოქალური სიტუაციიდან გამომდინარე, კვლევა-ძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ დაძლეულიყო ტექნიკურ მეცნიერებათა უკონკურენციო ბატონობა. იგი ჰუმანიტარული მეცნიერებების ახალ მეთოდოლოგიებს ეძებდა. სწორედ ამ ძიებით იყო განპირობებული მისი პირველი ფილოსოფიური ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიიდან ფსიქოლოგიაში გადასვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ საკითხავია, განწყობა, რომლის შესახებ დიმიტრი უზნაძემ თეორია შექმნა, ნმინდა ფილოსოფიური კატეგორიაა თუ ნმინდა ექსპერიმენტულ-მეცნიერული.



— რატომ ვერ ჰპოვა ამ ცნებამ ფილოსოფიური განვითარება დიმიტრი უზნაძის შრომებში?

— იმდროინდელი ცენზურის პირობებში პერსონის ცენტრალურ ფიგურად „გამოტანა“ სახიფათო იყო, რადგან კომუნისტების ინკვიზიციური რეჟიმი ამას პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა. კომუნისტებისთვის მიუღებელი იყო განწყობაზე საუბარი – ისინი ვერაფრით ვერ იგებდნენ, რომ თუ განწყობა არც სუბიექტურია და არც ობიექტური, მაშინ რა არის ის მესამე? – ასეთი ნიაღვრეები შეიძლება იდეალიზმისკენ სწრაფვის ბრალდებით დამთავრებულიყო, ამის საშუალებას კი უზნაძეს არ მისცემდნენ და ამიტომ შეიცვალა მან პროფესია, აირჩია ფსიქოლოგია – ექსპერიმენტული და ემპირიული მიმართულება.

შურთხია ბაროშვილი
*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
 უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი*



დიმიტრი უზნაძე 60-იანი საუკუნის ქართული ფილოსოფიის სათავეებთან

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად 60-იანი წლებიდან ქართულ ფილოსოფიაში დიდი შემობრუნება ხდება, რასაც პირობითად მაინც შეიძლება ვუწოდოთ – ფილოსოფიის მოშინაურება საქართველოში. ამ დროიდან ქართულ ფილოსოფიაში კვლევის ობიექტი ხდება უშუალოდ ადამიანი, მისი არსი და რაობა. აქედან გამომდინარე, ჩვენს სააზროვნო ვითარებაში მკვიდრდება ფილოსოფიის შესაბამისი დარგები – აქსიოლოგია/ღირებულების თეორია, კულტურის ფილოსოფია და ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

ფილოსოფიის ეს დარგები მაშინდელი საბჭოური იდეოლოგიისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო, რადგანაც ისინი არამარქსისტულის სფეროს მიეკუთვნებოდნენ. სწორედ ამის გამო ქართველ ფილოსოფოსებს არაერთი შეტევის მოგერიება მოუხდათ როგორც საკავშირო თუ ადგილობრივი ოფიციალის, ისე მარქსიზმის სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი თანამემამულე „კოლეგებისგან“. ამ პერიპეტეიების აღწერა, ამჟამად, არ შეადგენს ჩვენს ამოცანას.

რაც მთავარია, ამ დროის წამყვანი ქართველი ფილოსოფოსების ერთმა ჯგუფმა (ანგია ბოჭორიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, ზურაბ კაკაბაძე, ოთარ ბაკურაძე, ოთარ ჯიოევი, თამაზ ბუაჩიძე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში კვლევის მთავარ საგნად გაიხადეს ადამიანის პრობლემა. აქედან გამომდინარე, არც ის იყო შემთხვევითი, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტის კვლევის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოიკვეთა ადამიანის პრობლემა. ეს რადიკალური შემობრუნება ქართულ ფილოსოფიაში, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე ვერ მოხდებოდა. მისი საძირკვლები გასული საუკუნის 10-იან, 20-იან და 30-იან წლებში იყრებოდა და არა მხოლოდ ქართველ ფილოსოფოსთა შრომებში. ადამიანის რაობის და არსის სხვადასხვა მხარეებს, ქართველ მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებას სხვადასხვა კუთხით ეხებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუ-

ბიძე, კონსტანტინე კაპანელი, კონსტანტინე გამსახურდია, მოსე გოგიბერიძე და სხვები.

ამასთან, გასული საუკუნის დასაწყისის (30-იანი წლების ჩათვლით) ქართველ შემოქმედთა და ქართველ 60-იანელ ფილოსოფოსთა შორის არის ერთი არსებითი განსხვავება, კერძოდ: თუკი ადრინდელ ქართველ შემოქმედთათვის ადამიანის პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა ინდივიდუალურ წრილში, სხვა შემოქმედთა თვალსაზრისებთან მიმართების გარეშე, ქართველ 60-იანელ ფილოსოფოსთა კვლევები ამ მიმართებით ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ისინი ერთი საერთო პრობლემის გადაწყვეტაზე იყვნენ ორიენტირებულები. ამასთან, 60-იანელთა კვლევებში სრულად იყო გათვალისწინებული ევროპული ფილოსოფიის მიღწევები. ეს არის მეორე არსებითი განსხვავება 60-იანელებსა და გასული საუკუნის პირველი მესამედის ქართველ შემოქმედთა შორის.

აღნიშნულის ფონზე რამდენად მართებული იქნება, 60-იანელთა საქმიანობა ჩავთვალოთ მათ წინამორბედ ქართველ შემოქმედთა მოღვაწეობის პირდაპირ გაგრძელებად? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა გაგვიჭირდებოდა, რომ არა ერთი გამონაკლისი. ეს გამონაკლისია დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის ადრეული, თითქმის 15 წლიანი მონაკვეთი (1909-1925 წწ.). სწორედ ამ მონაკვეთში უზნაძემ შექმნა წმინდა ფილოსოფიური და, აგრეთვე, ფილოსოფიური ხასიათის შრომები, რომლებშიც გატარებული აზრები შეიძლება ჩაითვალოს ქართველ ფილოსოფოს 60-იანელთა შემოქმედების არც თუ ისე შორეულ საფუძვლად.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ პერიოდში უზნაძის გამოქვეყნებულ დიდ, საშუალო თუ მცირე მოცულობის შრომებს, რომლის განხილვისა და შეფასების საგანია ცხოვრების რაობა, ომისა და სიკვდილის ფილოსოფია, ეპოქალური მნიშვნელობის ფილოსოფოსების – ლაიბნიცის, ბერგსონისა და სოლოვიოვის მსოფლმხედველობანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე აბაშელის პოეზიის ფილოსოფიური ანალიზი.

უნდა აღინიშნოს უზნაძის კვლევის მეთოდზე. იმის მიუხედავად, რომ, როცა იგი პირველ შრომას აქვეყნებს, მხოლოდ 23 წლისაა, გამოკვეთილი აქვს კვლევის საკუთარი მეთოდი, კერ-

ძოდ: ის არ მიმართავს განსახილველი საკითხისა თუ ავტორის პოზიციის დალაგებას, რაც ასე დამახასიათებელია სანყის სტადიაზე დამწყები მკვლევრისთვის. უზნაძე უპირველესად აყალიბებს საკუთარ პოზიციას განსახილველ საკითხზე და შემდეგ ამ პოზიციიდან აანალიზებს თუ აფასებს ამა თუ იმ ავტორის მსოფლმხედველობას და განსახილველ პრობლემას.

განვიხილავთ ამ პერიოდის უზნაძის იმ შრომებს, რომლებშიც იკითხება ქართველ 60-იანელ ფილოსოფოსთა საერთო მსოფლმხედველობის კონტურები. ესენია ქართველ მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი შრომები, ომისა და სიკვდილის ფილოსოფია, ცხოვრების რაობა, კულტურისა და ხელოვნების პრობლემები.

უზნაძის კვლევის მეთოდზე აღვნიშნეთ. ამის ნათელი დადასტურებაა მისი მონოგრაფია ბერგსონზე. ნაშრომის შესავალშივე ავტორი აყალიბებს – თუ როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი ბერგსონის შემოქმედების ძირითადი პრინციპები. აქ ნათლად ჩანს უზნაძის წინასწარი პოზიცია შესასწავლი საკითხისადმი, კერძოდ, ავტორის აზრით, ბერგსონის ფილოსოფიის არსში ჩასაწვდომად საჭიროა: „განწმენდა ინტელექტუალურისა და გზის გაკაფვა ინტუიტიური გამოცდილებისათვის“. ამის მიხედვით, მოთხრობის გეგმის მთავარი სქემა, ალბათ, შემდეგი ხაზებით შემოიფარგლებოდა: 1. შემეცნების კრიტიკა და, აქედან გამომდინარე, მეთოდი შემეცნებისა; 2. გამოცდილების სამი სფერო: ცნობიერება, ნივთიერება და სიცოცხლე; 3. ინტუიციის მონაპოვართა მეტაფიზიკური სინთეზი სამივე სფეროში; 4. გენეზისი გამოცდილების თითოეული სფეროსი; 5. გნოსეოლოგიური სინთეზი.

უზნაძის კვლევის მეთოდის თავისებურებაზე მართებულად შენიშნავდა ე. კოდუა: „უზნაძის ამ პერიოდის აზროვნებაში შეიძლება გამოვაცალკევოთ ისტორიული ასპექტი თეორიულისაგან და გამოვყოთ ის, რაც ვლ. სოლოვიოვის ნააზრევის გადმოცემაა იმისგან, რაც საკუთრივ უზნაძის თვალსაზრისს გვამცნობს“.

დავინწყოთ ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვით. უზნაძის აზრით, „გრძნობა არარაობისა ან ამაღლებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველი ადამიანის არსში მარხია“. ამასთან, უზნაძის აზრით, ასეთ ადამიანში „გრძნეული“ კი არ უნდა იყოს მთავარი, არამედ შემოქმედი მოაზროვნე. ამის გარდა, ამ შემოქმედ-მოაზროვნეში მყარად უნდა იყოს ბუნებრივი

ელემენტი და გრძნება უნდა იყოს მყარი. გრძნება ინვეეს ამაოების გრძნობას/განცდას, მაგრამ გონება მარადიული შემოქმედებაა და გრძნების წინააღმდეგობის ფონზე უფრო /მყარად/ მიისწრაფვის მარადისობისკენ.

უზნაძე მის მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის უტყუარ ილუსტრაციას ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში – „მერანი“ და „შემოღამება მთანმინდაზე“. მერანის რბენა „მერანში“ სულის ლტოლვაა დასრულებულ აბსოლუტად იქცევს, ხოლო შავი ყორანი გარე გრძნებანია, დროული და წარმავალი ელემენტია.

უზნაძის აზრით, ბარათაშვილს უჭირს თავის გრძნებათა დაკარგვა, მაგრამ ამავე დროს არ შეუძლია მას დაუმორჩილოს, დაუმონოს აბსოლუტური სული: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი“.

თუკი ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას უზნაძე წინ წამოსწევს მარადიულისა და წარმავალის ბრძოლას, ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ ღირებულებითი პოზიციიდან აანალიზებს.

უზნაძე ჯერ იძლევა ღირებულებათა კლასიფიკაციას (ფიზიკური, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური, ინტელექტუალური) და იქვე დასძენს, რომ ღირებულებათა ძიების გზაზე ადამიანი როდი კმაყოფილდება რომელიმე მიღწეული ღირებულებით. ადამიანი „... ისწრაფვის არა განსაკუთრებული ღირებულებებისაკენ, არამედ სისრულისაკენ; და, აი, ეს სისრულეა სწორედ მისი მიზანი“. ამასთან, უზნაძის აზრით, ღირებულებათა ძიების გზაზე ჩვენ ვესწრაფვით ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ვქმნით ღირებულებებს (მაგ., სიკეთეს, ხელოვნებას და ა.შ.). „და აი, სწორედ ასეთი ღირებულება არის მასალა, რომელშიც მულავნდება ჩვენი ნების მოქმედება“.

უზნაძე შენიშნავს, რომ სწორედ ამიტომაც ნება, თავის აბსოლუტური აქტივობით, „სრულყოფას ვერ წვდება“. ეს კი ზოგიერთი დიდბუნებოვანი პიროვნების არსებაში საშინელი ტრაგედიის სახეს იღებს.

უზნაძე სწორედ ასეთი ჩამოყალიბებული პოზიციით უდგება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს, კონკრეტულ შემთხვევაში ილიას „განდეგილს“ და, აქედან გამომდინარე, აჩვენებს ნაწარმოებში მოცემული ტრაგედიის მიზეზსა და არსს: „განდეგილი ხომ ისე ცხოვრობდა ერთ დროს, როგორც ყოველი ადამიანი.

მასაც სურდა ადამიანური კეთილდღეობის, ადამიანური ბედნიერების დამკვიდრება, მაგრამ მისი ნება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი არც ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანურმა ღირებულებამ არ დააკმაყოფილა და მან მწვავედ იგრძნო, რომ მთელი ხროვა ამ ღირებულებათა, რომელიც ამ ცხოვრებაში ხორციელდება, ამაოა, რომ იგი მხოლოდ თავის მოტყუებაა. და, აი, სწორედ ამიტომ მოსცილდა იგი ამ ღირებულებათა სამკვიდროს – ჩვეულებრივი სოფლის ცხოვრებას და თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისაკენ იწყო ლტოლვა“.

უზნაძემ ილიას „განდეგილში“ მხოლოდ ქართველი კაცის სვებედი კი არა, არამედ საკაცობრიო ტრაგედია ამოიკითხა. ეს კი, ერთი მხრივ, პოემის ღრმა აზრობრივი დატვირთვის მაჩვენებელია, ხოლო, მეორე მხრივ, უზნაძის ხედვის განსაკუთრებული სიმალლეზე მიუთითებს.

ალექსანდრე აბაშელის პოეზიის უზნაძისეულ შეფასებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიისა და ხელოვნების, ფილოსოფოსისა და ხელოვანის შედარებითი ანალიზი. მისი აღნიშვნით, „... ფილოსოფიური ნაწარმოები და ხელოვნებითი შემოქმედების ნაყოფი – ორივე – ერთ ღმერთს უკმევს გუნდრუქს“. მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ: ფილოსოფოსი განმსჭვალულია შემეცნებისადმი ლტოლვით და დასახული მიზნის მიღწევას ლოგიკურ ფორმებში ცდილობს. ხელოვანი კი ამ ამოცანის გადაჭრას მხატვრულ სახეებში აყალიბებს.

ამასთან, უზნაძე ხაზს უსვამს ნამდვილ და მოჩვენებით ხელოვნებას შორის განსხვავებას. როცა ხელოვანი მოვლენების ზედაპირზე ტივტივებს და მასში სამყაროს ფარული ამოცანების განცდა არ არის, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ხელოვნებასთან, არამედ თამაშთან. უზნაძის შენიშვნით, „საზოგადოდ, ნამდვილად კი მორითმეობა კი არ ხდის ადამიანს ხელოვანად, არამედ გულწრფელი ღრმა განცდა სამყაროს იდუმალებისა, ტკივილის გამომწვევი სიძლიერე ქეშმარიტებისაკენ ლტოლვილებისა“.

ამ კონტექსტში აბაშელის პოეზიის ზოგიერთი მომენტის განხილვის შემდეგ უზნაძე კვლავ უბრუნდება ფილოსოფოსისა და ხელოვანის ხედვებს შორის არსებულ განსხვავებას, გვთავაზობს მათი მიმართების შედარებით ანალიზს, სადაც სიახლე არის ხელოვანის, როგორც ახლის შემოქმედის, წარმოჩენა.

უზნაძის აღნიშვნით, ფილოსოფოსისგან განსხვავებით, ხელოვანის ლტოლვა ვერ კმაყოფილდება სამყაროს ფარული არსის ლოგიკური არგუმენტაციით მიღებული ცოდნით. ხელოვანი ლოგიკის დაუხმარებლად სწვდება სამყაროს ფარულ არსს.

რაც მთავარია, ფილოსოფიისგან განსხვავებით, სადაც ფილოსოფიური აზროვნების შედეგია შემეცნება, ამის ნაცვლად ხელოვნებაში საქმე გვაქვს ცხოვრების იდუმალი არსის განცდასთან.

საინტერესოდ განიხილავს უზნაძე ჭეშმარიტების საკითხს ხელოვნებაში. ხელოვანი მიღებული ცხოვრების განცდილი პრინციპის საფუძველზე ქმნის ახალ ცხოვრებას და მისი როლი სრულდება ხელოვნების ნაწარმოების დასრულებით. ამის შემდეგ საქმეში ერთვება კრიტიკას, რომელმაც უნდა აჩვენოს თუ რამდენად შეეფერება ხელოვნების სინამდვილე ანუ სამყაროს ფარული არსის განცდის შედეგი, ცხოვრების ფარული არსის გამოხატულებას.

უზნაძის აზრით, თუკი ხელოვანის შექმნილი სახეები არსებული სინამდვილის სახეებს შეეფერებიან, მაშინ ჩვენ წინაშეა მსოფლიო ჭეშმარიტი არსის განცდა. თუკი პირიქითაა, მაშინ ხელოვანი ვერ ჩასწვდომია სამყაროს ნამდვილ არსს და არც ის განუცდია.

უზნაძის აზრით, ხელოვნების დანიშნულებაა ცხოვრების ფარული არსის განცდის ჭეშმარიტების გამოაშკარავება და „ამგვარად, ხელოვნების ნაწარმოების ფორმას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ლოგიკურ არგუმენტაციას ფილოსოფიური ჭეშმარიტების სიმტკიცისათვის“. ამ შენიშვნების გათვალისწინებით უზნაძე განიხილავს აბაშელის პოეზიის რამდენიმე ნიმუშს.

უზნაძის მცირე მოცულობის წერილში – „ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი“ (1911 წ.) და ვრცელ სტატიაში – „ომის ფილოსოფია“ (1914 წ.) განხილულია სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართება, სიკეთე და ბოროტება, ომის პრობლემები, კულტურის საკითხები და სხვა. ჩვენი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე შევეცებით კულტურის საკითხებს.

უზნაძე უპირველესად ყურადღებას ამახვილებს დიდ პიროვნებებზე, რომელთა მოღვაწეობა ამაღლებულია პირად ბედნიერებაზე. სწორედ ამით არიან გამორჩეულნი – ბუდა, ქრისტე და მუჰამედი, თემისტოკლე და ფიდიასი, პლატონი და არისტოტელე, ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონ ბონაპარტი.

კაცობრიობას სწორედ ისეთი მოღვაწენი აინტერესებს, რომელთა ცხოვრება პირად ბედნიერებას კი არ მისდევდა, არამედ ობიექტური შინაარსის შემოქმედებას ემსახურებოდა.

რაც შეეხება კულტურას, უზნადის აღნიშვნით, ადამიანებს დაბადებისთანავე თან დაჰყვებათ რაღაც დიდი შენობის აგების სურვილი. ვინც ამ შენობის აგებას ემსახურება, მათი სახელები პატივსა და თაყვანისცემას იმსახურებენ, ხოლო ისინი, ვინც მსგავს მოვლენას არად დაგიდევენ, მათი სახელები მალევე ქრებიან ჩვენ მეხსიერებიდან. ეს შენობა კი კულტურული შემოქმედების სახელით არის ცნობილი.

უზნადე იმასაც აღნიშნავს, რომ კულტურის ფენომენის მიმართ მოაზროვნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ასე მაგალითად, კულტურის მიმართ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი რუსო და ტოლსტოი (ნიცშეც – მ.მ.). აღნიშნულის გაგრძელებაა უზნადის მიერ იმ თვალსაზრისების კრიტიკა, რომელთა თანახმადაც, კულტურაში განვითარებას ადგილი არა აქვს. ერთი შეხედვით ეს მართლაც ასეა. განა ელინთა და რომაელთა კულტურის ნანგრევებზე მოსულ ბარბაროსთა მარტივი ცხოვრება შეიძლება კულტურის განვითარებად ჩაითვალოს? და აქ ავტორი საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს, კერძოდ: შეცდომა იქნებოდა, რომ რაზეც იყო საუბარი, ყველაფერი ეს ერთიან კულტურად მივიჩნიოთ. მისივე შენიშვნით, ისე, როგორც არ არსებობს ერთი კაცობრიობა, ისე არარსებობს ერთი კულტურა. არსებობს იმდენი კულტურა, რამდენი ერიცაა.

უზნადის აზრით, როცა კულტურის განვითარებაზე (ან უკან დახევაზე) ვმსჯელობთ, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ერთი რომელიმე განსაზღვრული ერის კულტურა. თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ექნება უკან დახევას თუ უკუქცევას, მაშინ შეიძლება ეჭვის შეტანა კულტურის გან-



დ. უზნადე

ვითარებაში. უზნაძე სამაგალითოდ განიხილავს ბერძენებისა და ბიზანტიელების კულტურას. ბერძენმა ტომებმა შექმნეს დიდებული ფილოსოფია და ხელოვნება, რომელთანაც სიახლოვესაც ვერ მივა იგივე ბერძენი ტომების მიერ შექმნილი ბიზანტიური ფილოსოფია და ხელოვნება.

უზნაძის შენიშვნით, აქ ბერძნული კულტურის უკუქცევასთან გვაქვს საქმე. თუმცა, უზნაძე აქ არ ჩერდება და ერთ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რის შემდეგაც ყველაფერი თავის ადგილზე დგება. თუკი ბერძნულ ფილოსოფიასა და ხელოვნებაში საეროვნო (საერო) მოტივები და პრობლემები იყო ასახსნელი, ბიზანტიურში ამისგან განსხვავებული – რელიგიური და ქრისტიანული. ასე რომ, ბერძნულ და ბიზანტიურ კულტურებს შორის შინაარსობრივი განსხვავება იყო.

თუმცა, უზნაძის აზრით, ბერძნულ და ბიზანტიურ კულტურებს შორის რაღაც კავშირი მაინც არსებობდა. კერძოდ, ბიზანტიური კულტურის რელიგიური მოტივები უკვე ბერძნულ კულტურაში იყო ჩანასახობრივ მდგომარეობაში. სწორედ ამ მიმართებით ჰქონდა ადგილი კულტურის განვითარებას, მაგრამ არა საერო თვალსაზრისით: „ამ ჩანასახთან შედარებით კი ბიზანტიამ დიდი ნაბიჯი გადადგა განვითარების გზაზე, ხოლო საეროვნო მოტივები და პრობლემები ბიზანტიურ კულტურას აღარ აინტერესებდა და, ამ მხრივ, მისი კულტურული ცხოვრება თითქოს უკან დახევის ხასიათს ატარებდა“.

ბოლოს, უზნაძის აზრით, კულტურული განვითარების პროცესი ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ერთი და იმავე პრობლემის გაღრმავება და სრულყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი პრობლემების ნამოჭრა და კულტურული სივრცეების დაპყრობა. ორივე ეს მიმართულება, ავტორის შენიშვნით, ერთნაირი ღირებულებისაა, „ამიტომ განვითარების თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანია და მეორეც, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ინტენსიური ხასიათისაა, მეორე კი ექსტენსიური, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ვამტკიცებ, თითქოს ეროვნულ კულტურას საერთოდ არ ახასიათებდეს სრული შეჩერება და ზოგჯერ უკან დახევა“.

ამასთან, უზნაძის აზრით, ცალკეული პიროვნება არ შეიძლება იყოს კულტურული შემოქმედების სუბიექტი, „რომ კულტურული შემოქმედება მხოლოდ რთულ ერთეულთა ანუ ეროვნებათა ფარგლებში შეიძლება წარმოებდეს“.

უზნადის კიდევ ერთი მოსაზრება იმსახურებს ყურადღებას, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მის შემოქმედებასა და ქართველ ფილოსოფოს 60-იანელთა მსოფლმხედველობას შორის არსებული კავშირის უხილავ ძაფებს. უზნადე აღნიშნავს იმ სხვადასხვაობაზე, რაც ცალკეულ ეროვნებათა სულზეა აღბეჭდილი – „ამიტომ ცოცხალი ერისთვის მეორე ერში მისი გათქვეფა ან ასიმილაცია სიკვდილსა და სრულ ასიმილაციას უდრის“. არ ვიტყვით, რომ ამის უშუალო გამოძახილია 67 წლის შემდეგ გამოთქმული ზურაბ კაკაბაძის თვალსაზრისი, მაგრამ მათ შორის სიახლოვე ეჭვგარეშეა. კაკაბაძე თავის უკანასკნელ წერილში – „ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ“ – აღნიშნავს, რომ ეროვნულ კულტურებს შორის თავისებურებათა და სხვადასხვაობის ნაშლა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა კაცობრიობისთვის.

მიგვაჩნია, რომ მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში უზნადის ფილოსოფიურ შეხედულებათა ადგილის განსაზღვრისას უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს აქ განხილულ საკითხებს. ამ საკითხებთან ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დაკავშირებულია ქართველ ფილოსოფოს 60-იანელთა ის ძირითადი თვალსაზრისები, რითაც ფაქტობრივად დაიწყო ფილოსოფიის მოშინაურება – „გადმოქართულება“ (ანტონ პირველი) საქართველოში.

მიხეილ მახარაძე,
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
 უნივერსიტეტის პროფესორი,
 ფილოსოფიის დოქტორი*


❧ 10 ❧

დიმიტრი უზნაძე – მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი

მსოფლიო ისტორიის პირველი სახელმძღვანელო ქართულად სწორედ დიმიტრი უზნაძემ შექმნა. ნიშანდობლივი იმაზე ხაზგასმაა, თუ როგორ ზრუნავდა დიდი მეცნიერი საქართველოს სკოლებში ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლებისთვის და რა როლს აკუთვნებდა იგი, ზოგადად, სკოლას ქართული საზოგადოების განვითარებაში.

„სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი... დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოანართობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“, – წერდა პროგრესულად მოაზროვნე დიმიტრი უზნაძე 1917 წელს.

როგორც ცნობილია, დიმიტრი უზნაძე 1909-1918 წლებში უაღრესად ნაყოფიერ პედაგოგიურ-საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისში. დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ხოლო ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ეპარქიულ სასწავლებელში. 1915 წელს, პირველად საქართველოში, მისი ინიციატივით დაარსდა ქალთა ქართული სკოლა – „სინათლე“, რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა. ამ პერიოდში მან მრავალი წერილი გამოაქვეყნა ესთეტიკის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებზე. 1916 წელს კი მან ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ხელმეორედ 1917 წელს დაიბეჭდა.



სახელმძღვანელოს შექმნის ისტორიის შესახებ ავტორის წინასიტყვაობა გვამცნობს, სადაც დიმიტრი უზნაძე წერს:

„ჩვენი შკოლის ცხოვრებაში 1914 წლის 1 ივნისის კანონმა ძირითადი ცვლილება გამოიწვია. თუ დღემდე სამშობლო ენაზე სწავლების წარმოება მარტო ჩვენი სურვილების ფარგლებში იყო მოქცეული, დღეს იგი რეალური ცხოვრების ფაქტად გადაიქცა და ჩვენს მომავალ ეროვნულ აღზრდის სისტემას ქვაკუთხედად დაედვა. ახალ ფაქტს სავსებით მომზადებულები ვერ

შევხვდით, მაგრამ ეს მოუმზადებლობა არ არის ძირითადი ხასიათისა. ჩემი აზროვნება და ჩვენი ენა – ორივე მნიშვნელოვან იმისთვის, რომ ეროვნული აღზრდის სისტემის სიმძიმე ადვილად აიტანოს. მაგრამ თვით ქართველ პედაგოგებს იშვიათად უცდიათ – ეს მომნიშვნელოვანი იარაღები ხელში მოემარჯვებინათ და ეროვნული შკოლის შენობის აგებაზე მუშაობა დაეწყოთ. იარაღები მზად იყო, იგინი მუშას უცდიდნენ, ხოლო თვით მუშა ძილს მისცემოდა, და ეს იმიტომ, რომ ის ფიქრობდა: – რა საჭიროა ეროვნული აღზრდის იარაღების ხმარება, როდესაც მათი საშვალეებით აგებული შენობა დასრულების უმაღლეს უნდა დაირღვესო!

დღეს ეს შიში აღარა გვაქვს, და ჩვენი ვალია, უქმად მიტოვებულ იარაღებს ხელი მოკვიდოთ და, რაც დრო დაგვიკარგავს, ის დაუღალავი შრომით მაინც გამოვისყიდოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენი დაუღალავი შრომა ვერ იქნება დამშვიდებული. ეს ფსიქოლოგიურად შეუძლებელია. იგი არსებითად აჩქარებული იქნება. და თუ ჩვენს ნაშრომებში ხშირი იქნება ადვილად შესამჩნევი ნაკლი დაუხელოვანებელი მუშაკისა, ეს ჩვენი კულტურის კი არა, თვით მუშაკის ბრალი იქნება, რომელიც ეროვნული სიმდიდრის ხმარებაში ჯერ კიდევ ვერ დახელოვნებულია.

კერძოდ, არც ჩემი ნაშრომია დადინჯებულისა და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით შეიძლება ნაადრევი და უდროოდ მომნიფებული აღმოჩნდეს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ შრომის პირველ გამოცემას, რომელიც ძალიან მცირერიცოვანი იბეჭდება, მეორე მოყვება და ამ დროსთვის კი პრაკტიკისა და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით ჩემი ნაშრომი უკვე მომნიფებულსა და დასრულებულ ნაწარმოების სახეს მიიღებს.

თვით გამოცემას, უეჭველია, მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ დღევანდელ პირობებში, და ისიც ჩვენთვის, უკეთესი გამოცემის დამზადება შეუძლებელი იყო.

დასასრულ, სიამოვნებით ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მაღლობით მოვიხსენიო ჩვენი სახელმძღვანელოს გამომცემელი, რომელმაც ასეთს გაჭირვებულ დროს არც შრომა დაიშურა და არც საშვალება და ამ ნაშრომის გამოქვეყნების შეძლება მოგვცა. ქუთაისი, 10 სკტ. 1916 წ“.

როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს გამოცემას პოზიტიურად შეხვდა ქუთაისის საზოგადოება და თავად მოსწავლეებიც. ამის დასტურად შეიძლება ის ფაქტი მივიჩნიოთ, რომ წიგნი მომდევნო წელსაც მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით გამოიცა. მეორე გამოცემის წინასიტყვაობიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია საქართველოში.

„ჩვენი სახელმძღვანელოს გამოცემის დღიდან ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ ახალი გამოცემის დამზადება გახდა საჭირო. ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო იშვიათია ის ხანა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით. ამ ერთი წლის განმავლობაში მთელი რუსეთის ცხოვრება, ძირითადად, გამოიცვალა; გამოიცვალა ჩვენი ცხოვრების პირობებიც – რასაც ამდენი ხანი ვესწრაფოდით, სინამდვილედ იქცა: ჩვენი შკოლა სრული გაეროვნულების გზას დაადგა და ოფიციალურ სწავლების ენად სასწავლებლებშიც კი ქართული ენა შეიქმნა. რა თქმა უნდა, ამ პირობებში მოთხოვნილებაც დიდი იქნებოდა ისეთ სახელმძღვანელოზე, როგორც ჩვენი წიგნია, ამ მოთხოვნილების მიხედვით მისი ღირსებაც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ ჩვენი ძალა და დრო სულ სხვა მხრით მიმართა. მან წაგვართვა საშვალება საკაბინეტო დამშვიდებული მუშაობისა, და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა: შეიცვა-

ლა მხოლოდ რედაქცია, შეიცვალა მასალის აგებულების წესრიგი და ზოგან მოთხრობის ხასიათიც; დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით. თუ საჭირო შეიქნა, მესამე გამოცემისთვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრით წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვანვდით საზოგადოებას, რისი დამზადებაც მოვასწარი“.

სახელმძღვანელოს პირველ თავში დიმიტრი უზნაძე სკოლის მოსწავლეებისათვის გასაგები ენით განმარტავს – რა არის ისტორია და რა მნიშვნელობა აქვს მის ცოდნას. საგულისხმოა, რომ ავტორი თავს არიდებს მეცნიერულ მსჯელობას, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სახელმძღვანელო უფრო მეტად დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი.

„როგორც კერძო ადამიანი, ისეა მთელი სოფელი ან ქალაქიც. ავიღოთ თუნდ ქუთაისი. დღეს იქ რამდენიმე ათასი მკვიდრი ცხოვრობს, რამდენიმე ფართო მოკირწყლული ქუჩაა, რომლებიც ღამ-ღამობით ელექტრონით არის განათებული და რომელზედაც მოგზაურობა ეტლებითაც ხდება. დღეს აქ რამოდენიმე სასწავლებელია, ტელეფონია და სხვა მრავალი დაწესებულება. ერთი სიტყვით, ქუთაისსაც მრავალ ცვლილებათა გზა გაუვლია და დღევანდელი სახე მხოლოდ ხანგრძლივი თავგადასავლის შემდეგ მიუღია. ასეთია ცალკე ხალხის ცხოვრებაც.“

ჩვენ მარტო აწმყო კი არ გვანტერესებს, ჩვენი წარსულის გაგებასაც ვესწრაფვით. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ბერძნებმა წარსულის გაგებასა და შემეცნებას ისტორია უწოდეს. იმ დროიდან ეს სიტყვა არ მოსპობილა და, დღესაც, ისტორიას წარსულის შემეცნებას უწოდებენ. ისტორია ისეთ პირთა და მოვლენათა შესწავლას ცილობს, რომელთა გავლენაც მთელი ხალხის ცხოვრებას ეხება. ასევეა კაცობრიობის ისტორიაც“, – წერს დიმიტრი უზნაძე.

მომდევნო თავებში პედაგოგი განმარტავს – რა არის კულტურა, ისტორიის წყაროები და ა.შ. სახელმძღვანელოს მომდევნო თავში აღწერილია პრეისტორიული ხანა, სადაც იგი აღნიშნავს, თუ რა არის ნივთიერი კულტურა; საუბრობს, ასევე, ქვის ხანაზე, თუ როგორ ისწავლა ადამიანმა ცეცხლის დანთება, როგორ ააშენა საცხოვრებელი, როგორ დაიწყო მეურნეობა და მოიშინაურა ცხოველები და ა.შ. სახელმძღვანელოში საუბარია მატერიალურ და პატრიარქალურ წეს-წყობილებაზე, ვაჭრობის,

კულტურის განვითარებაზე, სარწმუნოებაზე და სახელმწიფოს წარმოშობაზე. სახელმძღვანელოს მომდევნო თავი ეგვიპტის ისტორიას აქვს დათმობილი, რომელსაც მოსდევს ასურეთისა და ბაბილონის, ხეთების, ფინიკიელების, არიელებისა და ძველი სპარსეთის ისტორია.

ეს პატარა უნიკალური ნაშრომი, რომლის ფურცლებსაც სიძველე „მოკიდებია“, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, თუ როგორი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა ეს დიდი მეცნიერი, რომელსაც სურდა ქართულ სკოლაში მოსწავლეები მშობლიურ ენაზე გასცნობოდნენ მსოფლიოს ისტორიას.


შურთხია ბაროშვილი
*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
 უნივერსიტეტის“ ყურნალისტი*

უზნაქე და საბჭოთა იდეოლოგია

დ. უზნაქის განწყობის ფსიქოლოგია საბჭოთა ეპოქაში იქმნებოდა. ეს უკანასკნელი კულტურის მთელი სფეროს, მათ შორის, მეცნიერების უმკაცრესი იდეოლოგიური კონტროლით ხასიათდება. საბჭოთა მეცნიერება, ფაქტობრივად, რეპრესირებული მეცნიერებაა. ეს ეხება არა მხოლოდ რეპრესირებულ ავტორებს, მეცნიერებს, არამედ იდეებს, მიმართულებებს, სამეცნიერო ცენტრებს, წიგნებს... ზოგი დისციპლინა იკრძალებოდა (გენეტიკა, ფსიქოტექნიკა, ეთოლოგია, პედოლოგია, კიბერნეტიკა), ზოგი – მახინჯდებოდა (მაგალითად ისტორია, ეკონომიკა და სხვა), ზოგის დეფორმაცია ხდებოდა – ფიზიოლოგია მხოლოდ პავლოვური უნდა ყოფილიყო, ფსიქოლოგია – მარქსისტული და ა.შ.. „არააკრძალულ“ მეცნიერებებში სასტიკად ისჯებოდა იმ თეორიებისადმი მიმხრობა ან თუნდაც ლოიალურობა, რომლებიც იდეალიზმში იყვნენ დადანაშაულებულები (მაგალითად ფსიქოანალიზი, პერსონოლოგია და ა.შ.). ყველაზე მძაფრი სახით, მეცნიერებაში იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჩარევა გულისხმობდა მასში შენიღბული მტრების ძიებას, რომლებიც ბურჟუაზიის სასარგებლოდ ებრძვიან სოციალიზმს; შესაბამისად იქმნებოდა შიშის ატმოსფერო მეცნიერთა ქცევის მანიპულირებისთვის; ამრიგად, ახალმა ეპოქამ უმკაცრესი იდეოლოგიური შეზღუდვები მოიტანა. „დიამატ-ისტმატი“ სახელმწიფო ფილოსოფიად, რელიგიის კულტში აყვანილ დოგმატურ მოძღვრებად იქცა. მისი მიღება-არმიღება ლამის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი გახდა.

მეცნიერების და კერძოდ ფსიქოლოგიის იდეოლოგიური წმენდის პირველი ტალღა 20-30-ანი წლების მიჯნაზე აგორდა, როცა სტალინმა ისროლა თეზისი კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების თაობაზე, მათ შორის, მეცნიერებაში კონტრევოლუციონერებისა და მავნებლების მხილებისკენ. უაღრესად გამწვავდა კონტროლი ფილოსოფიაზე, რომელიც არსებითად იდეოლოგიის დასაყრდენია. ფსიქოლოგიაში ყოველივე ამის შედეგი იყო ზოგიერთი თეორიული/კვლევითი და გამოყენებითი/პრაქტიკული მიმართულების აკრძალვა/განადგურება. ამ

უკანასკნელში, პირველ რიგში, იგულისხმება პედოლოგია და ფსიქოტექნიკა, რაც 1936 წლის ავადსახსენებელი პარტიის „პედოლოგიურ“ დადგენილებას მოჰყვა. განადგურდა, აგრეთვე, ე.წ. „საბჭოთა ფსიქოანალიზიც“. რეპრესია სხვადასხვა ფორმით (სამსახურიდან დათხოვნა, გადასახლება, დახვრეტა) შეეხო ბევრ გამოჩენილ ფსიქოლოგს (ბლონსკი, გელერტშტეინი, ვიგოტსკი, რუბინშტეინი, შპილრეინი, შპეტი და სხვა).



ტოტალიტარიზმი

უზნაძე, ცხადია, ყველაფრის კურსში იყო. ამან უშუალო ასახვა ჰპოვა მის შემოქმედებით და საორგანიზაციო საქმიანობაზე, რომელიც სულაც არ შემოიფარგლებოდა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური სისტემის შექმნით. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უზნაძე იყო თვალსაჩინო ფილოსოფოსი და სამართლიანად მიიჩნევა ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

უზნაძის მეცნიერული და, მეტადრე, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციის ზუსტი დახასიათება-კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად გართულებულია იმის გამო, რომ იგი ორ ისტორიულ ეპოქაში ცხოვრობდა და მუშაობდა. საბჭოთა წყობილების დამყარებამდე იგი აზროვნებდა თავისუფლად და წერდა ისე, როგორც ფიქრობდა. მარქსიზმ-ლენინიზმის პირობებში ეს ასე ვერ გაგრძელდებოდა. 20-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ეპოქა იცვლებოდა და უზნაძე ახალი ფსიქოლოგიური მოძღვრების შექმნას იწყებდა, იგი უკვე ცნობილი და სახელმძღვანელო მეცნიერი გახლდათ თავისი შრომებით ფილოლოგიაში, ისტორიაში, პედაგოგიაში და, რაც მთავარია, ფილოსოფიაში. ასეთი მასშტაბის მოაზროვნეს არ შეიძლება ჰქონოდა გარკვეული პოზიცია ძირეულ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ და ეპისტემოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. უზნაძეს აქვს სოლიდური შრომები ფილოსოფიის ისტორიაში (სოლო-

ვიოვი, ლაიბნიცი, ბერგსონი); ამუშავებდა კერძო ფილოსოფიურ პრობლემატიკასაც, რომლის თემატიკამ (ადამიანი, მისი დანიშნულება, ცხოვრების რაობა და საზრისი, სიკვდილი, ომი, ინდივიდუალობა, აღზრდა, შემოქმედება და სხვა) საფუძველი მისცა ერთ-ერთ მკვლევარს ასეთი შეფასებისთვის: „არსებითად ის სიცოცხლის ფილოსოფიის ტრადიციების გაგრძელებაა და ეგზისტენციალური ცნობიერების პირველი წარმომადგენელი ქართულ აზროვნებაში“ (ე. კოდუა). ეს შეფასება, ალბათ, მართებულია გასული საუკუნის 10-იან წლებში შესრულებული მისი ფილოსოფიური წერილების შინაარსის მიმართ, მაგრამ, როგორც ექსპერიმენტატორი მკვლევარი – უზნაძე, არასდროს იდგა ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური მიმართულების მეთოდოლოგიურ პოზიციებზე.

უზნაძეს საკმაოდ მკაფიო პოზიცია ეკავა ფილოსოფიის ორ ძირითად სფეროში – ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიაში. ამ უკანასკნელში იგი კანტის მიმდევარია, რომელიც, მისი თქმით, „არასოდეს არ მოკვდება“. ამაში დასარწმუნებლად მისი რამდენიმე გამონათქვამიც კმარა, რომელიც შემეცნების შესაძლებლობებსა და თავისებურებებს ეხება: „როდესაც საქმე ფიზიკურ სინამდვილეს ეხება, აქ, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ ჩვენ სინამდვილის ნამდვილთან კი არა, სწორედ გონების კატეგორიების მიერ შეცვლილ სახესთან გვაქვს საქმე“... „ემპირიული სინამდვილე უკვე თავისთავად უნდა ჩაითვალოს „ხელოვნურად“ გადამუშავებულ სინამდვილედ, რამდენადაც იგი ჩვენი ჭვრეტისა და აზროვნების კატეგორიულ ფორმებშია გარდატეხილი“.

რაც შეეხება ონტოლოგიის სფეროს, აქ უზნაძის ინტერესი ფოკუსირებულია მატერიალურისა (ფიზიოლოგიურის) და სულიერის (ფსიქიკურის) ურთიერთმიმართების, ანუ ფსიქოფიზიკურ პრობლემაზე. ეს პრობლემა საკვანძოა, რამდენადაც ფსიქოლოგიური მოვლენების ახსნის ამოცანა მის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას მოითხოვს. ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრის ტრადიციული ვარიანტები მიზანს ვერ აღწევს, ამიტომ, პრინციპულად ახალ გზას უნდა დავადგეთ. ეს გზა ისეთი რეალობის პოსტულირებაში მდგომარეობს, რომელიც გააშუალებს და დააკავშირებს ფიზიკურსა და ფსიქიკურს, ობიექტურსა და სუბიექტურს. უზნაძის რწმენით, ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებენ, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულად. შემაერთებელ ხიდად, მედიატორად ამ რეალობებს შორის გვევლინება ე.წ.

„ქვეფსიქიკური არე“ ან „ბიოსფერო“, რომელსაც მოგვიანებით „განწყობა“ ეწოდა. იგი უზრუნველყოფს როგორც ფიზიოლოგიურის გავლენას ფსიქიკურზე, ისე ფსიქიკურისა ფიზიოლოგიურზე და, ამდენად, ბიოსფერო „სიცოცხლის პრინციპია“ – სამყაროს გამაერთიანებელი პრინციპი.

ბიოსფეროში „სუბიექტური (მე, ჩემი მდგომარეობა) და ობიექტური (გარე აგენტი) ურთიერთს ხვდება და ურთიერთში ილესება, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის განსხვავებული ასპექტები ისპობა, გამოუსადეგარი ხდება და რალაც თავისებური გაუნანევრებელი მთლიანობის სახით გვევლინება“. ბიოსფერო ობიექტურისა და სუბიექტურის დაპირისპირების თვალსაზრისით „ნეიტრალური მდგომარეობაა“, ე.ი. სრულიად თავისებური რეალობა, რომელსაც უზნაძე „ჯერ კიდევ უცნობ ქვეფსიქიკურ არედ“ ან „სინამდვილის დღემდე მიუკვლევებელ სფეროდ“ მოიხსენიებს და რომლის მიკვლევის სრულიად გარკვეულ პრეტენზიასაც აცხადებს.

ეს პოზიცია არ არის არც მონიზმი, არც დუალიზმი. მისი ადეკვატური ფილოსოფიური კვალიფიკაცია იქნება – „ონტოლოგიური პლურალიზმი“. ამრიგად, უზნაძის შემოქმედების პირველ პერიოდში გამოთქმულ ფილოსოფიურ შეხედულებათა გაცნობა ცხადყოფს, რომ კონკრეტული საკითხების ფილოსოფიური კვლევის შინაარსისა და ინტერესების თვალსაზრისით იგი სიცოცხლის ფილოსოფიისა და ეგზისტენციალიზმის აზროვნების წესისკენ იხრებოდა; გნოსეოლოგიის სფეროში კანტიანურ თვალსაზრისს იზიარებდა, ხოლო ონტოლოგიის სფეროში ახალი რეალობის ჰიპოთეზის ავტორად გვევლინება და, ამდენად, ონტოლოგიური პლურალიზმის მომხრედ უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოდ კი უზნაძე ფილოსოფიაში „სინთეტური მიდგომის“ მომხრე იყო. ფილოსოფიის ისტორია, უზნაძის გაგებით, არის ასპარეზი ფილოსოფიურ სისტემათა ცალმხრივობის დაძლევისა და ჭეშმარიტებათა გამოვლენისა. ჭეშმარიტების მარცვლები ყველგანაა გაბნეული და საჭიროა მათი გამთლიანება, „ორგანული სინთეზი“. ფილოსოფიისადმი ასეთი დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა უზნაძის მიერ ვლ. სოლოვიოვის მსოფლმხედველობის შეფასებისას. მის სისტემაში ნაცადია გაერთიანება რადიკალურად განსხვავებული მიდგომებისა: თეიზმი და პანთეიზმი, მონიზმი და დუალიზმი, ოპტიმიზმი და პესიმიზმი,



საბჭოთა იდეოლოგია

ინტუიტივიზმი და რაციონალიზმი, იდეალიზმი და რეალიზმი. ამ ვითარების კონსტატაციას მოჰყვება სოლოვიოვისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის დამაგვირგვინებელი სიტყვები: „იგი კეთილშობილი მოაზროვნეა“. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვები თვით უზნაძესაც ზედმინევენით შეეფერება.


უზნაძის მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიური პოზიციის შეუთავსებლობა მებრძოლ მარქსიზმ-ლენინიზმთან უდავოა. როგორი იყო უზნაძის რეალური დამოკიდებულება ამ მოძღვრების მიმართ – ახლა ამ საკითხს ვერ ჩავუღრმავდებით. შემოვიფარგლოთ უზნაძის ბიოგრაფიის ერთი ნიშანდობლივი ფაქტის აღნიშვნით. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ უზნაძემ თავისი მუშაობა ფილოსოფიის სფეროში დაასრულა 1925 წელს ბერგსონის მონიზმის შესახებ წერილით. მას მერე მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სიკვდილამდე იგი ფილოსოფიურ პრობლემემატიკას მხოლოდ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის კონტექსტში და ისიც პოლიტკორექტულობის სრული დაცვით თუ ეხებოდა. რით უნდა ყოფილიყო ეს გამონევეული?

– იმით, რომ შემოქმედების ზენიტში მყოფმა მოქმედმა ფილოსოფოსმა ამონურა ამ სფეროში თავისი ინტერესები, თუ იმით, რომ მისი მოსაზრებები არ ემთხვეოდა ოფიციალურ პოზიციას, რომლის წინააღმდეგ გამოსვლა მომაკვდინებელი იქნებოდა?!

ზემოთ ვახსენეთ ე.წ. „პედოლოგიური დადგენილება“. მოსკოველი სპეციალისტების ბედ-იღბალზე იგი ძალზე მძიმედ აისახა. საფიქრებელია, რომ უზნაძემ და პედოლოგიურ და ფსიქოტექნიკურ საქმიანობაში ჩართულმა მისმა თანამშრომლებმა დიდი შიში განიცადეს, მაგრამ გადარჩნენ. ფსიქოლოგიაზე მიმართულმა რეპრესიის ამ ტალღამ იმჟამად არ გადმოლახა კავკასიონის ქედი. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ უზნაძის პედოლოგიური ნაშრომები („პედოლოგია“ 1933 წ.) არ იყო ნათარგმნი რუსულად და, ამდენად, შეუმჩნეველი დარჩა ცენტრალური ცენზურისთვის. ასე რომ, უზნაძის ნაწარმოებთა ნაკლებ მისაწვდომობა დანარჩენი საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობისთვის, რასაც მწარედ უხსენებდნენ ქართველ ფსიქოლოგებს რუსი კოლეგები 50-იანი წლების დისკუსიებზე განწყობის თეორიის გარშემო, გარკვეულწილად სასარგებლო აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ნეგატიური გავლენა 30-იანი წლების იდეოლოგიურმა ქარიშხალმა ქართულ ფსიქოლოგიაზეც მოახდინა. ჩვენშიც შეწყდა პედოლოგიური საქმიანობა სკოლებში, ადამიანთა პროფესიული ვარგისიანობის შემონახვა, მოკლედ, ყველაფერი, რაც ტესტების გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. ამ პრაქტიკული შედეგების გარდა უზნაძემ შეწყვიტა თავისი „პედოლოგიაში“ გადმოცემული იდეებისა და შეხედულებების განვითარება, რასაც იგი მკითხველს ამ წიგნის შესავალში პირდებოდა (მალე უნდა გამოსულიყო „პედოლოგიის“ II ტომი). ნათქვამი, პირველ ყოვლისა, ეხება მის „კონცინდენციის კონცეფციას“, რომელიც განვითარების შინაგანი (თანდაყოლილი) და გარეგანი (გარემოსეული) ფაქტორების თანაბარღირებულებისეულობას და ურთიერთდაკავშირებულობას ამტკიცებდა და, ამდენად, არ იყო ჰარმონიაში მარქსისტული ფსიქოლოგიის ყბადაღებულ სოციოგენეტიკურ სულისკვეთებასთან. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ფსიქიკის სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინაციის დოქტრინაზეა დაფუძნებული.

საერთოდ, გასაოცარია, როგორ გადარჩა უზნაძე უვნებელი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ესოდენ მცირე „ციტირების ინდექსით“. ამასთან, მას არასდროს დაუწერია „მარქსიზმი



და ახალი ფსიქოლოგიის“ ტიპის ნაშრომი, თუმცა ქვეყნის ყველა წამყვანი ფსიქოლოგი ვალდებული იყო – ეს გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც. როგორც გერმანული ფსიქოლოგიის „სკოლაგამოვლილს“, უზნაძეს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ბევრ წამყვან უცხოელ მეცნიერთან. არ იყო ადვილი მათთან ურთიერთობის განწყვეტა, მაგრამ იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, ბატონ დიმიტრის მოუწია ეთხოვნა კოლეგებისთვის – აღარ მოეწერათ მისთვის, რადგან, მიმონერის შემთხვევაში, შეიძლება დაეჭირათ კიდეც. ეს საფრთხე იმდენად რეალური იყო, რომ უზნაძის სახლში მზად ჰქონდათ პატარა ჩემოდანი ასეთი შემთხვევისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მას გაუმართლა. „შინსახკომში“ უზნაძის ყოფილი მოსწავლეებიც მსახურობდნენ. 1937 წელს ერთ-ერთმა მათგანმა წინასწარ გააფრთხილა თურმე, რომ მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული და დღე-დღეზე მიაკითხავდნენ დასაჭერად. უზნაძე უმალ გადაიხვეწა კახეთში, რამდენიმე თვე თბილისში არ გამოჩენილა. შემდეგ, ეტყობა, ამ ტალღამ გადაიარა...

ცნობილია ის ფაქტიც, რომ ბერიას უნდოდა (ესაა 40-იანი წლების ბოლო) უზნაძე შეეხვედრებინა სტალინთან. ამბობენ, რომ სტალინს სამუშაო მაგიდაზე ედო უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“ და, როგორც ჩანს, ფიქრობდა, ის გაეხადა ქვეყნის „საყოველთაო ფსიქოლოგიად“. „ბელადთან“ შეხვედრის მოლოდინში თურმე ერთი-ორი თვე მჯდარა მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში ბატონი დიმიტრი. რალაც მიზეზით ეს შეხვედრა ვერ შედგა. უზნაძე ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა შინ, რადგან ბო-



დ. უზნაძე

ლომდე არ იცოდა – რისთვის იყო დაბარებული კრემლში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ საშინელმა სტრესმაც მოუსწრაფა მას სიცოცხლე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უზნაძის ბიოსფერული კონცეფცია არც მონიზმი, არც დუალიზმი. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმი არის მონიზმი, თანაც მეზრძოლი მატერიალისტური მონიზმი, რომლისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია რაიმე „მესამე რეალობის“ დაშვება, რომელიც აშუალებს ფიზიკურსა (ფიზიოლოგიურს) და ფსიქიკურს. უზნაძის რწმენით, ყოველი ფსიქოლოგიური სისტემის საკვანძო პრობლემა

სწორედ ფსიქოფიზიკური პრობლემაა. განწყობის ფსიქოლოგია, რომელიც თავდაპირველად ბიოსფერული ფსიქოლოგია იყო, პირველ რიგში ამ მეთოდოლოგიური პრობლემის ორიგინალურ გადაჭრას გულისხმობს. მისი ორიგინალობა გამუალებების პრინციპის ცხადყოფასა და გამაშუალებელი რგოლის მონახვაში მდგომარეობს. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავის უკანასკნელ წიგნში (1949 წ.) უზნაძემ განწყობა ცალსახად ფსიქიკურ რეალობად გამოაცხადა. ამით თეორიის ცენტრალური ცნების შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალა. ფსიქიკური განწყობის თვალსაზრისი ამსხვრევს მთელს წინარე ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ კონსტრუქციას. თუ განწყობა ფსიქიკურია, იგი ველარ იქნება გამაშუალებელი რგოლი ფიზიკურსა და ფსიქიკურს ან ფსიქიკურსა და ფსიქიკურს შორის. რაკი განწყობის ცნება ექცევა ფსიქიკურის კატეგორიაში, იგი, ცხადია, აღარ გამოდგება ფსიქოფიზიკური პრობლემის გადასაჭრელად. თავის თავად აზრს კარგავს განწყობაზე, როგორც ახალ, „ჯერ მიუკვლეველ რეალობაზე“ ლაპარაკიც. დამაფიქრებელი ისაა, რომ უზნაძეს არც გამუალებების პრინციპზე უთქვამს უარი; ე.წ. უშუალობის პოს-



ტულატის დაძლევა კვლავაც რჩებოდა ძირეულ მეთოდოლოგიურ ამოცანად. აქედან გამომდინარე, თეორიული პოზიცია ნინალმდეგობრივი გახადა და შემდგომდროინდელ მკვლევარებს სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება, რითი უნდა ყოფილიყო გამონვეული პოზიციის ეს ტრანსფორმაცია. მათზე აქ ვერ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამას უთუოდ გარკვეული მეცნიერული საფუძველიც ჰქონდა, რაც, პირველყოვლისა, განწყობის ფენომენის ემპირიული კვლევის მონაცემებს უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ომის შემდეგ ქვეყანაში მეცნიერების იდეოლოგიური რევიზიის ახალი ტალღა დაიწყო და განწყობის ფსიქოლოგიის ლიდერს მოსთხოვეს წარმოედგინა განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელსაც უთუოდ ჩაუტარებოდა უმკაცრესი იდეოლოგიური ექსპერტიზა. ამიტომ, დიამატთან შეუთავსებელი „ონტოლოგიური პლურალიზმი“, რომელიც რეალურად ედო საფუძველად განწყობის თეორიას, არ უნდა გამოჩენილიყო. ამდენად, საფიქრებელია, რომ იდეოლოგიურმა წნეხმა აქაც იჩინა თავი.

ამრიგად, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის გავლენა უზნაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე უდავოა. ამ სისტემის იდეოლოგიის ზემოქმედების გამო დიდმა ქართველმა მოაზროვნემ: 1. განწყვიტა კავშირი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობასთან; 2. შეწყვიტა კვლევა ფილოსოფიაში; 3. შეწყვიტა მუშაობა პედოლოგიისა და ფსიქოტექნიკის სფეროში; 4. შეცვალა თავისი თვალსაზრისი მისი თეორიის ცენტრალური ცნების – განწყობის ონტოლოგიური ბუნების თაობაზე.

ირაკლი იმედაძე,
*თსუ-ის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა
 ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი*

უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლა

მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსით დაიწყო განვითარება, მისი ისტორია თავის საკვანძო მომენტებში შეიძლება დახასიათდეს მეცნიერული სკოლების კონკურენციისა და ცვალებადობის ისტორიად.

სამეცნიერო სკოლის ცნების შინაარსი ორი ტერმინის – „სამეცნიერო“ და „სკოლა“ – მნიშვნელობათა გადაკვეთიდან გამომდინარეობს. იგი აერთიანებს მეცნიერული მოღვაწეობის შემეცნებით, კვლევით და საგანმანათლებლო-პედაგოგიურ ასპექტებს. სამეცნიერო სკოლა არის მეცნიერთა ისეთი გაერთიანება, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ურთიერთობა და შემეცნება, მეცნიერული ძიება და კვლევითი ოსტატობის სწავლება, ახალი იდეების წარმოქმნა, განვითარება და მათი შენახვა-დაცვა. სამეცნიერო სკოლა სამეცნიერო მოღვაწეობის ორგანიზაციის ისეთი სპეციფიკური ფორმაა, რომელშიც გაერთიანებულია შემეცნებისა და ცოდნის გადაცემის პროცესები. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო სკოლებში, როგორც წესი, ერთ-ერთი მომენტია წინ წამოწეული – საგანმანათლებლო ან კვლევითი. შესაბამისად, გამოიყოფა საგანმანათლებლო სკოლა, რომელიც ამზადებს მომავალ მკვლევრებს გარკვეულ იდეურ-თეორიულ ან ექსპერიმენტულ ტრადიციაში ჩართვის გზით. იგი სამეცნიერო სკოლის პირველი ისტორიული ფორმაა (პითაგორას, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და ა.შ. სკოლები). შემდგომში ასეთი სკოლები, ძირითადად, უნივერსიტეტებთან ყალიბდებოდა გამოჩენილი მეცნიერის გარშემო, რომელიც მონაფეებს გადასცემდა თავის გამოცდილებას. ასეთ სკოლას კლასიკურსაც უწოდებენ.

სამეცნიერო სკოლის მეორე და ძირითადი ფორმაა სკოლა – კვლევითი კოლექტივი. ეს არის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ლიდერის (სკოლის მეთაურის) ხელმძღვანელობით ერთად ამუშავებს მის მიერ შემოთავაზებულ კვლევით პროგრამას. მართალია, ასეთი სკოლის მთავარი ფუნქცია კვლევითია, მაგრამ იგი, გარკვეულწილად, ითავსებს საგანმანათლებლო ფუნქციასაც, თანაც ამ ფუნქციას, ლიდერის გარდა, სკოლის უფროსი და გა-

მოცდილი ნევრებიც ახორციელებენ. კვლევითი სკოლის პროდუქტიულობის განმსაზღვრელია კვლევითი პროგრამის მეცნიერული ღირებულება. სკოლის შიგნით კვლევით კოლექტივში ყალიბდება ამ სკოლისთვის სპეციფიკური პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ნორმები, სტანდარტები. ეს ყოველივე დამოკიდებულია სკოლის ლიდერის ორგანიზაციულ და პიროვნულ უნარ-თვისებებზე.

ფსიქოლოგიაში კვლევითი სკოლის ტიპური მაგალითია ვუნდტის სკოლა. იგი ლაიფციგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა და ფსიქოლოგიის აგების ვუნდტისეულ პროგრამას ახორციელებდა. კვლევა-ძიებას ვუნდტის უშუალო ხელმძღვანელობით მისი მოწაფეები ეწეოდნენ. ბევრი მათგანი შემდგომში დამოუკიდებელი სკოლების ლიდერები გახდნენ. მათ შორის იყო დიმიტრი უზნაძეც.

სამშობლოში დაბრუნებული უზნაძე მხოლოდ უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იწყებს ფსიქოლოგიაში მუშაობას. იმ დროისთვის იგი საქართველოში ერთადერთი ფსიქოლოგია და თავის თავზე იღებს ქვეყანაში ფსიქოლოგიური მეცნიერების ორგანიზაციის საქმეს. უპირველესი ამოცანა კადრების მომზადებაა. აქ თავს იჩენს უზნაძის, როგორც პედაგოგის, გამორჩეული თვისებები. თავდაპირველად უზნაძის სკოლა წმინდა საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. მართალია, უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს უზნაძის მიერ დაარსებული ფსიქოლოგიური ლაბორატორია, მაგრამ იგი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის, ცდების დემონსტრაციისა და მომავალი ფსიქოლოგების ექსპერიმენტში დაოსტატების საქმეს ემსახურება. შემდგომში ლაბორატორია კვლევით ფუნქციასაც შეიძენს. დაარსებიდან ხუთიოდე წლის მერე უზნაძე აქ იწყებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა საკითხის ექსპერიმენტულ შესწავლას (მნიშვნელობის წვდომა, სახელდება, სასკოლო ინტერესები, ცნების ფორმირება და ა.შ.). აქ მისი მოწაფეები ცდისპირებისა და ლაბორანტების როლში გვევლინებიან.

პარალელურად იწყება ორიგინალური თეორიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. გამოიკვეთა თეორიის საკვანძო ცნება – განწყობა. გამოხატავს რა აზრის გარკვეულ მიმართულებას, ნამდვილი სამეცნიერო სკოლა ყოველთვის კონსოლიდირებულია ახალი შეხედულების, იდეის, კონცეფციის გარშემო. ამ კუთხით უზნაძის კვლევითი სკოლა, როგორც დამოუკიდე-

ბელი სამეცნიერო-ორგანიზაციული ერთეული, საბოლოოდ გაფორმდა 30-იანი წლების დასაწყისში. სწორედ მაშინ განწყობის თეორიამ ექსპერიმენტულ ნიადაგზე აშენებული სწავლების სახე მიიღო. ამ პროცესში ბატონი დიმიტრის პირველი თაობის მონაფეები აქტიურად მონაწილეობდნენ. ამ მოვლენათა თვითმხილველის და უზნაძის ყველაზე ავტორიტეტული ბიოგრაფის ნ. ბერულავას ცნობით, „ამოცანის და მეთოდის განსაზღვრა და ზოგადი ხელმძღვანელობა დ. უზნაძეს ეკუთვნოდა: განწყობის ყველა ექსპერიმენტს იგი თავისი ძირითადი იდეის მიხედვით აყალიბებდა და მოპოვებული ფაქტი განწყობის ცნების საერთო კონტექსტში შეჰყავდა; მაგრამ ჩატარებულ ექსპერიმენტზე განეულ შრომას იგი ცდის უშუალო მწარმოებელ თანამშრომელს აკუთვნებდა და ამ საკითხის ავტორობას მას აკისრებდა“.

თავდაპირველად სკოლის წევრების უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრასა და ლაბორატორიაში მუშაობდა. 1941 წელს დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სადაც უზნაძემ თავიდანვე გახსნა ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც ორ წელიწადში ფსიქოლოგიის ინსტიტუტად გადაკეთდა. ამიერიდან სკოლის კვლევითი ცენტრი ინსტიტუტი ხდება.

სახჭოთა იდეოლოგია დიმიტრი უზნაძის სკოლის წინააღმდეგ

უზნაძე სპეციალურად ზრუნავდა საკუთარი სამეცნიერო სკოლის შექმნაზე, რაც შემდგომი მოვლენების ფონზე ძალზე შორსმჭვრეტელურად გამოიყურება. საქმე ისაა, რომ უზნაძე გარდაიცვალა შემოქმედებითი აქტივობის ზენიტში. მისი განწყობის თეორია არ იყო დასრულებული, ის სწორედ მაშინ გავიდა განვითარების ახალ ეტაპზე. სკოლის სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში ფართო კვლევითი საქმიანობა იყო გაშლილი სხვადასხვა მიმართულებით. კვლევით მიმართულებებს უზნაძის გამოზრდილი, უკვე სახელმძღვანელო და ავტორიტეტული მეცნიერები ედგნენ სათავეში. ამიტომ განწყობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო პროგრამის დამუშავება უზნაძის წასვლის მერეც გაგრძელდა. დამაარსებლის და უალტერნატივო ლიდერის გარეშე დარჩენილი სკოლა არ დაშლილა. ინსტიტუტი და უნი-



აკადემიკოსი რევაზ ნათაძე



აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი

ვერსიტეტის კათედრა განაგრძობდა განწყობის ფსიქოლოგიის განვითარებას. სკოლის კონსოლიდაციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, უზნაძის გარდაცვალების შემდეგ, 1950-1960-იან წლებში დაიწყო ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაზე იდეოლოგიურად მოტივირებული შეტევა. უზნაძის ცხოვრების უმთავრესი საქმის – განწყობის თეორიის – დაცვა მრავალრიცხოვანი თავდასხმებისგან, ისევე როგორც ამ კონცეფციის ღირსებათა დემონსტრაცია ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობისთვის, უმეტეს წილად, ამ სკოლის წარმომადგენლებს მოუწიათ. საერთო საფრთხემ კიდევ უფრო შეადუღაბა ქართველი ფსიქოლოგები.

ყოველივე ეს დიმიტრი უზნაძის გარდაცვალების (1950 წ.) შემდეგ დაიწყო. აზრთა სხვადასხვაობა სკოლის შიგნით, ცხადია, მანამდეც არსებობდა, მაგრამ ამჟამად შევეჩერდებით არა სკოლის შიგნით არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, არამედ სკოლის გარედან მომდინარე კრიტიკულ შეფასებებზე. ისინი გამოითქმოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, სპეციალური თათბირებისა და დისკუსიების სახით. პირველი ასეთი დისკუსია მოეწყო თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით 1952 წლის 8-11 აპრილს სახელწოდებით „საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“.

იგი გამოძახილი იყო მეცნიერების იდეოლოგიური გაკონტროლების მორიგი კამპანიისა, რომელიც აგორდა 40-იანი წლების ბოლოს. იგი უშუალოდ შეეხო ფსიქოლოგიას და გამოიხატა მისი უფრო მეტად გამარქსისტების და პავლოვიანურ ფიზიოლოგიაზე დაყვანის მცდელობაში. უშუალო ბიძგი ამ დისკუსიას მისცა ერთი თვით ადრე „ლიტერატურულ გაზეთში“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრორესპონდენტის, ფიზიოლოგი დიმიტრი გედევანიშვილის წერილმა – „ერთი იდეალისტური კონცეფციის შესახებ ფსიქოლოგიაში“.




იოსებ (სოსო) ბჟალავა

წერილი მიმართული იყო დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. მას საგრძნობი რეზონანსი მოჰყვა მეცნიერულ წრეებში – განსაკუთრებული გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებში. წერილში გამოთქმული შეფასებები და ბრალდებები, ისედაც მწვავე იდეოლოგიურ ფონზე, აუცილებლად მოითხოვდა პასუხს. რეაგირების ყველაზე ოპტიმალურ და ეფექტურ ფორმად მიიჩნიეს საჯარო დისკუსია. იგი იშვიათი ოპერატიულობით მომზადდა. ერთ თვეში მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დაისტამბა დისკუსიის მოხსენებების თეზისები. ამ მცირე ზომის კრებულში წარმოდგენილია სულ 5 ავტორის (ალექსანდრე (ვასო) ფრანგიშვილის, რევაზ ნათაძის, ანგია ბოჭორიშვილის, დარეჯან რამიშვილის, იოსებ ბჟალავას) გაშლილი თეზისები. დისკუსიაში სულ 28 მეცნიერი გამოვიდა. ძირითადი მომხსენებლების გარდა გამოვიდნენ სკოლის თითქმის ყველა წამყვანი წარმომადგენელი: შალვა ჩხარტიშვილი, ვლადიმერ (მიტო) ნორაკიძე, ზოსიმე ხოჯავა, ბარნაბ ხაჭაპურიძე, ერეკლე აბაშიძე, აკაკი ავალიშვილი, ა. მოსიავა.

თვითმხილველთა გადმოცემით, სხდომებმა მთელი თბილისის ინტელიგენცია ააფორიაქა. ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე

ენ. „მასწავლებელთა სახლის“ დარბაზი მსმენელს ვერ იტყვდა. ატმოსფერო უკიდურესად დაძაბული იყო. ამაზე მოწმობს არა მხოლოდ თვითმხილველთა გადმოცემა, არამედ სტენოგრაფიული ჩანაწერებიც (რეპლიკები სავსე დარბაზიდან, თანაც იმდენად მწვავე ურთიერთბრალდებები და შეფასებები, რომ სხდომების წამყვანები იძულებულნი ხდებოდნენ შესვენებები გამოეცხადებინათ). ყველას ესმოდა, რომ სასწორზე იყო შემოდებული არა მხოლოდ სათაყვანებელი მეცნიერის – დიმიტრი უზნაძის სახელი და ღირსება,



ი. პავლოვი

არამედ, შესაძლოა, მთელი ფსიქოლოგიური სკოლის ბედი. დისკუსიაზე, არსებითად, ორი საკითხი განიხილებოდა: 1) ი. პავლოვის მოძღვრება და ფსიქოლოგია და 2) დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის იდეოლოგიური კორექტულობა. ვინაიდან მეორე საკითხი პირველთან კავშირში განიხილებოდა, ამიტომ გამომსვლელთა დიდი ნაწილი, არსებითად, ორივე საკითხს შეეხო. დისკუსიის ყველაზე მწვავე თემა იყო განწყობის თეორიის განხილვა ფსიქოლოგიის გარშემო მიმდინარე კამათის კონტექსტში. დაისვა კითხვა, უზნაძის სკოლაში მიმდინარე კვლევა-ძიება თუ რამდენად შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებას უყენებს. ასე დასვა საკითხი ძირითადად „მბრალმდებელმა“ გედევანიშვილმა. ასეთივე იყო დისკუსიის კიდევ ორი ფიგურანტის, ფილოსოფოსების ალექსანდრე ქუთელიასა და კონსტანტინე აკბარდიას მოხსენების მიზანდასახულობაც. კრიტიკული იყო, აგრეთვე, სიმონ ყიფშიძის გამოსვლებიც. გედევანიშვილის ყველა კრიტიკული მოსაზრება, საბოლოოდ, მთავარი ბრალდების – განწყობის ფსიქოლოგიის იდეალისტურობის დამტკიცებას ემსახურება. ძირითადი არგუმენტი შემდეგშია: უზნაძემ მოიპოვა საინტერესო ფაქტები, რომლებიც ალქმის ილუზიებს ეხება. მაგრამ ამ ფაქტების ამხსნელი

„უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფცია თავის საფუძველში არის იდეალისტური, ანტიპავლოვიური“.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პირველი თაობის შე-სანიშნავმა წარმომადგენლებმა დამაჯერებლად დაიცვეს გან-წყობის თეორიის მეცნიერული ღირსება აშკარად იდეოლოგი-ური ხასიათის მქონე კრიტიკისგან. ამ სახის კრიტიკა ყველაზე სახიფათოა, ვინაიდან თავისი არსით დოგმატურია და პოლიტი-ზებული. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სავალალო, ხშირად ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ბრალდე-ბებს იმდროინდელ საბჭოთა იმპერიაში. ამ დისკუსიას გამოეხ-მაურა ოფიციალური და თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომი-სია მოსკოვიდან, რომელსაც ცენტრში უნდა წარედგინა დასკვნა უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის მეცნიერული და პოლიტი-კური სახის შესახებ. სულ მალე ქართული ფსიქოლოგია რეა-ლური საფრთხის წინაშე დადგა. 1955 წლის ივლისში მოსკოვში ჩატარდა თათბირი განწყობის თეორიის გარშემო, რომელშიც მონაწილეობდა იმდროინდელი საბჭოთა ფსიქოლოგიის ყველა წამყვანი ფიგურა. მოხსენებებში, ერთი შეხედვით, მეცნიერული საკითხები განიხილებოდა, მაგრამ ბევრ გამოსვლაში, ღიად ან ქვეტექსტის სახით, ეჭვის ქვეშ დგებოდა უზნაძის თეორიის იდე-ოლოგიური კორექტულობა. ეს კიდეც უფრო ცხადად გამოვლინ-და იმ დისკუსიაში, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე. მოკ-ლედ შეიძლება იმის თქმა, რომ ინტელექტუალურ პლანში 1952 წლის დისკუსიამ შეასრულა ერთგვარი პოლიგონის ფუნქცია, სადაც გამოიცადა, დაზუსტდა და დაიხვეწა არგუმენტაცია სე-რიოზულ ოპონენტებთან საკამათოდ ბევრად უფრო რთულ სი-ტუაციაში და სოციალურ გარემოში. აღსანიშნავია, რომ თბი-ლისში აუდიტორიის უდიდესი ნაწილი ქართველ ფსიქოლოგებს თანაუგრძნობდა. ეს არ იყო მოსკოვის დისკუსიაზე (თათბირზე) 1955 წელს, სადაც აუდიტორია შეუდარებლად უფრო კრიტიკუ-ლი იყო და რომლის გადაწყვეტილებები, პირდაპირი მნიშვნე-ლობით, საბედისწერო შეიძლებოდა გამხდარიყო დ. უზნაძის სკოლისათვის. მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ ამ პაექრობამ ხელი შეუწყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონსოლიდაციას. ქართველი ფსიქოლოგები საკმაოდ მომზადებულები დახვდნენ ამ განსაცდელს და უზნაძის მოძღვრება და სკოლა გადარჩა...

რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, უზნაძის სკოლის შიგნი-



**დ. უზნაძე ფსიქოლოგიური სკოლის პირველი თაობის
წარმომადგენლებთან ერთად**

თაც იყო პირადი რთული ურთიერთობებიც, ამბიციების ჭიდილი და სხვა. ადამიანის ბუნებას რა შეცვლის... მაგრამ მთლიანობაში სუფევდა სკოლის ფუძემდებლის მიერ დამკვიდრებული კოლეგიალური, ინტელექტუალური, დემოკრატიული, შემოქმედებითი ატმოსფერო. იყო იმის განცდა, რომ კეთდება დიდი საერთო საქმე და რომ ქართველები ცოდნის ამ დარგში მეცნიერების პირველ რიგებში ვიმყოფებით. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ალექსანრე (ვასო) ფრანგიშვილის წვლილი, რომელიც სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს. საბოლოოდ, განწყობის თეორია და მის დამუშავებაზე ორიენტირებული სამეცნიერო სკოლა არა უბრალოდ გადარჩა, არამედ 1970-1980-იან წლებში მიაღწია ყველაზე მეტ აღიარებას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

ერთგული მიმდევარი მეცნიერი უზნაძის თეორიულ სისტემას ამჟამადაც ჰყავს

სკოლის დაშლა 1990-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. ამაში გადამწყვეტი როლი ექსტერნალურმა (გარეგანი) ფაქტორებმა ითამაშა – უმძიმესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა

პირობებმა. ყოფით პრობლემებში ჩაძირული მეცნიერები, პრაქტიკულად დაფინანსების გარეშე დარჩენილი ინსტიტუტი, ომები, შიშისა და უიმედობის ატმოსფერო ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის პირობებს ნამდვილად არ ქმნიდა. ფსიქოლოგთა უდიდესი უმრავლესობა პრაქტიკულ საქმიანობაზე გადაერთო, რომლის მიმართ მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა.

სამეცნიერო სკოლები იბადებიან, ვითარდებიან და კვდებიან, მაგრამ ისინი მეცნიერების, კერძოდ კი ფსიქოლოგიის ისტორიაში იმკვიდრებენ ადგილს, რადგანაც მეტ-ნაკლებ კვალს ტოვებენ მეცნიერების განვითარებაზე. მათ შემდეგ რჩება თეორია და მეცნიერული ტრადიცია. ასეა უზნაძის სკოლის შემთხვევაშიც. დარწმუნებით კი იმის თქმა შეიძლება, რომ განწყობის ფსიქოლოგიის, როგორც თეორიული სისტემის, განვითარების რესურსი სულაც არ არის ამონურული და რამდენიმე ერთგული მიმდევარი მეცნიერი მას ამჟამადაც ჰყავს.

ირაკლი იმედაძე,
*თსუ-ის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

დიმიტრი უზნაძე და ხელოვნება

დიმიტრი უზნაძე პოეზიის შესახებ

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედებისადმი ინტერესი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამფუძნებელსა და განწყობის ფსიქოლოგიის ავტორს ყოველთვის თან ახლდა და არასოდეს განელებია. იგი არა ერთ ნაშრომში გვევლინება, როგორც ხელოვნების მკვლევარი და ხელოვნების თეორეტიკოსი. განუზომელია დიმიტრი უზნაძის ღვანძლი ქართული ხელოვნების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ჯერ კიდევ 1909 წელს, ლაიფციგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 23 წლის დიმიტრი უზნაძე გაზეთში „დროება“ ბეჭდავს ესეს, სათაურით „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“. ახალგაზრდა მეცნიერი ფილოსოფიურ ესეში ბარათაშვილის გენიალურ „მერანს“ იმ მარადიული ფილოსოფიური პრობლემის საილუსტრაციოდ მიმართავს, როგორცაა დაპირისპირება-წინააღმდეგობა შემოქმედ გონებასა და ვნებებს („გრძნეულ გრძნობებს“) ან მარადიულსა და წარმავალს შორის.

ესეში „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“ დ. უზნაძე ესთეტიკისა და ხელოვნების ფსიქოლოგიისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზეც ჩერდება, როგორც ესთეტიკური ტკბობის ან მხატვრული აღქმის საკითხია. პლატონისეული განმარტების შესაბამისად, ავტორი ესთეტიკურ ტკბობას „გრძნეულ გრძნობათაგან“ ან ბიოლოგიურ ვნებათაგან (ხორციელისგან) განთავისუფლებას უკავშირებს („ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთა შვება არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება“. ლექსი „შემოღამება მთანმინდაზე“). უზნაძის გაგებით, მხატვრული აღქმა შემოქმედების აქტიურ პროცესებთან უნდა იქნეს დაკავშირებული, როგორც შემოქმედების თავისებური სახე და ფორმა.

დ. უზნაძის ყურადღების ფოკუსში ასევე მოექცა მხატვრული შემოქმედების მოტივირების პრობლემაც; უზნაძე შემოქმე-

დებით იმპულსს სიმბოლოსთან აკავშირებს – სიმბოლოს ორმაგი ბუნება, მასში კონკრეტულისა და ზოგადის გამთლიანება, სიმბოლოს შემოქმედების სტიმულატორად აქცევს; სიმბოლო, მისი წინააღმდეგობრივი ბუნებით, თავადვე უბიძგებს ხელოვანს შემოქმედებისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებით დიმიტრი უზნაძე კარლ იუნგის ხელოვნების ანალიზური თეორიის ერთერთ ამოსავალ დებულებას ეხმიანება.

მომდევნო წლებში დაწერილ ფილოსოფიურ თხზულებებში („განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდევილში“ (1911 წ.), „აბაშელის პოეზია“ (1913 წ.), „ომის ფილოსოფია“ (1914 წ.), „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“ (1922 წ.) – დ. უზნაძე ფილოსოფიურ პრობლემებთან ერთად ესთეტიკის საკითხებთან მიმართებითაც აყალიბებს საკუთარ შეხედულებას. ამ მხრივ ცალკე უნდა აღინიშნოს ესე „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, რომელშიც ავტორი ბარათაშვილის ფსიქოლოგიურ პორტრეტს აგებს. ეს ქართული ხელოვნების ფსიქოლოგიაში ხელოვანის ფსიქოლოგიური პორტრეტის აგების პირველი წარმატებული მცდელობაა. ბარათაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტის ქვაკუთხედად დ. უზნაძემ პოეტი-რომანტიკოსის ემოციონალური სფერო წარმოადგინა; მისი გრძნობები და ემოციები. ფსიქოლოგიური ძიების პროცესში ორიენტირებად გამოიყო ბარათაშვილის შემოქმედების ლაიტ-მოტივები ან სიმბოლო-ნიშნები, როგორცაა „ლურჯი ფერი“, „ხმა იდუმალი“, „სული ბოროტი“, „ბედი“, „კაცთა სიავე“ და „საწყაული აღუვსებელი“.

დიმიტრი უზნაძე ფანტაზია-წარმოსახვის შესახებ



ნაშრომში „ძილი და სიზმარი“ (1936 წ.) დ. უზნაძე პოლემიკაში შედის ფსიქოლოგიის ისეთ კორიფეებთან, როგორც არიან ზიგმუნდ ფროიდი, კარლ იუნგი, ალფრედ ადლერი და სხვ. და სიზმრის საკუთარ თეორიას აგებს. სწორედ

ამ ნაშრომში აღინიშნა პირველად არაცნობიერი განწყობის განმსაზღვრელი როლი შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირება-რეალიზების პროცესში; სუბიექტური განწყობა ქმნის თავის საგანს, სიზმრის ან წარმოსახული ხატებისა და წარმოდგენების შინაარსი და მიმართულება სწორედ სუბიექტური, არარეალიზებული ან განუხორციელებელი განწყობების ფუნქციაა და მათი ამსახველი.

ნაშრომში „ძილი და სიზმარი“ დ. უზნაძემ თავისუფალი ფანტაზიის მოქმედებას კათარზისის ფენომენი დაუკავშირა; ამ ფუნდამენტური ესთეტიკური კატეგორიის უზნაძისეული გაგებით, წარმოსახვით სფეროში განწყობების განხორციელება ადამიანისთვის კათარზისის, სასიამოვნო შვების ან დაკმაყოფილების მომტანია.

თამაშის განწყობა და ხელოვნება

თამაშის ფენომენი ყოველთვის წარმოდგენდა ხელოვნების თეორიის ერთერთ ცენტრალურ საკითხს და მას არც დ. უზნაძემ აუარა გვერდი. ადამიანის ქცევის ფორმების კლასიფიკაციაში („ადამიანის ქცევის ფორმები“, 1944 წ.) თამაშს, როგორც ქცევის ფორმას, დ. უზნაძემ განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა; ე.წ. ინროგენულ ქცევებს ან ფუნქციონალური ტენდენციით, ადამიანის შინაგანი იმპულსით აღძრულ ქცევებს, ზოგადად, თამაში უწოდა.

დ. უზნაძის გაგებით, თამაში ფსიქიკის თავისუფალი თვითგამოვლენის ფორმაა და, ქცევის სხვა ფორმებთან ერთად, მისი კერძო სახეებია მხატვრული შემოქმედება და ესთეტიკური ტკობა. „ნამდვილი თამაში“ ყოველთვის ილუზიის თამაშია; თამაში ფანტაზიასა და სიმბოლოებს უკავშირდება. ყველაზე მარტივი ფორმით ილუზიებით თამაში ბავშვის მოქმედებაში იჩენს თავს; მაგალითად „მანქანობანას“ თამაშის დროს სკამი ავტომობილია, ბურთი – საჭე, სათამაშო დათვი – მგზავრი... წარმოსახვასთან და სიმბოლოებთან აქტიური კავშირის გამო, თამაში თავისით, ბუნებრივად გადადის მხატვრულ მოქმედებაში.

დ. უზნაძე აღნიშნავს სპეციფიკური თანდაყოლილი განწყობის, ე.წ. თამაშის განწყობის არსებობასაც ადამიანში; ეს თანდაყოლილი და უნივერსალური განწყობა მხატვრული შემოქმედების სტიმულს იძლევა; ადამიანს მხატვრული აქტივობისა და ხელოვნებისადმი უბიძგებს.

**მხატვრული პროდუქტი –
ხელოვანის განწყობის
განსახიერების ფორმა**

განწყობის თეორიის ავტორის მიხედვით, ხელოვნება შემოქმედის პიროვნულ განწყობათა გამოხატვა-განხორციელებას ემსახურება. ხელოვნება, როგორც ადამიანის შინაგანის განსახიერების ფორმა, „ხელოვანის განწყობათა ადეკვატური განხორციელებისათვის ბრძოლაში მდგომარეობს“. ხელოვნება არ იძლევა სინამდვილის ფოტოგრაფიულ სურათს და ეს არც წარმოადგენს მის ამოცანას. ხელოვნება სინამდვილის ახალ ფორმებს ქმნის, როგორც ხელოვანის განწყობათა ობიექტივაციას.



დ. უზნაძემ ხაზი გაუსვა ხელოვნების პროდუქტის მნიშვნელობასაც; მხატვრული შემოქმედება სხვა ინტროგენული (შინაგანი იმპულსით აღძრული) ქცევებისგან იმითიც განსხვავდება, რომ მხატვრული პროდუქტი ობიექტურ, მისი შემოქმედისგან დამოუკიდებელ ღირებულებას იძენს.

წლების მანძილზე ყალიბდებოდა ხელოვნების უზნაძისეული, ორიგინალური კონცეფცია, რომელიც ავტორმა განწყობის თეორიაზე დააფუძნა და ქართულ ხელოვნების ფსიქოლოგიას დაუდო დასაბამი.

**რუსუდან მირცხულავა,
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი**

❧ 14 ❧

ლადო გუდიაშვილი დიმიტრი უზნაძეზე

პოლემიკიდან აღიარებამდე

ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელიც დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიურ ცდებში, როგორც მხატვარი, მონაწილეობას იღებდა, შემდეგ უკვე დიდი ფსიქოლოგის პორტრეტის ავტორიც გახდა. მხატვარმა უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, როგორც რაინდი, ისე გამოსახა... ეს იყო 1945 წელს. მაშინ უზნაძის მოღვაწეობა, მართლაც, რაინდობის ტოლფასი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფონია – მუქი ფარდები, ჩაბნელებული და მოღუშული გარემო, რომელშიც გუდიაშვილმა მეცნიერი გამოსახა. დიმიტრი უზნაძე ხომ მთელი ცხოვრება ამ სიბნელეს ებრძოდა...

ცნობილია ლადო გუდიაშვილის ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა დიმიტრი უზნაძის პორტრეტი.



ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული დიმიტრი უზნაძის პორტრეტი

„მართლაც გარკვეული დროა საჭირო, რომ მაყურებელმა ესა თუ ის ნაწარმოები მიიღოს, ან პირიქით, არ მიიღოს. რაც შეეხება დიმიტრი უზნაძის პორტრეტს, მე იგი წინასწარ გავაფრთხილე: – ეს ტრადიციული პორტრეტი არ იქნება. იქნება, ზუსტი მსგავსება ვერ იპოვოთ, მაგრამ ეს იქნება ჩემი თვალით დანახული თქვენი ზოგადი პორტრეტიმეთქი.

— ვიცი, ვიცი, ხელოვნების შეზღუდვა და მისი რომელიმე ერთ ფორმაში მოქცევა არ შეიძლებაო, – მითხრა.

სურათში შევიტანე ისეთი ელემენტები, რაც ტრადიციული იყო მისი ხასიათისა და ცხოვრებისათვის – ჩაცმულობა, წამოსასხამი, ხალათი... მთლიანობაში მხოლოდ სახე დარჩა რეალისტური. მაგრამ გარემო, ალბათ, არ უქმნიდა მას საერთო რეალისტურ ხასიათს, რის გამოც შეიქმნა სხვადასხვა აზრი. ზოგს მოსწონდა, ზოგს არა... უფრო არ მოსწონდათ, განსაკუთრებით, მის ნათესაებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე, პირადად, კმაყოფილი ვიყავი. ასეთი რამ არც ისე ხშირად მემართება. ბოლოს ეს პორტრეტი ყველამ აღიარა“, – ვკითხულობთ ლადო გუდიაშვილის ჩანაწერებიდან, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ფსიქოლოგისა და მხატვრის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მხატვარი თავის წერილში აღიარებს იმასაც, რომ დიმიტრი უზნაძისადმი სიყვარულმა შეაქმნევინა მისი პორტრეტი.

„დიდ პატივს ვცემდი დიმიტრი უზნაძეს. ძალიან მიყვარდა. ამიტომაც გადავწყვიტე მისი პორტრეტი შემექმნა. ფაქიზი გრძნობების, დიდად კეთილშობილი ადამიანი იყო. მან თვითონ მოისურვა ჩემი გაცნობა. ენადა, შეეცნო ჩემი ფსიქოლოგიური სამყარო და ამ განზრახვით დაიწყო ჩემი გრაფიკული ნამუშევრების შესწავლა. დამიძახეს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. ჩამიტარეს რამდენიმე ცდა. ცდა ასეთი იყო: ფარდის უკან დადგა ვილაც მამაკაცი. მითხრეს: – თქვენ მას არ იცნობთ, იგი წაიკითხავს ლექსს ან ნაწყვეტს მოთხრობიდან, ან მოყვება რაიმეს, თქვენ კი ხმის მოძრაობის მიხედვით დახატეთ მისი სახეო... დავხატე ერთი... მეორე... მესამე... წარმოიდგინეთ, საოცრად დაემთხვა ხაზებიც, მოძრაობაც, ხასიათიც... თვალების გამომეტყველებაც ზუსტი გამოვიდა... რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი პორტრეტი არ იყო. უფრო მიანიშნებდა ხასიათს“, – აღნიშნულია წერილში, რაც გვაძლევს იმ ფიქრის საფუძველს, რომ ლადო გუდიაშვილის მონაწილეობით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა მეცნიერსაც მისცა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება.

მანია ტორაძე

თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ უურნალისტი

დიმიტრი უზნაძის საფლავს გიორგი ორიაურის ხელით გაკეთებული ბიუსტი ამშვენებს

დიმიტრი უზნაძის ბიუსტი, ვაჟა-ფშაველას ძეგლი, „დაჩეხილი საქართველო“, „აჯანყებული გურული“, „შინ მოუსვლელთა მემორიალი“, „წყალქვეშა კოლხიდა“ – ეს გიორგი ორიაურის ქანდაკებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. მისი შემოქმედება ქვაში, ბრინჯაოში, მარმარილოსა თუ ხეში გამოსახული საქართველოს ისტორიაა, რომლის „გადაკითხვისას“ ისიც კარგად ჩანს, თუ რად დაუდგა ძეგლი ქართულმა საზოგადოებამ დიმიტრი უზნაძეს. გიორგი ორიაურმა, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტობისას, ჩამოასხა დიმიტრი უზნაძის პორტრეტი ბრინჯაოში, უფრო მოგვიანებით კი მეცნიერის ბიუსტი თსუ-ის პანთეონში განსათავსებლად შექმნა. მოქანდაკეს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ხსოვნისადმი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან მეცნიერის ნაშრომების კარგად ცოდნის გარდა, იგი პირადად იცნობდა დიმიტრი უზნაძის მოსწავლეებსაც, რომლებსგანაც დიდ მეცნიერზე ბევრი სმენია.

„სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა მისი პორტრეტი შემიკვეთა. ეს იყო, დაახლოებით, 1950 წელი. ჩემი ნამუშევარი ძალიან მოეწონათ. მაშინ ამ ინსტიტუტის დირექტორი ვასო ფრანგიშვილი გახლდათ და როდესაც მას შევხვდი, ამიხსნა, თუ რატომ დამევალა მე, ჯერ კიდევ სტუდენტს, ასეთი დიდი მეცნიერის პორტრეტის გაკეთება. როგორც გაირკვა, პროფესიონალი მოქანდაკისათვის ნამუშევარში გაცილებით მეტი უნდა გადაეხადათ, მე კი 400 მანეთი მომცეს და ეს გახლდათ ძირითადი მიზეზი. თუმცა ბატონმა ვასო ფრანგიშვილმა იქვე აღნიშნა, რომ ჩემი ნამუშევარი, მართლაც, საუკეთესო იყო. მაშინ ბატონ ვასოსთან საუბარი ხანგრძლივი გამოდგა, მელაპარაკებოდა ხელოვნებაზე და მითხრა ისეთი რამ, რაც შემდეგ ჩემი ცხოვრების დევიზად იქცა. ეს არის ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამი, რომ არ გადაუხვებით საკუთარ რწმენას

და ვიდგეთ რწმენის სადარაჯოზე. ამ დროისთვის მე ნიცშე უკვე წაკითხული მქონდა და გამიკვირდა, რომ გაქანებული კომუნიზმის დროს ბატონი ვასო ფრანგიშვილი ასე თამამად დამელაპარაკა ამ თემაზე. იგი გახლდათ დიმიტრი უზნაძის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე“, – ასე იხსენებს მოქანდაკე გიორგი ოჩიაური სტუდენტობის დროინდელი წარმატების პირველ ნაბიჯებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონისთვის დიმიტრი უზნაძის ბიუსტი მოქანდაკემ მოგვიანებით, დაახლოებით, 1960-1970-იან წლებში გააკეთა. შემდეგ მას მეცნიერებათა აკადემიამაც შეუკვეთა საფლავისთვის მედალიონის დამზადება. „მახსოვს, როდესაც ჩემი ნამუშევარი მეცნიერთა საბჭოს წევრებს: აკაკი შანიძეს, გიორგი ჩუბინაშვილს ვაჩვენე, ძალიან მოეწონათ, თუმცა დიდი ქართველი გეოლოგის – ალექსანდრე ჯანელიძის რეაქცია სხვაგვარი იყო. მან თქვა, რომ ამ მედალიონზე არსებულ გამოსახულებასა და დიმიტრი უზნაძეს შორის არავითარი საერთო არ გახლდათ“, – აღნიშნავს გიორგი ოჩიაური ჩვენთან საუბარში და დასძენს, რომ ამ კრიტიკას მისთვის ხელი არ შეუშლია, კვლავაც ენთუზიზმით გაეგრძელებინა თავისი საქმე.

რაღაღან ჩვენი ყურადღება გიორგი ოჩიაურის იმ ნამუშევართა შეფასებაზე შევაჩერეთ, რაც დიმიტრი უზნაძის სახელთანა დაკავშირებული, ამიტომ მხოლოდ ამ თემაზე საუბრით შემოვიფარგლეთ და მას მეცნიერისადმი დამოკიდებულებაზეც და განწყობაზეც ჩავეკითხეთ.

„დიმიტრი უზნაძის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჩამოყალიბდა. მე თავიდან



დ. უზნაძის ბიუსტი თსუ-ის პანთეონში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემი ლექტორები იყვნენ ერეკლე ტატიშვილი და არნოლდ ჩიქობავა. საკმაოდ განათლებული ახალგაზრდა გახლდით და ჩემთვის უზნაძის პიროვნება სამაგალითო იყო. ჩემი სტუდენტობის დროს არსებობდა მასწავლებელთა სახლი, სადაც მეცნიერები ხშირად იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობდნენ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აქტიურად ებრძოდა უზნაძის მიერ შემუშავებულ თეორიებს და ემხრობოდნენ პავლოვის სწავლებას. მახსოვს, ერთხელ ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ლექციები ფსიქოლოგიის შესახებ. დიმიტრი უზნაძის მოწაფეები მედგრად იდგნენ, აუდიტორიას განუმარტავდნენ, თუ რა იყო ფსიქოლოგია და რა ნვლილი შეიტანა მის განვითარებაში ამ დიდმა მეცნიერმა. სულ არაფერი რომ არ მცოდნოდა მის შესახებ, ამ ლექციების შემდეგ მაინც გავიგებდი, თუ რას წარმოადგენდა დიმიტრი უზნაძე. მის ბიუსტზე მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო, თუმცა ბრინჯაოში პორტრეტის გაკეთებისას ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და ეს ბოლომდე გათავისებული არ მქონდა“, – ამბობს გიორგი ოჩიაური, რომელიც ამაყობს იმით, რომ თსუ-ის პანთეონში დიმიტრი უზნაძის საფლავს მისი ხელით გაკეთებული ბიუსტი ამშვენებს.

ნატო ოპოლაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ ყურნალისტი*

რეპორტაჟი დიმიტრი უზნაძის სახლიდან

სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა ჯერაც იდეად რჩება

დიმიტრი უზნაძის ქუჩის №91-ში დღეს დიდი მეცნიერის შთამომავლები ცხოვრობენ. სახლი, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ფსიქოლოგი ცხოვრობდა და მუშაობდა, რომლის ნიაღშიც დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა, სხვადასხვა ოჯახის მიერ არის პრივატიზებული. უზნაძის შთამომავლების საკუთრებაში სახლის მხოლოდ მეორე სართულია. პირველ სართულზე კი, სადაც საქართველოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია ფუნქციონირებდა, ჩვეულებრივი ოფისია გახსნილი. დიმიტრი უზნაძის შვილიშვილის, ან. გარდაცვლილი დედა შიშნიაშვილის იდეა, რომ ამ სახლში სახლ-მუზეუმი გახსნილიყო, დიდი მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, მხოლოდ იდეად დარჩა. ფსიქოლოგიური ლაბორატორიის აპარატურა კი დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს გადაეცა.



დიმიტრი უზნაძის ქუჩის №91-ში, მეორე სართულზე, დიმიტრი უზნაძის შთამომავლები ცხოვრობენ, სადაც დღემდე ინახება მეცნიერის პირადი ნივთები: შლაპა, „პორტფელი“, ქისა, სავარცხელი, ჟილეტი და მისი საყვარელი სავარძელიც.



დ. უზნაძის პირადი ნივთები

დიდი მეცნიერის შვილიშვილის – დუდა შიშნიაშვილის მეუღლე და მისი შვილები – ნინო და ირინა შიშნიაშვილები სათუთად უფროსილდეებიან დიმიტრი უზნაძის კაბინეტში განთავსებულ მეცნიერის სამუშაო მაგიდას, კარადებს, გერმანიიდან ჩამოტა-



დიმიტრი უზნაძის მეუღლე სუსანა
ბუტულაშვილი და შვილები - ეთერი
და მედეა უზნაძეები



სუსანა ბუტულაშვილი



დ. უზნაძე და სუსანა ბუტულაშვილი

ნელ მეცნიერის პირად ბიბლიოთეკასაც. ეს ნივთები ოჯახის რელიქვიებია.

აქვე ინახება დუდა შიშნიაშვილის მიერ ხელმეორედ გამოცემული დიმიტრი უზნაძის მნიშვნელოვანი ნაშრომები: „ბავშვთა ფსიქოლოგია“, „ბიბლიოგრაფია“, „განწყობის ფსიქოლოგია“, „ძილი და სიზმარი“...

ის, რაც დიდი ბაბუას შესახებ სმენია...

რამდენიმე წლის წინ დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის შვილიშვილი დუდა შიშნიაშვილი უცაბედად გარდაიცვალა. იგი ბაბუის გაზრდილი გახლდათ და მასთან არაერთი მოგონება აკავშირებდა. მართალია, ყველაფრის მოყოლა ვერ მოასწრო, მაგრამ დიდი ბაბუის შესახებ შვილებს გარკვეული წარმოდგენა მაინც შეუქმნა. სამწუხაროდ, დიმიტრი უზნაძის ცხოვრებისეული დეტალების შესახებ დიდად მოსაუბრედღეს მის შთამომავლებშიც



დ. უზნაძე

ალარავინაა, მაგრამ უზნაძის შვილთაშვილები – ნინო და ირინა შიშნიაშვილები სათუთად ინახავენ დიმიტრი უზნაძის ხსოვნას. ჩვენთან საუბარი დიმიტრი უზნაძეზე მხოლოდ ნინომ ისურვა და შეეცადა ისე დაეხატა ჩვენთვის დიდი მეცნიერის პიროვნება, როგორც თავად მას აქვს გადმოცემით წარმოდგენილი.

ნინო შიშნიაშვილი, დიმიტრი უზნაძის შვილთაშვილი:

— დიმიტრი უზნაძეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, მედეა და ეთერი. ჩვენ ეთერი უზნაძის შტო ვართ. პირადად მე მასთან ვიზრდებოდი. მედეა და ეთერ უზნაძეებს მამაზე საუკეთესო მოგონებები ჰქონდათ. ყოველთვის ამაყობდნენ მისი პიროვნებით. დიმიტრი უზნაძე გამორჩეული ადამიანი გახლდათ. ბებია მიყვებოდა-ხოლმე, რომ ჩემი დიდი ბაბუა ძალიან თბილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მამა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მუშაობდა და გატაცებული იყო თავისი საქმიანობით, შვილებს

ყურადღებას არ აკლებდა. მათ თურმე ხშირად ესაუბრებოდა ხელოვნებაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე, ადამიანების ბუნებაზე, უნარ-ჩვევებზე...

დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგი მეუღლე ჰყავდა. შუშანა ბუტულაშვილი პროფესიით ექიმი გახლდათ – არაჩვეულებრივი და ძლიერი პიროვნება. ოჯახში ყველამ იცოდა გერმანული. სამნუხაროდ მამაჩემი, ეთერ უზნაძის ვაჟი – დუდა შიშინაშვილი ამ რამდენიმე წლის წინ უცაბედად გარდაიცვალა და თან უამრავი მოგონება წაიღო, რადგან მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ბაბუასთან – დიმიტრი უზნაძესთან. მისგანაც ვიცი, რომ ბატონი დიმიტრი ძალიან საინტერესო ადამიანი იყო.

დიმიტრი უზნაძის ქალიშვილისგან – მედეა უზნაძისგან ისიც ვიცი, რომ 1979 წელს, როდესაც საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „არაცნობიერის“ თემაზე ჩატარდა, მან ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილისგან, ანა ფროიდისგან მისასალმებელი წერილი მიიღო, სადაც იგი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ ვერ ჩამოვიდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის სამშობლოში. ეს ფაქტი მაშინ ძალიან გახმაურებულა.



ნინო და ირინა შიშინაშვილები შვილთან ერთად

მე პროფესიით ბიოლოგი ვარ, ფსიქოლოგიით ყოველთვის ვიყავი გატაცებული, მაგრამ ღრმად არ შემიხსნავლია. თუმცა ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ როდესაც დიმიტრი უზნაძის შთამომავალი ხარ და პროფესიად ფსიქოლოგიას აირჩევ, ამის გამო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება.

ნატო ოზოლაძე

*თსუ-ის გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ ყურნალისტი*

დიმიტრი უზნაძის „უკანასკნელი ასპირანტის“ მოზონებანი

1948 წელს, როცა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე, შემთხვევით გავიგე, რომ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ დიმიტრი უზნაძეს მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ინსტიტუტის ასპირანტად ექიმის მიღება უნდოდა. ამ გარემოებამ ძალიან დამაინტერესა, მით უფრო, რომ დიმიტრი უზნაძის სახელი ჩემთვის უცხო არ იყო. ვიცოდი, რომ იგი დიდად ღვანლმოსილი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, ავტორი ფსიქოლოგიური კონცეფციისა, რომელიც განწყობის თეორიის სახელით იყო ცნობილი. ისიც ვიცოდი, რომ მისი თაოსნობით თბილისში საკმაოდ ძლიერი ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ყალიბდებოდა. ყოველივე ამან ჩემი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. ჩვენი ოჯახის ერთმა უახლოესმა მეგობარმა, უმშვენიერესმა მაგდა ამილახვარმა, რომელიც ფსიქოლოგი იყო, მიმიყვანა ინსტიტუტში და გააცნო ჩემი თავი ბატონ დიმიტრის. მანამდე მე დიმიტრი უზნაძე არ მენახა. ახლაც კარგად მახსოვს ამ შეხვედრის პირველი რამდენიმე წამი: ფეხზე წამომდგარი, თავაზიანი ბატონი დიმიტრი, მისი გასაოცრად გონიერი, ძლიერი და ერთგვარად გამჭოლი მზერა. წამიერად გამიელვა – ახლა მეც კიპლინგის იმ ცხოველებივით არ დამემართოს, მაუგლის თვალებს რომ ვერ უძლებდნენ და თავებს განზე აბრუნებდნენ. ბატონმა დიმიტრიმ მაშინ რაც შეიძლება მარტივად ამიხსნა, რაში მდგომარეობდა მისი მეცნიერული ინტერესები, რატომ სჭირდებოდა ექიმი და როგორ წარმოედგინა კვლევის ის სფერო, ის საკითხები, რომელიც შეიძლებოდა შორეულ მომავალში ჩემი დამოუკიდებელი კვლევის საგანი გამხდარიყო. მანამდე კი მე ასპირანტურაში მისალეები გამოცდები უნდა ჩამეებარებინა და მათ შორის ზოგადი ფსიქოლოგიაც, რომელზეც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ ბატონმა დიმიტრიმ დამამშვიდა, მითხრა, რომ ეს არც ისეთი განუხორციელებელი ამოცანაა. მან მიმითითა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის განკუთვნილი

ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორიც თვითონ იყო და მითხრა, რომ მე ეს წიგნი საფუძვლიანად უნდა დამემუშავებინა და შემესწავლა; იქვე დასძინა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი თვალს გადავაგვლებდი რუსეთში მოღვაწე ცნობილი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის სერგეი რუბინშტეინის ზოგადი ფსიქოლოგიის კურსს. საქმე ისაა, რომ ბატონი დიმიტრი უზნაძე და თვითონ რუბინშტეინი სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისზე მდგომი ფსიქოლოგები იყვნენ, სხვადასხვა მიმართულებისანი. შესაბამისად, მათი სახელმძღვანელოები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იმ ზაფხულის სამი თვე დიმიტრი უზნაძის წიგნიდან თავი არ ამიღია. ზოგი საკითხი შედარებით ადვილად დავძლიე, ზოგიერთის გაგება გამიჭირდა. ასეთ შემთხვევებში იმავე საკითხის შესახებ რუბინშტეინის წიგნში ვკითხულობდი და მათი შედარება და მათ შორის სხვაობა მიადვილებდა, უკეთ ჩავნვდომოდი ბატონი დიმიტრის თვალსაზრისს. ამიტომ ვფიქრობ, რომ დიმიტრი უზნაძის რჩევა რუბინშტეინის წიგნთან დაკავშირებით მის მიერ კარგად მიგნებული პედაგოგიური ხერხი იყო. ასე იყო თუ ისე, ბოლოსდაბოლოს ზოგადი ფსიქოლოგიაც ჩავაბარე და ასე გავხდი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. ბატონ დიმიტრის ასპირანტებთან მუშაობა სემინარული მეცადინეობის სახით მიჰყავდა. კვირაში ერთხელ მოვდიოდი ბატონ დიმიტრისთან და მიტარდებოდა ეს სემინარი. ხოლო კვირიდან კვირამდე უნდა დამემუშავებინა და შემესწავლა ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც ბატონი დიმიტრი შემირჩევდა. შემდეგ სემინარზე კი, ასე ვთქვათ, პატარა გამოცდას ვაბარებდი მას. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დიმიტრი არასოდეს მაგრძნობინებდა, მოეწონა თუ არა ჩემი ნამუშევარი ამ კვირის განმავლობაში, მე ყოველთვის კმაყოფილი, თითქოს ოდნავ უფრო ჭკვიანი, ოდნავ უფრო გამდიდრებული გამოვდიოდი იქიდან, მაგრამ ერთ სემინარზე, შეიძლება ითქვას, დიდი ტრავმა მივიღე. სემინარი თითქმის დამთავრებული იყო, როცა გამახსენდა, რომ წიგნში შემხვდა ერთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა არ ვიცოდი და ჩემთვის ხელმისაწვდომი ვერც ერთი ლექსიკონით ვერ დავადგინე. ბატონმა დიმიტრიმ მითხრა, აბა მაჩვენე ეს ადგილიო, მე დავინყე ძებნა, მაგრამ ლელვისაგან ვერ ვიპოვე და ბატონ დიმიტრის ვუთხარი – არა უშავს, შემდეგ სემინარზე რომ მოვალ, მაშინ გეტყვით-მეთქი. – არა, კატეგორიულად მითხრა მან, ახლავე მოძებნეო. მე, როგორც იქნა, ვიპოვე.



დ. უზნაძე

ბატონმა დიმიტრიმ ამიხსნა, რაში იყო საქმე და დასძინა: – იცი, მე დრო დავინიშნე, შენ სიტყვის ძეგლს 12 წუთი მოუნდი, სხვა დროს ასე რომ არ მოხდეს, წიგნში სანიშნი უნდა გაიკეთო. საშინლად შემრცხვა, ლამის ინსტიტუტში მისვლა საერთოდ აღარ მინდოდა. მეორე დილას კი ბატონმა დიმიტრიმ საკუთარი ბიბლიოთეკიდან მოიტანა და მათხოვა დიდი ხნის წინ გამოცემული, ხმარებისაგან საკმაოდ შელახული წიგნი, რომლის სათაურიც გახლდათ „Как правильно работать над научной книгой“. ავტორის გვარი არ მახსოვს, მაგრამ იმ წიგნმა ძალიან დიდი სამსახური გამიწია. მინდა ვთქვა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს სემინარები ტარდებოდა, არ მახსოვს არც ერთი ისეთი შემთხვევა, მოვსულიყავი ინსტიტუტში დანიშნულ დღესა და საათს და ბატონი დიმიტრი ადგილზე არ დამხვედროდა. ერთადერთხელ, ისიც რა სახსენებელია, მივედი ინსტიტუტში და ბატონი დიმიტრის სამუშაო ოთახის კარი დაკეტილი დამხვდა. ერთხანს შევჩერდი, მაგრამ ამ დროს ბატონი დიმიტრი გამოვიდა მეზობელი ოთახიდან, გააღო თავისი ოთახის კარი, ცოტა უკან დაიხია

და შესტით მანიშნა – მიბრძანდიო. მე, ჩემი მხრივ, უკან დავიხიე და მას დავუთმე გზა. მან კვლავ გაიმეორა ეს შესტი და ცოტა გამომწვევი ღიმილით მითხრა: – მიბრძანდი, ბატონო, აბა სხვა რა უპირატესობა გაქვთ ქალებსო. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ დიმიტრის განსაკუთრებით გამახვილებული ჰქონდა პასუხისმგებლობის, მოვალეობის გრძნობა ინსტიტუტის ყველანაირი საქმიანობისა და, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო სამუშაოს მიმართ.

ოთხშაბათობა

ინსტიტუტის გახსნისთანავე ბატონი დიმიტრის მიერ იმთავითვე დანესდა ე.წ. ოთხშაბათობა. ყოველ ოთხშაბათს ინიშნებოდა სამეცნიერო სხდომა და ყოველ ოთხშაბათს, გახდებოდა თუ არა 10 საათი, ბატონი დიმიტრი უკვე შემოსული იყო იმ ოთახში, რომელიც, ასე ვთქვათ, აუდიტორიის ფუნქციას ასრულებდა, თორემ ყველაფერი შეიძლებოდა მისთვის დაგერქვა აუდიტორიის გარდა. ეს იყო არცთუ მაინცდამაინც დიდი, მეორადი შუქით განათებული ოთახი, რომელშიც ძლივს ეტეოდა თითქმის ერთმანეთზე მიჯრილი ექვსი სანერი მაგიდა. ბატონი დიმიტრი ყოველთვის ერთსა და იმავე ორ მაგიდას შორის ჩაკეცებულ სკამზე იჯდა ხოლმე. აღნიშნული სხდომები მეტად საყურადღებო და სასარგებლო იყო. ამ სხდომებზე მოისმინებოდა რომელიმე ფსიქოლოგის უკვე წინასწარ დაგეგმილი მოხსენება ამა თუ იმ თემაზე. მოხსენებების ირგვლივ, ცხადია, იმართებოდა კამათი, განხილვა, შეკითხვები. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ბატონი დიმიტრიც. ეს სხდომები ამდიდრებდა ფსიქოლოგების ცოდნას, აღრმავებდა მათ ინტერესებს, ხშირად ახალ პრობლემას წამოჭრიდა მათ წინაშე. სხდომებს, გარდა ინსტიტუტის თანამშრომლებისა, ესწრებოდნენ სხვა დანესებულებებში მომუშავე ფსიქოლოგებიც – უნივერსიტეტის კათედრის თუ პედაგოგიური სასწავლო ინსტიტუტის კათედრის თანამშრომლები, ფსიქიატრიის ინსტიტუტთან არსებული ფსიქოლოგიური განყოფილების თანამშრომლები, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, საქართველოს სხვა ქალაქებში მოღვაწე ფსიქოლოგები, როცა კი მათ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ. არც თუ იშვიათად ესწრებოდნენ ხოლმე ფსიქოლოგიის მონათესავე

რომელიმე დარგის წარმომადგენლებიც – ხან ენათმეცნიერები, ხან ფიზიოლოგები, ხან ფილოსოფოსები, ხან ფსიქიატრები, ფსიქონევროლოგები და სხვა. ამავე ოთხშაბათობებზე მოისმინებოდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა მათ მიერ გეგმით გათვალისწინებული ნაშრომის შესრულებას. მაგრამ ეს არ იყო უბრალო ანგარიში – მომხსენებელს ან თავიდან ბოლომდე უნდა წაეკითხა ეს შრომა, ანდა ზეპირად, მაგრამ ძალიან დანვრილებით გადმოეცა მისი შინაარსი. ამის მერე იწყებოდა შეკითხვები, კამათი, რაღაცის მოწონება, რაღაცის დანუნება. ბატონი დიმიტრი ამაშიც იღებდა მონაწილეობას. საბოლოოდ, ბოლო სიტყვა ბატონ დიმიტრის ეკუთვნოდა. იგი წყვეტდა საკითხს – ჩაითვალოს ნაშრომი შესრულებულად თუ არა. ამავე დროს იგი ყოველთვის ახერხებდა ძალიან მოქნილად და სხარტად წამოეწია წინ ამ ნაშრომის ის ბირთვი, რომელიც მისი აზრით უფრო მნიშვნელოვანი იყო და ამ ბირთვისთვის მიეჩინა სათანადო ადგილი იმ ზოგად პრობლემატიკაში, რომელზედაც საერთოდ მუშაობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ამას ყველაფერს იგი ისე ახერხებდა, რომ არასოდეს არ ახსენებდა და არ ეხებოდა თვითონ ნაშრომის ავტორს, ავტორისგან განყენებულად განიხილავდა მის მოსაზრებებს. ე.ი. უფრო გასაგები რომ იყოს, რას ვგულისხმობ – იგი არასოდეს გამოხატავდა ავტორის მიმართ თავის დამოკიდებულებას, არასოდეს შეაქებდა ავტორს, არ ეტყუოდა, ყოჩაღ ძალიან კარგი ნაშრომი გამოგივიდაო; ანდა პირიქით, არ უსაყვედურებდა, წელს რაღაც შენი ნაშრომი ისეთი არ არის, როგორიც სხვა დროსო. ამ მხრივ ბატონი დიმიტრი სიტყვაძუნწი იყო. ასეთ სიტყვაძუნწობას იჩენდა იგი, რა თქმა უნდა, თავისი ასპირანტების მიმართაც. ცოტა დრო რომ გავიდა, როცა ცოტა რაღაცაში გავერკვიე, ვიგონებდი, რა აზრი გამომიტქვამს ბატონ დიმიტრისთან სემინარზე, ანდა როგორი პასუხი გამიცია მის ამა თუ იმ შეკითხვაზე, ანდა მე თვითონ როგორი შეკითხვა დამისვამს მისთვის – ღმერთო ჩემო, რამდენი მტკნარი სისულელე მითქვამს, მაგრამ ეს ჩემთვის ბატონ დიმიტრის არასდროს უგრძობობინებია. მას პიროვნების ეს რაღაცნაირი გაფრთხილება, პიროვნების ღირსებასთან ფაქიზი დამოკიდებულება ყოველთვის ახასიათებდა. მაშინაც კი და იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ამა თუ იმ ვითარებაში იძულებული იყო საჯაროდ კრიტიკით გამოსულიყო ვისიმე ნაშრომის მიმართ. მაგრამ იგი ისე ახერხებ-

და, რომ ავტორს არასდროს ეხებოდა, მას არასდროს შეურაცხყოფდა. ბატონი დიმიტრი მეცნიერისთვის დამახასიათებელ ეთიკას ისე მკაცრად იცავდა, რომ უბრალოდ გაგიკვირდებოდათ. ასეთ დამოკიდებულებას მაშინაც ინარჩუნებდა, როცა საკუთარი თავის მიმართ ხშირად საკმაოდ აღვირახსნილ კრიტიკას და თავდასხმას ისმენდა.

საქმე ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება დიმიტრი უზნაძეს საკმაოდ აღმაცერად უყურებდა. არ ენდობოდა მას და ბევრ გზას მიმართავდა იმისათვის, რომ როგორმე მისი თეორიის იდეოლოგიური ძირების მავნე ხასიათი, მისი არამატერიალისტური ბუნება ემხილებინა. სხვათა შორის, ამას ზოგიერთი რუსი ფსიქოლოგიც ცდილობდა. მინდა ვთქვა, რომ ძალიან ბევრი რუსი ფსიქოლოგი, შეიძლება ითქვას, თავყანს სცემდა დიმიტრი უზნაძეს, მაგრამ ისეთებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ ეს თეორია არ წარმოადგენს მატერიალისტურ თეორიას. საინტერესოა, რომ, მაგალითად, ერთმა ასეთმა რუსმა ფსიქოლოგმა თავის ქართველ კოლეგას უთხრა: „конечно, у теории установки очень сомнительные идеологические корни, но она так хитро и так умно ꙗвѣаѣа, что подкапаться под неѣ очень не легко“. მიუხედავად ამისა, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ყოველთვის მოიძებნებოდნენ ამ „პადკაპავანიეს“ ოსტატები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ძირი გამოეთხარათ რაიმე თეორიისთვის. მახსოვს, ალბათ 1949 წელი იყო, როცა გამოიცა ბატონი დიმიტრის ახალი ნაშრომი. ეს იყო დიდტანიანი მონოგრაფია – „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“. უნივერსიტეტში დაინიშნა ამ წიგნის საჯარო განხილვა. მინდა ერთ-ერთ გამოსვლას შევეხო. სიტყვა აიღო ერთმა ქართველმა ფილოსოფოსმა, რომელიც მუშაობდა დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხებზე. მას რამდენიმე გამოკვლევაც ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ, ამავე დროს, იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც მისდევდა. იმ ხანად მას ცეკაში საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა. თავის გამოსვლაში მან მოიტანა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მიერ გამოთქმული მთელი რიგი აზრები და დებულებები, რომლებსაც სრულებით ვერ ეგუებოდა განწყობის თეორია, ან პირიქით, ის არ ეგუებოდა განწყობის თეორიას. ამით იგი ცდილობდა, დაემტკიცებინა განწყობის თეორიის იდეალისტური ხასიათი. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, საპასუხო სიტყვით უნდა გამოსულიყო ბატონი დიმიტრი.

მან აიღო სიტყვა და ძალიან მშვიდად, დარბაისლურად მიმართა ამ ავტორს – იცით საქმე რაშია, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ნაშრომებიდან თქვენ მიერ მოტანილი დებულებები და იდეები პირადად მე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ ამომიკითხავს და ამიტომ ჩემთვის პასუხის გაცემა ძალიან ძნელიაო (და ამით დაამთავრა). ასეთი სიმშვიდე, ასეთი დამოკიდებულება მისკენ მიმართული კრიტიკის შემთხვევაში ბატონ დიმიტრის სხვა დროსაც გამოუვლენია. მაგრამ მაინც მინდა, მეორე შემთხვევა გავიხსენო, რომელიც ბევრად უფრო მეტის მთქმელია ბატონ დიმიტრის პიროვნებაზე. ეს ერთ-ერთ ოთხშაბათს მოხდა. იმ დღეს მოხსენება თავისი წლიური შრომის შესახებ ჰქონდა თვითონ ბატონ დიმიტრის, როგორც დაწესებულების თანამშრომელს. მოხსენება მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები აღმოჩნდა – აქ მოტანილი დებულებების მიხედვით იგი განწყობის თეორიის შემდგომი განვითარების გზაზე, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპის დასაწყისს წარმოადგენდა. იმისათვის, რომ ეს დებულება განემტკიცებინა, ბატონმა დიმიტრიმ მოიშველია ერთი მაგალითი პირადი გამოცდილებიდან, აღწერა მოვლენა, რომელიც თვითონ მან განიცადა ისე, როგორც პირველად სწორედ მის მიერ შემჩნეული. და აი, აქ, უცებ, ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა, საკმაოდ ნიჭიერმა, ღვანლმოსილმა, რომელიც ყოველთვის უკირკიტებდა ბატონ დიმიტრის, ადგილიდან წამოიძახა – ეგ, ბატონო, მესერსაც აქვსო. მე, მაშინ 22 წლის გოგონა, ისე შევწუხდი, ისე შევცბი, ჯერ თვითონ ამ ფსიქოლოგის ქცევამ გამაკვირვა, რადგან მას ნიშნისმოგების ტონი ჰქონდა. მეორეც, მაშინ ვერ წარმომედგინა, შეიძლებოდა კი ვინმეს სცოდნოდა რალაც ისეთი, რაც არ იცოდა ბატონმა დიმიტრიმ? ბატონ დიმიტრის კი უცებ სახე გაუბრწყინდა და უთხრა – მესერსაც აქვსო? არ მახსოვს, ძალიან კარგი, ე.ი. ნამდვილად ასე ყოფილაო. დამეთანხმეთ, რომ ნებისმიერი მკვლევარი, რომელიც თავისი კვლევის პროცესში თუნდაც უმნიშვნელო სი-ახლეს მიაგნებს, უსათუოდ გახარებული და კმაყოფილია. და თუ იგი ამის შემდეგ შეიტყობს, რომ თურმე მას ამაში წინამორბედი ჰყოლია, რა თქმა უნდა, პირველი ემოცია, რომელიც მას გაუჩნდება, წყენა და გულსიტკენა იქნება. ბატონი დიმიტრის ასეთი რეაქციით კი მივხვდი, რა სიმაღლეზე იდგა იგი არა მარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც პიროვნება.

ადამიანში ვეკებოთ კარგი

მასსოვს, ერთხელ ბატონ დიმიტრისთან ოთახში შემოვიდა ერთი მისი თანამშრომელი, ძალიან აღელვებული და გამოთქვამდა ძალიან დიდ საყვედურს რომელიღაც მეორე კოლეგის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, საშინელი პიროვნება იყო, ხშირად შეურაცხყოფდა მასაც და სხვა თანამშრომლებსაც. ბატონმა დიმიტრიმ უსმინა და მერე მშვიდად ჰკითხა: – ეს მითხარი, მაგ კაცს არაფერი კარგი არ აქვსო? ეს ქალბატონი შეჩერდა და უთხრა: – კარგი როგორ არ აქვს, ჯერ ერთი ძალიან ნიჭიერია და მერე წარმოუდგენლად ხელგაშლილი კაცია, მას ძალიან უყვარს სხვა ადამიანებისათვის გაჭირვებაში მხარში ამოდგომა, მისთვის ნივთიერი, მატერიალური დახმარების განწევაო. მაშინ ბატონმა დიმიტრიმ უთხრა: – იცი, რა ქენი, მისი ეგ კარგი თვისებები, მოდი, წინ წამოწიე და ის, რაც ცუდია, ფონად დატოვეო და მასთან, როგორც ამ კარგი თვისებების მატარებელ პიროვნებასთან, დაამყარე ურთიერთობაო. ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ ეს პიროვნების ღირსების დაფასება თუ ანგარიშის განწევა ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, ერთგვარ სისუსტეშიც კი გადასულა. ისეთი შემთხვევაც მომხდარა, როცა ბატონ დიმიტრის კომპრომისული გადაწყვეტილება მიუღია. ამის მომსწრე მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემმა უფროსმა კოლეგებმა მიაბმეს. თავისთავად ის თანამშრომელი, რომელსაც ახლა მე შევეხები, ჩემ დროსაც მუშაობდა, მაგრამ ამბავი, რომელიც ამას წინ უსწრებდა, ჩემამდე მოხდა. ეს თანამშრომელი, რომელიც უკვე მაშინაც არ იყო მთლად ახალგაზრდა, მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე, დანერდა ამ დისერტაციას, მოიტანდა ბატონ დიმიტრისთან, ნაიკითხავდა ბატონი დიმიტრი, მისცემდა მას რაღაც შენიშვნებს, მიუთითებდა – რომელი ადგილია

საერთოდ თავიდან დასაწერი; გავიდოდა რამდენიმე ხანი; ეს თანამშრომელი ხელახლა დაწერდა დისერტაციას, ისევ მოიტანდა, მაგრამ იგივე მეორედებოდა, ბატონი დიმიტრი კვლავ უკან უბრუნებდა და ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბატონმა დიმიტრიმ მო-



ინვია ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრები და უთხრა: – მე ადამიანს ვერ ვეტყვი, რომ მეცნიერება მისი საქმე არ არის. იგი ამას თავად უნდა მიხვდეს, მაგრამ თუკი ვერ ხვდება?! ძალიან გთხოვთ, თუ გინდათ, რომ ცოტა ხანს კიდევ ვიცოცხლო, მიანიჭეთ მას კანდიდატის ხარისხი.

სხვათა შორის, აი ასეთი თავდაჭერილობა, განონასწორებულობა ზოგიერთ ადამიან-



ზე, ვინც ახლოს არ იცნობდა ბატონ დიმიტრის, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს იგი რამდენადმე გულჩათხრობილი თუ თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება იყო, ან პირიქით ზედმეტად გულგრილი. არადა სინამდვილეში ასე ნამდვილად არ ყოფილა. ხომ არსებობენ ისეთი მკვლევრები, რომელთათვისაც გარდა მეცნიერებისა, გარდა იმისა, რასაც თვითონ ისინი იკვლევენ, სხვა არაფერი არსებობს ამ ქვეყნად. მათი ცნობიერება თითქოს შევიწროვებულია და მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს. ბატონი დიმიტრი ნამდვილად არ განეკუთვნებოდა მკვლევართა ასეთ კატეგორიას. პირიქით, მას ძალიან უყვარდა ადამიანებთან ურთიერთობა, ძალიან უყვარდა ადამიანები. მას საკმაოდ ბევრი მეგობარი ჰყავდა. მე, რა თქმა უნდა, ყველა მის მეგობარს, რომელიც მას გიმნაზიის წლებიდან გამოჰყოლია, ან სტუდენტობის წლებიდან, ან განსაკუთრებით ქუთაისში ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს შეუძენია, არ ვიცნობდი, მაგრამ, მაგალითად, ნამდვილად ვიცოდი და ვიცი, რომ მისი უახლოესი მეგობრები შორეული წაბუკობიდან სიცოცხლის ბოლომდე იყვნენ ბატონი გიორგი ახვლედიანი და ბატონი ალექსანდრე ჯანელიძე. მე ვერაზე ვცხოვრობდი, ბატონი ალექსანდრე ჯანელიძე ჩემ პირდაპირ და მე ხშირად დამინახავს, გვიან ღამით მისგან მომავალი ბატონი დიმიტრი. უახლოესი მეგობრობა ჰქონდა მას ბატონ ვუკოლ ბერიძესთან (თქვენთვის კარგად ცნობილი, ან განსვენებული ბატონი ვახტანგ ბერიძე მისი მონათლული იყო); გიორგი ჩუბინაშვილთან და გერონტი ქიქოძესთან, რომლებთან ერთადაც სწავლობდა იგი გერმანიაში. ძალიან ახლო ურთიერ-

თობები ჰქონდა მას ასევე თავის მოწაფეებთან ინსტიტუტის გარეთ. ისინი ხშირად სტუმრობდნენ მას ოჯახში, ხოლო მის დაბადების დღეს იკრიბებოდნენ ბატონ დიმიტრისთან, სადაც მათ ყოველთვის ხვდებოდათ ძალიან კმაყოფილი და მხიარული იუბილარი და არაჩვეულებრივი გამასპინძლება.

ლადოსთან სახელოსნოში

ბატონი დიმიტრის მოწაფემ, ინსტიტუტის თანამშრომელმა ბატონმა ერასტი ვაჩნაძემ ლადო გუდიაშვილისგან იცოდა, რომ მას ძალიან უნდოდა ბატონი დიმიტრის დახატვა. ვერავინ ბედავდა ბატონი დიმიტრისთვის ამის თქმას. ბატონი დიმიტრი კი დიდი ხალისით დათანხმდა და, ერთადერთი, რაც მან ბატონ ერასტის უთხრა, ის იყო, რომ შენ ლადოს უთხარი, ისე დამხატოს, როგორც თვითონ მას სურსო... და ამით გუდიაშვილს მან სრული შემოქმედებითი თავისუფლება მიანიჭა. იგი დიდი ხალისით დადიოდა ლადოსთან სახელოსნოში. არ ვიცი, რამდენ ხანს, მაგრამ იჯდა ხოლმე იმ პოზაში, რომელსაც მისგან ბატონი ლადო მოითხოვდა. სწორედ ამის წყალობით არის, რომ ლადო გუდიაშვილის ეს უაღრესად საინტერესო, ძალიან თავისებურად გადაწყვეტილი ხელოვნების მშვენიერი ნიმუში დღესაც ამშვენებს კედელს.

ბაყაყური და ბატონი დიმიტრი?!

ერთხელ, ერთ ზაფხულს ზღვიდან ჩამოსულმა ბატონმა სოსო ბჟალავამ, რომელიც, სხვათა შორის, შემდეგ ჩემი ხელმძღვანელიც იყო და ჩემი უფროსი მეგობარიც, მიაშბო, რომ ზღვაზე ისვენებდა ბატონი დიმიტრიც და დააყოლა: – განცვიფრდებით, როგორ ცურავს ბატონი დიმიტრიო, განსაკუთრებით ბაყაყურსო! ბაყაყური და ბატონი დიმიტრი?! იცით, როგორ გამიკვირდა? მაშინ გავიფიქრე, რომ არაფერი წმინდა ადამიანური ამ კაცისთვის უცხო არ არის. ისიც მინდა გითხრათ, რომ მას ძალიან უყვარდა ჩაცმა; ყოველთვის ძალიან ელეგანტური იყო. სხვათა შორის, მე ისიც კი დამინახავს, როგორ გაუყოლებია ბატონ დიმიტრის მამაკაცური მზერა რომელიმე წარმოსადეგი, ეფექტური



დ. უზნაძე

გარეგნობის მქონე მანდილოს-
ნისთვის. ავი ენები, მე კი არა,
ავი ენები იმასაც კი ამბობ-
დნენ, რომ მას არაერთი გატა-
ცებაც ჰქონია სიცოცხლის ბო-
ლომდე, ბოლოსდაბოლოს იგი
ძალიან ახალგაზრდა, 65 წლი-
სა გარდაიცვალა. ყველაფერი
ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ
მას იმ ნამდვილი მეცნიერი-
სათვის დამახასიათებელი მო-
ნაცემების გარდა – უაღრესად
განვითარებული ინტელექტუ-
ალური შესაძლებლობების,
დიდი შემოქმედებითი პოტენ-
ციალის, მეცნიერების დაუო-
კებელი სამსახურის გვერდით
ჩვეულებრივი, მიწიერი მოთხ-

ოვნილებები და მისწრაფებები, ცხოვრებისაგან სიამოვნების
მიღებისაკენ ლტოლვაც ჰქონდა. და აი, ამ ორი რამის შერწყმა
მას განსაკუთრებულ ხიზლს ანიჭებდა, მისგან მეტად ჰარმო-
ნიულ პიროვნებას ქმნიდა. და ამიტომ იყო, რომ მის ირგვლივ
მყოფნი მას, ერთი მხრივ, უდიდეს თაყვანს სცემდნენ, როგორც
მეცნიერს, მაგრამ, ამასთანავე, განსაკუთრებით უყვარდათ იგი,
როგორც ადამიანი. აი ახლა, როცა მე უკვე რვა ათეულს კარგა
ხანია გადავაბიჯე, ახლა, როცა კარგად ვიცი, რომ ჩემი ამ ქვეყ-
ნიდან წასაყვანად, ერთი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვა, „უკვე
გაშლილან იალქანები“, უკან ვიხედები ხოლმე, თვალს გადავაგ-
ლებ განვლილი ცხოვრების გზას. რა თქმა უნდა, მე მრავალი
შავბნელი დღე გამომივლია, ბევრი სიმწარე გამომიცდია, მაგრამ
ამის გვერდით არც სიხარული და არც განათებული და ლამაზი
წლები მომკლებია. აი, ასეთ დროს ხშირად მიფიქრია: – ღმერთო
მაღალო, რა ბედნიერებაა თუნდაც ის, რომ ცხოვრებამ დიმიტრი
უზნაძეს შემახვედრა, რომ მე, ცუდი თუ კარგი, მაინც დიმიტრი
უზნაძის მოწაფე ვიყავი და რომ დღეს დიმიტრი უზნაძის უკანას-
კნელი ასპირანტის სახელი მქვია.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა უზნაძის მონაწილის პრინციპულუბამ გადაარჩინა

ბატონი დიმიტრი თავისივე დაარსებული ინსტიტუტის შენობაში გარდაიცვალა. 1950 წლის ოქტომბერში, ოთხშაბათ დღეს თავისი მოხსენების კითხვის დროს იგი ცუდად გახდა, განუვითარდა ინსულტი. ექიმებმა მისი ადგილიდან დაძვრა შეუძლებლად სცნეს. ამიტომ მოიტანეს საწოლი და ბატონი დიმიტრი ამ საწოლში გადაწვინეს, ექიმები გვერდიდან არ შორდებოდნენ. ინსტიტუტის თანამშრომლებს მასთან ოთახში არ გვიშვებდნენ, მაგრამ ჩვენ ინსტიტუტიდან არ წამოვსულვართ, იქვე ვათენებდით. დიმიტრი უზნაძემ ორი დღე იცოცხლა და 4 ოქტომბერს გამთენიისას გარდაიცვალა. ბატონი დიმიტრის მონაწილეობა ბევრი იბრძოლეს იმისათვის, რომ იგი რომელიმე პანთეონში დაეკრძალათ, საბჭოთა ხელისუფლებამ კი ამის უფლება არ მისცა – დიმიტრი უზნაძე გამოასვენეს საკუთარი ბინიდან და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრონი მეფობენ... თითქმის 50 წლის შემდეგ იმავე საბჭოთა მთავრობის დადგენილებით, დიმიტრი უზნაძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გადმოასვენეს და ცნობილი მეცნიერების გვერდით დაკრძალეს.

ვიდრე საბოლოო წერტილს დავსვამდი, შეუძლებლად მიმაჩნია, არ შევეხო ერთ გარემოებას. მოგეხსენებათ, 50-იანი წლების დასაწყისში, როცა ბატონი დიმიტრი უკვე ცოცხალი აღარ იყო, საბჭოთა კავშირში დაიწყო ეგრეთწოდებული პავლოვშჩინის კამპანია, რომელიც დიდ საშიშროებას უქმნიდა მეცნიერების ბევრ დარგს და განსაკუთრებით ფსიქოლოგიას. და თუ მიუხედავად ამისა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, დიმიტრი უზნაძის სახელი და საერთოდ ფსიქოლოგია წალეკვას გადაურჩა, ამაში უდიდესი წვლილი დიმიტრი უზნაძის მონაწილეობის პრინციპულუბასა და მოქალაქეობრივ გამბედაობას მიუძღვის. ამის დავინწყება შეუძლებელია.

მარინა საყვარელიძე,
ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დიმიტრი უზნაძის სახელობის პირველი სტიპენდიატი

**იათო კოტატიშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— დიმიტრი უზნაძე 1950 წელს გარდაიცვალა და უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული უამრავი სამეცნიერო ნაშრომი დატოვა. მისი შვილიშვილი დედა შიშნიაშვილი პროფესიით ფიზიკოსი გახლდათ. დედა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში გავიცანი და იქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. იგი იყო ძალიან განათლებული და ინტელიგენტი ადამიანი. მას შევთავაზე, რომ გამოეცა დიმიტრი უზნაძის ნაშრომები. მე ვურჩევდი, თუ რომელი ნაშრომი იყო უფრო მოთხოვნადი. მართლაც, მისი თაოსნობით არაერთი წიგნი ხელმეორედ გამოიცა. მაგალითად: „ზოგადი ფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქოლოგია“, „განწყობის ფსიქოლოგია“... მე საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი და იქ მივაგენი დიმიტრი უზნაძის ისტორიის სახელმძღვანელოებს, სადაც არაჩვეულებრივად არის გაშუქებული ხელოვნების საკითხები. გადავწყვიტეთ, რომ ცალკე გამოგვეცა ამ შრომებში არსებული ხელოვნების ისტორიის მონაკვეთები, შევადგინე სარჩევიც, მაგრამ ბატონმა დედამ ამ საქმის დასრულება ვეღარ მოასწრო, გარდაიცვალა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას დიმიტრი უზნაძის მონაფეები მასწავლიდნენ: რევაზ ნათაძე, დარეჯან რამიშვილი, ვასო ფრანგიშვილი, ვარლამ ხაჭაპურიძე, ნინო ელიავა. ყველა მათგანი ქართული ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენელი გახლდათ. სწორედ მათ განაგრძეს დიმიტრი უზნაძის მიერ დაწყებული საქმე. მახსოვს, პრაქტიკული სამუშაოები უზნაძის სახლში პირველ სართულზე გვიტარებოდა, სადაც მის მიერ ჩამოტანილი აპარატურით ლაბორატორია იყო მონყობილი.

სამწუხაროდ, დიმიტრი უზნაძეს ჩემთვის ლექციები არ წაუკითხავს, რადგან მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც გარდაიცვალა. მესამე კურსიდან იწყებდა იგი ლექციების კითხვას, თუმცა

მომისმენია მისი მოხსენებები – მეცნიერებათა აკადემიაში გამოდიოდა და მახსოვს, რომ ყველა მოხსენების შემდეგ ალტაცუბული ვრჩებოდი. ერთი შემთხვევა მახსენდება: ერთხელ ჩემმა მასწავლებელმა რევაზ ნათაძემ სტუდენტებს გვისაყვედურა: – თქვენ არ სწავლობთ ისეთი მონდომებით, როგორც ჩვენ ვსწავლობდითო. მე კითხვით შევეპასუხე: – ბატონო რევაზ, აბა გაიხსენეთ, ვინ იყო თქვენი მასწავლებელი-მეთქი? სხვათა შორის დამეთანხმა, რადგან მისი მასწავლებელი, ანუ დიმიტრი უზნაძე, მართლაც, გამორჩეულად არაჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით იყო დაჯილდოვებული. მისი სახელით რევაზ ნათაძე ხშირად გვირჩევდა, რომ ფსიქოლოგებს ჯერ გერმანული ენა უნდა გვესწავლა კარგად, რადგან სწორედ გერმანიაში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება.


ძალიან მეამაყება, რომ მე და ფსიქოლოგი ლალი გერსამია ვიყავით დიმიტრი უზნაძის სახელობის პირველი სტიპენდიატები. ამის შემდეგ პასუხისმგებლობა სწავლის მხრივ უფრო მეტად ვიგრძენით.

უცნობია, სად გააბრძოლებს საქმიანობას დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

რამაზ საყვარელიძე,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

— დიმიტრი უზნაძის სახელობის ინსტიტუტი ილიაუნში დღეს მხოლოდ ფორმალურად არსებობს. პრობლემაა, რომ ამ ინსტიტუტში განწყობის ფსიქოლოგიაზე არავინ მუშაობს. ქართული კულტურის მეცნიერულ ჭრილში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას, რადგან სხვა ფსიქოლოგიური სკოლების გვერდით იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. თუკი გვინდა, რომ ქართული კულტურის სპექტრი იყოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი, ალბათ, უნდა შევინარჩუნოთ ის ყველაფერი, რაც ქართულ კულტურაში არის მოცემული. ამ მხრივ შესანარჩუნებელია როგორც სვეტიცხოველი, ჯვარი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქართული რენვა და ა.შ., ასევე, ქართული ფსიქოლოგიური სკოლაც, რადგან იგი ატარებს კულტურის არსებით ნიშნებს და ემსახურება ამ კულტურის შემდგომ განვითარებას. მოვახერხებთ თუ არა ამას, ეს უკვე ბევრ რამეზეა დამოკიდებული, რადგან სვეტიცხოველი, ჯვარი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქართული რენვა და ა.შ. შეიძლება შეინახო, მაგრამ მეცნიერებას ვერ შეინარჩუნებ უცვლელი სახით – ის აუცილებლად განვითარებადი უნდა იყოს და უნდა პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს. ამიტომ, მეცნიერული სკოლისათვის აუცილებელია, რომ ის მუშაობდეს აქტუალურ პრობლემებზე და არ იქცეს მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატად. ამ თვალსაზრისით დგება საკითხი, რომ განწყობის ფსიქოლოგია ამუშავდეს კონკრეტული ჯგუფის მიერ და განვითარდეს, როგორც თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. დღევანდელი რეალობა კი ასეთია: ადამიანები, რომლებიც მუშაობენ განწყობის ფსიქოლოგიაში, მათ



«თუ ადამიანის განწყობა,
სტრუქტურული და აბასტრუქტი
შესვრულუქმისგან შექმნილი
მართებულის მიერ აბის შეზღუდული,
მისთვის ნაცდეთი მდებრეებისა
და ცვლილუქმისთვის ადრეილუქმილი
იმპულსის შესაქმნილი გზა,
ჩახებვილია!»

დამიტრი უზნაძე

აღარ აქვთ საკვლევე ცენტრი, ამიტომ დღის წესრიგში დადგა კვლევის ცენტრის აღდგენის ამოცანა. ეს პირობა მიღებულია ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა გიორგი მარგველაშვილი განათლების მინისტრი იყო. დღევანდელი მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავაც იმავე პოზიციას იკავებს, მაგრამ ვის შემადგენლობაში, როგორ და რანაირად აღდგება დ. უზნაძის სახელობის ინსტიტუტი (ინსტიტუტი ფაქტობრივად გაუქმდა 2012 წელს), ამ ეტაპზე გაურკვეველია.

უზნაძის მემკვიდრეობა კვლავ რჩება ისევ უპატრონოდ. ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სტრუქტურა, როგორც ადრე იყო, როდესაც განწყობის თეორიაზე მუშაობდნენ ისინი, ვისაც ჰქონდათ ამის ინტერესი და სურვილი.



დ. უზნაძის მედალი
გამოშვებული დ. უზნაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2016